მოლეკულურ სტრუქტურაში ლითონი კოორდინირდება ლიგანდებთან ტეტრაედრული ანიონის სახით, ორი პროტონირებული კატიონი LidH⁺ რჩება გარე საკოორდი-ნაციო სფეროში. განხილულია შიდამოლეკულური და მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმები და მათი როლი ზემოლეკულური სტრუქტურის წარმოქმნაში.



ავტორები მადლობას უხდებიან ნ.ჟორჯოლიანს კრისტალების სინთეზისთვის, ალექსანდე- ნ. სობოლევს (დასავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტი) კი გაზომვებში დახმარებისთვის.

მჟავას გავლენა ბუნებრივი ჰეილანდიტის ქიმიურ შედგენილობაზე, სტრუქტურასა და ფორიანობაზე

ვ. ციციშვილი^{1,2}, ნ. დოლაბერიძე², ნ. კუციავაძე³, ნ. მირბველი², მ. ნიჟარაძე², ზ. ამირიძე², ბ. ხუციშვილი²

¹ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, საქართველო

² თბილისის სასელმწიფო უნივერსიტეტი, პეტრე მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

³ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ახალი ბაქტერიციდული ცეოლითური ფილტრებისა და შემავსებლების შესაქმნელად შერჩეული, თემამი-ძეგვის საბადოს, მჟავით დამუშავებული ჰეილანდიტ-შემცველი (90%-მდე) ტუფის ქიმიური შედგენილობა, სტრუქტურა და ფორიანობა შესწავლილია ქიმიური ანალიზის (რენტგენული გამოსხივების ენერჯის განზნევის სპექტრები - XR-EDS), რენტგენული დიფრაქტომეტრის (XRD), წყლისა და ბენზოლის ადსორბციის, აზოტის ადსორბცია-დესორბციის იზოთერმების მეთოდების გამოყენებით. გამოვლენილია, რომ მინერალური მარილმჟავით (ხსნარები კონცენტრაციით 2.0 ნ-მდე) დამუშავება არ იწვევს ჰეილანდიტის კრისტალური მიკროფოროვანი სტრუქტურის დაშლას, მაგრამ იწვევს ცეოლიტის კრისტალური მესრის მნიშვნელოვან დეალუმინირებას (Si/Al მოლური თანაფარდობა იზრდება 3.6-დან 9.5-მდე) და დეკატიონირებას (ალუმინის უარყოფითი მუხტის კომპენსაცია ლითონის იონებით მცირდება 68%-მდე), აგრეთვე აქტიური ზედაპირის ჰიდროფობურობის უმნიშვნელო მატებას. წყლის მცირე ზომის მოლეკულები თავისუფლად შედიან ჰეილანდიტის მიკროფორებში, ხოლო უფრო დიდი ზომის აზოტის მოლეკულებისთვის მიკროფორები ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ მჟავით დამუშავების შემდეგ. დაბალტემპერატურული ადსორბცია-დესორბციის იზოთერმები აჩვენებენ მჟავას გავლენით მიკროფორებში ადსორბციისა და ბრუნაუერ-ემეტ-ტელერის (BET) მოდელის თანახმად განსაზღვრული ზედაპირის ფართის ზრდას 12-დან 175 მ²/გ-მდე, აგრეთვე მეზოფორულ სისტემაში ცვლილებებს, რაც იწვევს 4 ნმ-ზე მცირე ზომის ფორების

რაოდენობის მომატებას.

24-წევრიანი მაკროციკლური აზომეთინური კომპლექსნაერთები

ზ. გელიაშვილი, თ. მათითაიშვილი

ქიმიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, მ.
კოსტავას ქუჩა 69

შესწავლილია სინთეზირებული 24-წევრიანი მაკროციკლური პოლიაზო-მეთინური ლიგანდის $[C_{39}H_{21}(OH)_6N_3]$ -L3 [1] კომპლექსწარმოქმნის უნარი გარდამავალი ჯგუფის მეტალთა ($CoCl_2$ და $NiCl_2$) მარილებთან ურთიერთქმედებით. ლიგანდთან ახალი კომპლექსნაერთების სინთეზის შესაძლებლობა დადგენილია მაკრო-ციკლური პოლიაზომეთინური ნაერთის კვანტურ-ქიმიური მოდელირებით. კვანტურ-მექანიკური და კვანტურ-ქიმიური გაანგარიშებები შესრულებულ იქნა პროგრამის Chem3D- version 9.00 Ultra-ში ინტეგრირებული MM2 (მოლეკულური დინამიკა), ChemProPro და Huckel მეთოდებით, უი და იწ სპექტროსკოპიული მეთოდების შესწავლის საფუძველზე.

კომპლექსნაერთების სინთეზი განხორციელდა მოდიფიცირებული მეთოდიკის მიხედვით, რაც ითვალისწინებდა მაკროციკლური ლიგანდის დიმეთილფორმამიდის ხსნარში 600C-ზე გაცხელებას შესაბამისი ექვიმოლური რაოდენობის $CoCl_2$ და $NiCl_2$ -ის თანაობით 3,5-4 სთ-ის განმავლობაში. რეაქციის მსვლელობისას ადგილი აქვს ნარევის ფერის ცვლილება კვანტურ-ქიმიური გათვლები საშუალებას იძლევა განსაზღვრულ იქნას „თაიგულის“ ხვრელის დიამეტრი. მისი მნიშვნელობა პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული ფენილის ბირთვებში არსებულ ჩამნაცვლებლებზე და ძირითადად ვარირებს 4.2÷4.3 Å ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელი იქნება მდგრადი კომპლექსური ნაერთების წარმოქმნა არა მარტო მეტალთა იონებთან, რომელთა იონური რადიუსის სიდიდე ბელოვის და ბოკის მიხედვით ვარირებს 0.68Å–დან 2.18Å–მდე [2], გარდა ამისა, აზომეთინური ჯგუფის მიმართ ორთო მდებარეობაში ჩანაცვლებულია ჰიდროქსილის ფუნქციური ჯგუფი, რომელიც ხელისშემწყობი იქნება კომპლექსების წარმოქმნაში.

ელექტრონულ სპექტრების შედარებით კომპლექსაციის შედეგად იკარგება აზომეთინისათვის დამახასიათებელი ელექტრონული გადასვლები და სანაცვლოდ ჩნდება განსხვავებული ორი შთანთქმის მაქსიმუმი (292 ნმ და 401 ნმ) ტალღის სიგრძეებზე, რაც ნაერთში ელექტრონების ახალ კონფიგურაციაზე მიუთითებს და სავარაუდოდ კომპლექსის წარმოქმნას აღნიშნავს, რაც განპირობებულია აზოტის თავისუფალი ელექტრონული წყვილების დონორულ-აქცეპტორულ ბმაში ჩართულობით. იწ სპექტრებში გრძელტალღიან უბანში შთანთქმის ინტენსიური ზოლები $\approx 250-400$ სმ-1 ფარგლებში კომპლექსწარმოქმნელი ლითონის ატომებთან ქლორის იონების კოორდინირების დასტურია. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ კომპლექსნაერთებზე ჩატარებულ იქნა ტესტირება ვერცხლისნიტრატთან, რამაც დაადგინა თავისუფალი ქლორის ატომების არ არსებობა, რაც დასტურია იმისა, რომ ქლორის იონები განთავსებულია წარმოქმნილი კომპლექსების შიდა სფეროში. ელექტრონული სპექტრების და შეფერილობიდან გამომდინარე შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი სინთეზირებული კომპლექსნაერთების ოქტაედრულ აღნაგობაზე.

ლიტერატურა:


1. S. Guieu. (2012). Synthesis and Characterization of Linear and Macrocyclic Ligands with Multiple Hemisalen Pockets. Department of Chemistry, University of Aveiro, Aveiro, Portugal Accepted author version posted online, 42, 3180-3185. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/00397911.2011.579382>

ბის-1H-ინდოლ-5-ილ-სულფიდის ახალი სინთეზი

ნ. მეგრელიშვილი, ი. ჩიკვაძე, შოთა სამსონია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი, ქუთაისი. საქართველო.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორი.
საქართველო.

შემუშავებულია ბის-1H-ინდოლ-5-ილ-სულფიდის (13) სინთეზის ახალი მეთოდი 4-ამინო-4'-ნიტროდიფენილსულფიდიდან ფიშერის კლასიკური სქემის გამოყენებით. გარდაქმნები განხორციელებული იქნა შემდეგი სქემის გამოყენებით:



4-ამინო-4'-ნიტროდიფენილსულფიდის (1) დიაზოტირება მიმდინარეობს 35-40°C. დიაზონიუმის მარილი (2) მდგრადია 60-65°C-მდე და ხსნარიდან ილექება, ღია მომწვანო ფერის ნემსისებრი კრისტალების სახით. ინდოლური დიაზონაერთი (8) უმდგრადია (იშლება + 50C-მდე). ჰიდრაზონი (10) მიიღება 45%-იანი გამო-სავ-ლიანობით. მისი ინდოლიზაციით პოლიფოსფორის მჟავას ესთერე-ბ-ში მივიღეთ 2,2-დიეთოქსიკარბონილ-ბის-1H-ინდოლ-5-ილ-სულფიდი (11). სვეტზე გასუფთავების შემდეგ გამოსავლიანობა შეადგენს 11%-ს.

ლიტერატურა

1. Megrelishvili N.Sh., Chikvaidze I.Sh., Samsonia Sh.A., Targamadze N.L. Synthesis of new derivatives of 2-aminophenylindole. Georgian engineering news. No. 1(vol.49). 2009. st.169-171.
2. Chikvaidze I.Sh., Samsonia Sh.A., Megrelishvili N.Sh., . Andronikashvili GG Spectral characterization of 2-phenylindole derivatives. Proceedings of the National Academy of Sciences of Georgia. Chemical series. Volume 35, No. 1. 2009. Articles 26-28.

The Role of Nanocomposite Materials in Zoological Medicine

R. Gigauri, L. Khvichia

TSU R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry, Tbilisi, Georgia Mindeli st.№ 11.

The area of application of nanomaterials is quite large. Hundreds of anthelmintic compounds of both organic and inorganic origin are used to fight against animal diseases. Their optimal conditions and physiological activities have been successfully studied by Georgian scientists. For example, hydrogen arsenates of tin, zinc, manganese, calcium were produced by Georgia and exported in large quantities mainly to countries in Central Asian.

Our aim was to study more modern composite materials, the use of which would be more effective and safer from an ecological point of view. Albendazole was selected from the group of benzimidazole derivatives. Composites were obtained: $C_{12}H_{15}N_3O_2S \cdot CuSO_4$, $C_{12}H_{15}N_3O_2S \cdot Zn_3(PO_4)_2$, $C_{12}H_{15}N_3O_2S \cdot Ca_3(PO_4)_2$, $C_{12}H_{15}N_3O_2S \cdot CaCO_3$. Pharmacological group: anthelmintic drug in veterinary medicine is used to treat moniezirosis both in small and large animals, to improve metabolism in the body. They do not accumulate in parenchymal organs after taking a defined dose. It has synergistic effect. A pharmarticle was drawn up for each drug, which implies identifying the ingredients included in all four drugs, determining the methods according to the standard. Pilot trials are planned to test drugs directly on animals. Upper and lower limits will be established for quantitative use of drugs and selection of optimal conditions.

Intensification of electrolysis extraction of copper from diluted sulfate solutions

T. Gagnidze, Z. Qebadze, R. Chagelishvili

I. Javakhishvili Tbilisi State University, r.Agladze Institute of inorganic Chemistry and chemistry and Electrochemistry, Georgia, Tbilisi, Mindeli str.11, 0182

In the process of processing polymetallic ores, a large amount of waste containing heavy metals sulfates are formed, which, as a result of natural leaching, fall into wastewater, polluting the environment. The main source of pollution is copper ions. Therefore, the finding of rational ways to extract copper from career and industrial effluents is an urgent problem.

To isolate copper from diluted sulfate solutions, the use of the method of direct electrolysis (cathode precipitation), which allows you to extract metals from aqueous solutions in the form of targeted product. However, the difficulties are associated with the receipt of electrolytic copper precipitate from diluted solutions ($\leq 1g/l$) due to low current exit and high electricity consumption. Therefore, one of the main ones is the problem of the intensification of the electrolysis process, since in the case of diluted solutions, the rate of deposition of copper on the cathode is determined by the speed of transport processes. The problem is quite resolved when using as cathodic electrodes of carbon fibrous materials (CFM) with a highly developed reaction surface and the creation of an the appropriate construction of an electrochemical reactor.

To extract copper by electrolysis from diluted solutions as a cathode material was selected Carbon fiber material "Ural" TM-4-22, which is characterized by high physical and chemical properties.

The process of extraction of electrolytic copper from diluted sulfate solutions was carried out on a reactor designed by us with an improved hydrodynamic regime and with a cathode block with flowing a three-dimensional electrode made of carbon fibrous material "Ural" TM-4-22. The design of the electrolyzer helps to reduce the hydrodynamic resistance of the solution when passing through the cathode pores of CFM and thereby accelerates the rate of precipitation of

metal by reducing cathodic polarization in the thickness of coal-graphite electrodes material.

Studies have shown that electrolysis in the indicated electrolyzer (when using unpolarized CFM as cathode material) from diluted solutions the degree of copper extraction is 94-96% with a electricity consumption of 3.8 kWh/kg.

In order to intensify the electrolysis process of extraction of copper from diluted sulfate solutions, investigated the also effect of preliminary cathode treatment (polarization) of carbon fibrous material in a solution of alkali and acid to change the state of the surface of the CFM. Cathode processing showed that during electrolysis in aqueous solutions, carbon fibrous materials undergo transformations, the result of which is change in the mass of the electrode, its inpatient potential and specific electrical conductivity, which ultimately can lead to a change in the kinetics of electrode processes, related the restoration of hydrogen ions and the intensification of the electrolysis process.

სამოქალაქო საზოგადოების როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და აღდგენის საკითხში

ლ. გოცირიძე, ს. ცეცვაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამბავია ერისა და ეთნოსის იდენტობისა და თვითგამორკვევის საკითხში. ეს არის ცოცხალი ფაქტი, რომელიც გვიყვება იმ ისტორიის შესახებ, იმ დროისა და პერიოდის შესახებ, რომელიც გამოიარა თუნდაც ერთმა არტეფაქტმა აქამდე მოსასვლელად. თითოეული ნიმუში და მისი დეტალი, აჩვენებს ქვეყნის, ერის და ხალხების განვითარების ყველა საფეხურს, ისტორიას და მათ კულტურას. ვინ და როგორ უნდა იცავდეს მას? საკითხი მეტად მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი და კომპლექსურია. ამ საკითხში უმთავრესი მაინც თითოეული ადამიანის დამოკიდებულება, მიდგომა და გადაწყვეტილებაა. როგორ აღიქვამს იგი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, სად და როგორ ხედავს თავის როლს მისი დაცვისა და გადარჩენის საკითხში და რა ფუნქციას ასრულებს სახელმწიფო. მივდივართ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოსთვის სხვა გამოწვევებთან ერთად, მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გადარჩენა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არის ადამიანის უფლება, რომელიც დაცულია ქვეყნის კანონმდებლობით. მისი მოვლით და შენახვით, ახალ თაობას შესაძლებლობა ეძლევა ნახოს, გაიგოს და იცხოვროს წინა თაობების მიერ დატოვებული სიმდიდრით, და თავის მხრივ შეუნარჩუნოს იგი მომავალ თაობას სტანდარტების შესაბამისად.

კულტურის მნიშვნელობის ზუსტი განსაზღვრება რთული და სადავო საკითხია. თავად ცნება მნიშვნელოვნად განვითარდა ბოლო 75 წლის განმავლობაში. საჭირო გახდა საერთაშორისო კამპანიების დაწყება მსოფლიო მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონცეფციის დასაცავად და კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოების შენარჩუნების აუცილებლობისათვის.

ხშირად გვესმის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე. მაგრამ რა არის კულტურული მემკვიდრეობა? და ვისი მემკვიდრეობაა ის?

კულტურული მემკვიდრეობა ხშირ შემთხვევაში მოიაზრებს არტეფაქტებს (ნახატები, ნახატები, ანაბეჭდები, მოზაიკა, სკულპტურები), ისტორიული ძეგლებს შენობებს და ასევე არქეოლოგიური ადგილებს. მაგრამ კულტურული მემკვიდრეობა უფრო ფართო ცნებაა. იგი მოიცავს ადამიანის შემოქმედების, ფანტაზიისა და გამოხატვის ყველა მტკიცებულებას: ფოტოებს, დოკუმენტებს, წიგნებს, ხელნაწერებს და ინსტრუმენტებს და

ა.შ. როგორც ცალკეულ ობიექტებს, ისე კოლექციებს. დღეს, ქალაქები, წყალქვეშა მემკვიდრეობა და ბუნებრივი გარემო ასევე განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად, რადგან ადამიანები იდენტიფიცირებენ საკუთარ თავს ბუნებრივ ლანდშაფტთან. უფრო მეტიც, კულტურული მემკვიდრეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მატერიალური ობიექტებით, რომელთა ნახვა და შეხება შეგვიძლია. იგი ასევე შედგება არამატერიალური ელემენტებისაგან, როგორებიცაა: ტრადიციები, რიტუალები, რწმენა-წარმოდგენები, მითები და ლეგენდები, ცოდნა და უნარები, რომლებიც საზოგადოებაში თაობიდან თაობას გადაეცემა. თუმცა კულტურული მემკვიდრეობა არ არის მხოლოდ არტეფაქტებისა და ტრადიციების ერთობლიობა. ეს არის მეხსიერების, რეფლექსიის, გააზრებისა და დავიწყების პროცესი, რომელიც ყველა ეპოქას ახასიათებს.

დღევანდელ სამყაროში, კულტურა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია საზოგადოებების გარდაქმნისა და იდეების განახლებისთვის. უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებაში პასუხისმგებლობის გათავისება.

კულტურული მემკვიდრეობა მრავალფეროვანი ცნებაა. ავთენტურობა და მთლიანობა არის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურული მემკვიდრეობის მოვლასა და მის გამოყენებას თანამედროვე სამყაროში. იგი არის თვლასაჩინო მაგალითი და საზომი, რამდენად სწორად, დროულად და წარმატებით გადაეცემა მომავალ თაობას. მოსაზრებებისა და დაშვებების ფართო სპექტრი, ბუნებრივი პირობები, ტექნიკური დიაგნოსტიკა, დაგეგმილი შესასრულებელი სამუშაოები, პრევენცია, პრევენციული კონსერვაცია და რესტავრაცია, თოთიეული მათგანი ჩარევის განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებულია პირობებზე, ფორმაზე, ფუნქციასა და დანიშნულებაზე.

მოხსენებაში ვისაუბრებთ, რა არის რესტავრაცია, კონსერვაცია, პრევენცია, სად გადის ზღვარი არჩევანის გაკეთებისას და რას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში.

დიელექტრიკულ ზეთებში პოლიქლორირებული ბიფენილების შემცველობის დადგენა

ზ. გელიაშვილი

ქიმიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა 69

პოლიქლორირებული ბიფენილები (PCBs) $C_{12}H_{10-n}Cl_n$ ორგანულ ნაერთთა ის ჯგუფია, რომელიც მოიცავს ბიფენილის $n=1-10$ ქლორის ატომების შემცველ წარმოებულს და მიეკუთვნება მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) ჯგუფს, რომელთა მონი-ტორინგი ჰაერში, წყალსა და ნიადაგში სავალდებულოა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში მათი მაღალი გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხის გამო [1,2].

სამუშაოს მიზანია საქართველოს ზოგიერთი რეგიონის ენერგო სექტორში არსებულ ელექტრო მოწყობილობებში გამოყენებულ დიელექტრიკულ ზეთებში პოლიქლორირებული ბიფენილების შემცველობის რაოდენობების დადგენა და ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით ქვეყანაში PCBs-ით მოსალოდნელი დაბინძურების შეფასება.

ანალიზური კვლევები განხორციელდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის „პოლიქლორირებული ბიფენილებისაგან (PCBs) თავისუფალი ელექტრომომარაგება საქართველოში“ ფარგლებში ქლორ-სპეციფიკური ანალიზატორის (L2000 DX) გამოყენებით (სკრინინგის ხარისხობრივი/რაოდენობრივი-EPA SW-846 მეთოდი 9079).

რეგიონის ენერგო სექტორში შეგროვებული ზეთის ნიმუშები შემოწმდა 22-25°C

ტემპერატურაზე (L2000DX) ანალიზატორის გამოყენებით თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად [3]. ნიმუშები აღებულ იქნა სტანდარტული IEC 60475 „თხევადი დიელექტრიკების სინჯის აღების მეთოდის“ შესაბამისად [4].

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ ინვენტარიზებული ზეთების 20%-ზე მეტი შეიცავს პოლიქლოროირებულ ბიფენილებს ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე (50 ppm) მეტი რაოდენობით.

3000 ერთეული ელექტრო მოწყობილობის დიელექტრიკული ზეთის სინჯის სკრინინგის შედეგად 1319 სინჯში PCBs-ის კონცენტრაცია აღემატება 50 ppm-ს (44%), ხოლო 1681 სინჯში PCBs-ის კონცენტრაციამ შეადგინა 50 ppm-ზე ნაკლები (56%), რაც დასაშვებია სტოკჰოლმის კონვენციით დიელექტრიკული ზეთის უსაფრთხოდ გამოყენებისთვის.

გაზური ქრომატოგრაფიის შედეგად PCBs-ის 50 ppm-ზე მეტი შემცველობა [5] გამოვლინდა 1319-დან 233 სინჯში, რაც შეადგენს შემოწმებული ელექტრო მოწყობილობის საერთო რაოდენობიდან 7,77% -ს.

ანალიზატორის (L2000DX) და გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდით განსაზღვრული PCBs-ის შემცველობა წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი. PCBs-ის ანალიზის შედეგები

PCBs-ს შემცველობა, ppm	სინჯების რაოდენობა	
	ანალიზატორი (L2000DX)	გაზური ქრომატოგრაფია
50-100	530	131
100-500	480	92
500-1000	131	8
1000-2000	91	1
>2000	87	1
სულ	1319	233

ანალიზის შეფასებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინვენტარიზებული 3000 ერთეული ელექტრო მოწყობილობიდან გაზური ქრომატოგრაფიის გამოყენებით PCBs-ით დაბინძურებული 233 ერთეული ელექტრო მოწყობილობა გამოვლინდა (საერთო წონა 214396 კგ, ზეთის წონა 61653 კგ).

ლიტერატურა


1. T.I. Gorbunova, M.G. Pervova, O.N. Zabelina, V.I. Saloutin, O.N. Chupakhin. Polychlorobiphenyls. Problems of ecology, analysis and chemical utilization. - Yekaterinburg, Ural Branch of the Russian Academy of Sciences, 2011, 397 p.
2. Yu.P. Gumovskaya, A.V. Polevshchikov, V.Yu. Tsygankov, Boyarova M.D. Persistent organic pollutants (POPs) in the human body. 2020. ISBN 978-5-7444-4891-2. doi:10.24866/7444-4891-2/283-316.
3. L2000 DX Analyzer <https://www.dexsil.com/writable/documents/product-manuals/L2000DXManualV1.28.RV0.pdf>
4. Scope of accreditation of the testing laboratory. "Tranfiber-Service" LLC https://gac.gov.ge/upload/accredited_bodies/files/467c716d1acf3172d894ec24cf1e5319.pdf;
5. Polychlorinated Biphenyls (PCBs) Inventory Guidance. PCB Elimination Network (PEN) February 2016 <https://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/31250/PCBIG.pdf?sequence=1&isAllowed=y>

ახალი 5-არილინდოლების სინთეზი

ნ. მეგრელიშვილი, ი. ჩიკვაძე, გ. ხიტირი, თ. კვიციანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
თსუ გ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, საქართველო.

პიროყურძნის მჟავას ეთილის ესთერის დიფენილ ჰიდრაზონების (2a-c) ინდოლიზაციით მიღებულია 2-ეთოქსიკარბონილ-5-არილინდოლები (3a-c), ხოლო მათი ფორმირებით - ალდეჰიდები (4a-c). ჩატარებულია ამ ალდეჰიდების კონდენსაციის რეაქციები C-H მჟავებთან კლასიკურ პირობებში. დადგენილია, რომ მიმდინარეობს არა კონდენსაციის, არამედ დეფორმირების რეაქციები 3a-c ნერთების წარმოქმნით. დადგენილია რეაქციების ოპტიმალური პირობები.



2a და 2b ჰიდრაზონების ინდოლიზაცია ადვილად მიმდინარეობს პოლიფოსფორის მჟავას ეთილის ესთერებში (გამოსავლიანობა 50%), ხოლო 2c-პოლიფოსფორმჟავაში (გამოსავლიანობა 50%).

2-ეთოქსიკარბონილ-5-არილ-ინდოლების (3a-c) ფორმირება ჩავატარეთ N,N-დიმეთილფორმამიდისა და ფოსფორის ქლორჟანგის საფუძველზე ახლად დამზადებული კომპლექსით. პიროლის ბირთვის α-ნახშირბადატომთან ელექტროაქცეპტორული ჯგუფის არსებობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამცირებს ჰეტეროციკლის რეაქციისუნარიანობას ვილსმაიერის კომპლექსის მიმართ. ქრომატოგრაფიულად სუფთა პროდუქტების (4a-c) გამოსავლიანობა შეადგენს 80-88%-ს.

ეთილენგლიკოლის არეში 100-150°C ტემპერატურამდე გაცხელებისას მიმდინარეობს 4a-c ალდეჰიდების უჩვეულო დეფორმირება. სავარაუდოდ, ამ რეაქციას ხელს უწყობს ეთილენგლიკოლის გაზრდილი მჟავა ბუნება.

სინთეზირებული ნაერთების შედგენილობა და აღნაგობა დადგენილია ელემენტური ანალიზის, ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და ¹H ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის (პმრ) სპექტრული მონაცემების საფუძველზე.

References

1. N.Megrelishvili, I.Chikvaidze, Sh.Samsoniya. Synthetic studies in the field of 5-phenylthioindole. The 3-rd international Conference of Organic Chemistry „Organic Synthesis-Driving Force of Life Development”. Tbilisi, Georgia. September 25-28, 2014. P.162-163.
2. Samsonia Sh.A., Megrelishvili N.Sh., Chikvaidze I.Sh., Yashvili, N.M. Synthesis and

სილიციუმის დიოქსიდის მაღალდისპერსული ფხვნილის სედიმენტაციის შესწავლა

დ. ნარსია, მ. რაზმაძე

ქიმიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, მ. კოსტავას 69.

კოლოიდური ქიმიის ერთ-ერთი წამყვანი ნაწილია ელექტროკინეტიკური მოვლენები, მათ შორის ისეთი მახასიათებელი პარამეტრები, როგორებიცაა სედიმენტაციის პოტენციალი და კოლოიდური ნაწილაკის ორმაგი ელექტრული შრე და მათი ურთიერთ ზეგავლენა სედიმენტაციურ პროცესებზე. სედიმენტაციური პროცესები კი თავის მხრივ გადამწყვეტ როლს ასრულებენ სხვადასხვა სახის ნაწარმის მიღების ტექნოლოგიებში.

ექსპერიმენტი ტარდებოდა ჰოპლერის ხელსაწყო მოქმედების მაგვარი პრინციპით და რადგანაც წვრილდისპერსული სილიციუმის დიოქსიდის სედიმენტაციის ძირითადი ნაწილი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს, საჭირო გახდა მთელი სედიმენტაციური პროცესის განმავლობაში სედიმენტაციის პოტენციალის დროში ცვლილების კომპიუტერში მაღალი სიჩქარით დაფიქსირება (ორ წამში ერთი მონაცემის ჩაწერა). ყოველი ცდის ჩატარებისას კომპიუტერში იწერებოდა დაახლოებით 1500 ექსპერიმენტული მონაცემი.

მოწყობილობა Zetasizer Nano ZEN 3690-ის საშუალებით შემოწმებული იქნა ექსპერიმენტში გამოყენებული სილიციუმის დიოქსიდის ნაწილაკთა ზომითი განაწილება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ საექსპერიმენტო სილიციუმის დიოქსიდის ფხვნილი ძირითადად ოთხი ფრაქციისაგან შედგებოდა: $3 \div 4.3$ ნმ, $25 \div 77$ ნმ, $90 \div 300$ ნმ და $460 \div 710$ ნმ.

ექსპერიმენტულ მონაცემთა გაზომვის სიზუსტე შემოწმებული იქნა ყველა მზომი ციფრული მილივოლტმეტრ-მილიამპერმეტრისათვის 0,05 სიზუსტის კლასის პოტენციომეტრით. დადგინდა, რომ მზომი ხელსაწყოების გაზომვის სიზუსტე 99.9%-ს შეადგენდა, რაც სრულიად დამაკმაყოფილებელია ხარისხიანი ექსპერიმენტის ჩასატარებლად. ყველა მზომი ხელსაწყოთათვის გამოყვანილია აგრეთვე მათი მონაცემების 100% სიზუსტეზე გადასათვლელი მათემატიკური ფორმულები.

საკვლევადა აღებული იქნა სამი სისტემა - „SiO₂ - გამოხდილი წყალი“, „SiO₂ - NaCl - გამოხდილი წყალი“ და „SiO₂ - KCl - გამოხდილი წყალი“. ექსპერიმენტის განმავლობაში დისპერსული ფაზის რაოდენობა იცვლებოდა - 0.25, 0.5, 1, 2, 4 და 8 გრამის ინტერვალში 100 მლ სადისპერსიო გარემოს ხსნარზე. ექსპერი-მენტებისას აგრეთვე იცვლებოდა სადისპერსიო გარემოს ქიმიური შედგენილობა და სადისპერსიო გარემოში გახსნილი კათიონების რაობა - Na⁺ და K⁺, ანიონის სახის (Cl⁻) უცვლელობისას.

საბოლოოდ დადგინდა, რომ მიღებული ექსპერიმენტული დამოკიდებულების შედეგების 80%-ზე მეტი მსგავსი ბუნებისაა. ტიპური სედიმენტაციური პროცესები კი დაყვავით ორ ნაწილად - ჩქარი და ნელი კოაგულაციის უბნები. აგრეთვე ნაჩვენები იქნა, თუ როგორი სახის მათემატიკური მოდელით შეიძლება აღწერილ იქნას სედიმენტაციის ექსპერიმენტული მონაცემები 99% სიზუსტით.

ლიტერატურა:

1. Gregory R., Edzwald J., Sedimentation & Flotation, AWWA & McGrawHill. American Water Works Association (2010) Chapt.9 in Water Quality & Treatment, 6th Edtn.; 984 – 985.

2. Luke. O.V., PH Physical Chemistry., A Series of Monographs ; Journal of the American Chemical Society; 1955 Oct 1, 5453.
3. Rao R., Mondy L., Sun A., Altobelli S., “A numerical and experimental study of batch sedimentation and viscous resuspension,” Int. J. Numerical Methods in Fluids, 2002, 39, 3-4
2. Blanchette F., Bush J.W.M., Particle concentration evolution and sedimentation-induced instabilities in a stably stratified environment, Physics Fluids, 2005; 17.
3. Rentsch S., Pericet-Camara R., Papastavrou G., Borkovec M., Probing the validity of the Derjaguin approximation for heterogeneous colloidal particles, Phys. Chem, 2006, 8, 2531.
4. https://priborpostavka.ru/files/docs/pasport_potenciometra_pp63.pdf, Паспорт потенциометра постоянного тока ПП-63.1978, 3-4.; Last checked - 16.07.2021

მიღწევები და გამოწვევები ქიმიის გაკვეთილზე დისტანციური სწავლებისას

ე. სადალაშვილი, თ. დუნდუა, თ. მათითაიშვილი

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, მ. კოსტავას 69.

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, მ. გურამიშვილის გამზირი 17.

ქიმიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, მ. კოსტავას 69.

შესწავლილია მასწავლებლებისა და მოსწავლეების საერთო გამოწვევები, რომლებიც წარმოიქმნა სკოლებში ქიმიის საგნის დისტანციური სწავლების დროს. კვლევის განხორციელებისას გამოყენებული იქნა სამი პედაგოგიური მიდგომა:

ა) სინქრონული სწავლება; ბ) ასინქრონული სწავლება; გ) შერეული სწავლება.

სინქრონული სწავლების დროს სწავლება მიმდინარეობდა პირდაპირი ვებინარებით. ასინქრონული სწავლების დროს - წინასწარ ჩაწერილი ლექციის საშუალებით (ვიდეო და ინტერნეტ რესურსების დახმარებით). შერეული სწავლებისას კი სწავლება მიმდინარეობდა ზემოთ ჩამოთვლილი სამივე მიდგომის ერთობლიობით.

კვლევა განხორციელდა სხვადასხვა საჯარო სკოლის ბაზაზე და მასში მონაწილეობას ღებულობდა 230 მოსწავლე. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ქიმიის საგაკვეთილო პროცესები, რომლებიც ტარდებოდა დისტანციურ რეჟიმში. მოსწავლეების გამოკითხვა წარმოებდა სწავლებიდან სამი თვის შემდეგ. კვლევის წარმოება მიმდინარეობდა სამ ინდიკატორზე დაყრდნობით:

1. მოსწავლის მიერ სწავლის შეფასება;
2. მოსწავლის აკადემიური მოსწრება;
3. მასწავლებლის მიერ საკუთარი გამოცდილების შეფასება

მონაცემთა ანალიზიდან დადგინდა [1], რომ გამოკითხულ მოსწავლეთა 80 % -მა მხარი დაუჭირა შერეული სწავლების მეთოდს, კერძოდ, მათ სურთ, რომ ქიმიის საგაკვეთილო პროცესი ძირითადად მიმდინარეობდეს საკლასო ოთახში ტექნოლოგიების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში ონლაინ პლატფორმების ჩართვით.

ლიტერატურა:

1. Huang, J. (2020) Successes and Challenges: Online Teaching and Learning of Chemistry in Higher Education in China in the Time of COVID-19. Journal of Chemical Education. 97 (9), 2810-2814

არაფორმალური განათლების დანერგვა ქიმიის სწავლებაში

ი. გოდერძიშვილი, მ. ჯინჭარაძე

სსიპ გორის #4 საჯარო სკოლა. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი, ბიოკომპლექსების შექმნის და კვლევის ცენტრი.
სსიპ ივანე ხრიკულის სახელობის ხაშურის მინიციპალიტეტის სოფელ ხცისის საჯარო სკოლა. სსიპ ხაშურის მინიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი, ბიოკომპლექსების შექმნის და კვლევის ცენტრი.

თანამედროვე სამყაროშიც ადამიანს არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არამედ სხვა, ალტერნატიული გზითაც შეუძლია შეიძინოს ან გააუმჯობესოს ცოდნა და უნარები, ვინაიდან სწავლების მხოლოდ ტრადიციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ზოგჯერ არ მიიღწევა სასურველი შედეგი.

სკოლის გარეთ და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების მდგომარეობის შესწავლა მნიშვნელოვანი და დროული საკითხია. ცნება „არაფორმალური განათლება“ ქართულ კანონმდებლობაში, 2005-2007 წლებში, განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების შემდგომ გაჩნდა. სხვადასხვა კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ უმეტესი წილი, ფორმალური განათლების პარალელურად, სწორედ არაფორმალური გზით მიღებულ განათლებაზე მოდის. შესაბამისად, მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი თანხმდება იმაზე, რომ მოსწავლისთვის, ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს კარიერულ წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში.

თუ ფორმალურ განათლებაში პროგრამა წინასწარაა განსაზღვრული, არაფორმალური განათლება მთლიანად ინდივიდის მოთხოვნებზეა აგებული და მოსწავლეს აძლევს საშუალებას, მკვეთრად გამოავლინოს შინაგანი შესაძლებლობები, იმავდროულად, კავშირშია პროფესიულ განათლებასთან, რაც მოსწავლეს ეხმარება კარიერის დაგეგმვაში, მნიშვნელოვანი რგოლია განათლებასა და შრომის ბაზარს შორის.

არაფორმალური განათლება მოსწავლეში ხელს უწყობს ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, რაც მოსწავლეს განუვითარებს შემდეგ უნარებს: ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი, სისტემური აზროვნების. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულ გამოცდილებასაც იძენს.

ლიტერატურა:

1. Aspitskaya, A.F. The use of information and communication technologies in teaching chemistry / A.F. Aspitskaya. – M. :
1. BINOM, 2015. – 359 p. - ISBN 978-5-9963-2604-4.
2. Kondratyuk, T. A. Ways of formation of metasubject skills and knowledge in the study of chemistry / T. A. Kondratyuk. – Krasnoyarsk:
4. Sib. feder. un-t, 2014. - 232 p. - ISBN 978-5-7638-3089-7.

როგორ ვასწავლოთ ნარჩენების მართვა სკოლაში

თ. ტურაშვილი

თბილისი 0153 იპოლიტოვ-ივანოვის ქ. 10 სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს

მსოფლიო მოსახლეობისა და ეკონომიკის ზრდის თანამედროვე ტენდენციები

ბუნებრივ რესურსებზე გაზრდილ მოთხოვნას განაპირობებს, ამიტომ ნარჩენების მდგრადი მართვა მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

რესურსების დაცვისა და მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით საჭიროა ნარჩენების, როგორც „მეორეული“ რესურსების ხელმეორედ გამოყენება ან მათი ენერჯის ალტერნატიულ წყაროებად გარდაქმნა. ნარჩენების მართვა მოითხოვს პასუხისმგებლობის განაწილებასა და გონივრული ქმედებების განხორციელებას სახელმწიფოს, მწარმოებლების, სხვა ეკონომიკური ოპერატორების და მოსახლეობის მხრიდან.

ხარისხიან განათლებას წვლილი შეაქვს ნარჩენების გენერირების შემცირებაში, 4 მნიშვნელოვანი პრაქტიკის (4R-ის)¹¹ წარდგენით: შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება და აღდგენა. საზოგადოების ინფორმირება და განათლება ხელმისაწვდომს ხდის ყველა იმ საშუალებას, რომელიც საჭიროა ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრებისა და მდგრადი ცხოვრების წესისათვის.

აუცილებელია მსგავსი პრინციპების დანერგვა პატარა ასაკიდან, მოსწავლეთა გარემოსადგენითი განათლება, ეკოცნობიერების დონის ამაღლება. ამ მიზნით ჩვენს სკოლაში შეიქმნა კლუბი „აიას ბიოლოგები“, რომელიც უკვე 5 წელია წარმატებით გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ეკო აქტივობებსა თუ პროექტებს, მისი მთავარი მიზანი ნარჩენების გონივრული გამოყენება და შემცირებაა. კლუბში შევიმუშავეთ ნარჩენების მართვის საკუთარი სტრატეგიები, რომლებიც განხილული იქნება მოხსენებაში.

კლუბის წევრები მუდმივად ეცნობიან ინფორმაციას, თანამედროვე კვლევებსა და მოვლენებს, იღრმავებენ ცოდნას ნარჩენების შესახებ და მიღებულ ინფორმაციის საფუძველზე გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს, მოსახლეობის ეკოცნობიერების დადგენის მიზნით ატარებენ კვლევებს, ხდება საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება და დარიგება, სხვადასხვა რეგიონის სკოლების გამოწვევა და გამოცდილებების ურთიერთგაზიარება. კლუბი აქტიურად თანამშრომლობს და მუდმივად აქვს შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (ტენე, პოლივიმი, პარკი არ მინდა, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია), ვიწვევთ და თავადაც ვსტუმრობთ. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია, რომ სკოლაში დგას პოლივიმის მწვანე ურნები, ბოთლის თავსახურებისა თუ პარკის შემგროვებელი სათავსოები, ყველა ასაკის მოსწავლეს ჩამოყალიბებული აქვს ნარჩენების მართვის კულტურა, სკოლაში ნახავთ მოსწავლეების მიერ შექმნილ საინტერესო ბანერებს ნარჩენების მართვის შესახებ, გაიგებთ როგორ მიიღება და გადამუშავდება პლასტმასა და რა ზეგავლენას ახდენენ ნარჩენები ბუნებაზე. კლუბის წევრები შეგროვებული ნარჩენებით ქმნიან სასწავლო რესურსებს, რომელიც საუკეთესო დამხმარეა და ხშირად ვიყენებთ საგაკვეთილო პროცესში. ასევე ეწყობა რესურსების გამოფენა - დემონსტრირება სკოლის ღია სივრცეში სამეცნიერო პიკნიკზე.

კლუბის ფარგლებში ხდება ვიდეო გზამკვლევების ჩაწერა, სადაც დეტალურადაა აღწერილი არამარტო რესურსის დამზადების ინსტრუქცია, არამედ თუ რა დანიშნულება აქვს მოდელს, რისთვის და როგორ გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიდეოები ხელმისაწვდომია კლუბის youtube არხზე. კლუბის ბაზაზე შეიქმნა ელ წიგნიც „ნარჩენებიდან რესურსებამდე“. კლუბმა დაიწყო მეწარმეობა - პარკებისგან ჩანთების ქსოვა - გაყიდვა, შეგროვებული ფულით ვგეგმავთ ქველმოქმედებას.

აღნიშნული აქტივობებით მოსწავლეები სწავლობენ ნარჩენების მართვას, ცდილობენ მათ შემცირებას, სწავლობენ კეთებით სწავლებას, უმაღლდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა ბუნებისადმი, ერთმანეთისა და სხვებისადმი.

ლიტერატურა

1. <https://www.facebook.com/SWMCGEORGIA> - Solid waste company of Georgia
2. <https://test.ncdc.ge/Pages/User/LetterContent.aspx?ID=353d3275-e2bd-40c6-999e-a49d4547a21a> - Waste and their management (ncdc.ge)
3. Waste - Nino Chchobadze
4. Waste management - environmental and agricultural education in school

5. <https://tene.ge/> - Tene
6. <https://polyvim.ge/?lang=pl> – Polyvim
7. <https://www.facebook.com/parkiarmina.ge/> - I don't want a park
8. <https://www.facebook.com/eiecgovge> - Environmental Information and Education Center
9. <https://www.facebook.com/profile.php?id=100063165884175> - Facebook page of Club Aya biologists
10. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=12> - Waste Management Code

ტუტე მეტალების ჰიდროაცეტატების კოორდინაციული პოლიედრების დახასიათება


ნ. ენდელაძე, მ. ჩიქოვანი, ნ. კახიძე

საქართველო, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტუტე და ტუტე-მიწათა მეტალების ჰიდროფორმიატებისა და ჰიდროაცეტატების სინთეზი და კვლევა დიდი ხანია ცნობილია. კარბომჟავების მჟავა მარილების შესწავლის ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო ათეული წლების მანძილზე. ამ ნაერთებში განსაკუთრებით საყურადღებოა წყალბადური ბმების არსებობა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მჟავა მარილების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ჰიდროფორმიატებისა და ჰიდროაცეტატების უმრავლესობა სწრაფად იშლებიან ჰაერზე შესაბამისი მჟავას გამოყოფით და კრისტალის წინასწარი ევაკუაციის გარეშე შეუძლებელია მათი შესწავლა სტრუქტურული თვალსაზრისით.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ჰიდროაცეტატების ჟანგბადიანი კოორდინაციული პოლიედრების აღნაგობა და შესწავლა. ლითიუმის ჰიდროაცეტატის სტრუქტურაში სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს Li_2O_6 -ის ორი ტეტრაედრის წიბოთი შეწყვილებული დიმერები, რომლებიც ლითიუმის აცეტატის დიჰიდრატის შემთხვევაში დაკავშირებული არიან ორმაგ ჯაჭვში აცეტატური ჯგუფით.

$\text{LiH}(\text{CH}_3\text{COO})_2$ -ლითიუმის ჰიდროაცეტატის სტრუქტურაში ანალოგიურადაა შეწყვილებული ლითიუმის ატომების ჟანგბადიანი პოლიედრები, რომლებიც ჯაჭვში დაკავშირებულია დეპროტონიზირებული აცეტატური ჯგუფებით, დამატებით კოორდინირდებიან პროტონიზირებულ აცეტატური ჯგუფებით და წარმოქმნიან ჰიდროფობურ ზიგზაგისებურ ჯაჭვს.




ნახ.1. Li_2O_6 დიმერიზებული ჯგუფი $\text{LiH}(\text{CH}_3\text{COO})_2$ სტრუქტურაში

Li_2O_4 ტეტრაედრები ძლიერ ძლიერ გადაგვარებულია საერთო წიბოს გაერთიანების ხარჯზე Li_2O_6 -ის დიმერიზებულ ჯგუფში. საშუალო მანძილი Li-O (1,926 Å). დიმერი შედგება მძარმჟავას მოლეკულებისა და დეპროტონიზირებული აცეტატური ჯგუფისაგან.

მე-2 სურათზე მოცემულია კალიუმის ატომის ჟანგბადიანი პოლიედრი $\text{K}[\text{H}_2(\text{Cl}_3\text{COO})_3]$ -ის სტრუქტურაში, რომელიც წარმოადგენს კვადრატულ ანტიპრიზმას (კ.რ.8). კალიუმის ატომების პოლიედრები უკავშირდებიან ერთმანეთს წიბოებით O(21)-O(12) და O(11) და O(31) და წარმოქმნიან ზიგზაგისებურ შრეებს, რომლებიც ვრცელდებიან (xy) სიბრტყის პარალელურად.

სტრუქტურაში ტრიმერები წარმოქმნიან დისკრეტულ ჯგუფებს $[H_2(CH_3COO)_3]$, აღსანიშნავია, რომ კონტაქტი $O(21)-H(1)\dots O(21)$ ერთდროულად წარმოადგენს KO_8 პოლიედრის წიბოს, რასაც უკავშირდება ამ პოლიედრის გადაგვარება. მსგავსი აღნაგობის ტრიმერი წარმოიქმნება $Cs_3[H_2CH_3COO]_8$ -ის სტრუქტურაში.



ნახ.2. KO_8 პოლიედრი $K[H_2(C_2H_3COO)_3]$ სტრუქტურაში

საშუალო მანძილი $\langle K-O \rangle = 2,864(3)$ შეესაბამება O^{2-} და კალიუმის კათიონის იონური რადიუსების ჯამს შენონის მიხედვით.

ლიტერატურა

1. Frenz B. A. The enraf - nonius CAD-4-SDP-A real-time system for concurrent X-ray collection and crystal structure determination// In: Computing in Crystallography – Holland: Delft. U. P. 1978,- P260.
2. Shannon R. D. Revised effective ionic radii and systematic studies of interatomic distances in halides and chalcogenides. //Ibid. – 1976. – v. A36. – p. 751-753.
3. Crystal structures of two solvates of (18-crown-6) potassium acetate. P. Liebing, A. Za-eni, F. Olbrich, and F. Edelman Acta Cryst. (2016). E 72, 1757-1761
4. Moore P. B., Pluth J. J., Molin-Morris J. A., Weinstein D.A. The crystal structures of rubidium and sodium acid salts of -methoxy - phenylacetic acid - Acta Cryst., 1980, V. B. 36. #1. P. 47-50.
5. Golic L., Speakman J.C. The crystal structures of rubidium hydrogen bisglycollate - J. chem. Soc. 1965. P. 2521-2525.
6. Efremov V.A., Trunov V.K., Matschek I., Gudinitza E.N., Fakeev V.A. On the inequivalence of H-atoms in $Cs[H_5(PO_4)_2]$ crystals - Zh.neorg. Khim., 1981, vol. 26, issue 12, pp. 3213-3217.

ჩაის შემცველი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენების ეფექტურობა დერმატოლოგიაში და კოსმეტოლოგიური პრაქტიკა

ნ. ცუცქირიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი. საქართველო.

ჩაი უნიკალურია, რომელიც შეიცავს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დიდი რაოდენობა ალკალოიდები (კოფეინი, თეოფილინი, თეობრომინი), ფლავონოიდები (კატექინი, ეპიკატექინი, გალოკატექინი, ეპიგალოკატექინი), ტანინები. ამ კომპონენტების ხელმისაწვდომობა იწვევს ანტიოქსიდანტურ, ანტიათეროგენულ, ანტიკარცინოგენულ, ანთების საწინააღმდეგო, და რიგი სხვა თერაპიული საშუალებები ჩაის ეფექტურობას[2].

ჩაიში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ქმნიან ჩაის ეფექტურობას ფართოდ გამოიყენება დერმატოლოგიაში. ხოლო ფარმაკოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მწვანე ჩაის ექსტრაქტების გამოყენებამ გაუმჯობესა კანის მიკროცირკულაციას, გაზარდა მის ელასტიურობას, აგრეთვე აქვს სასარგებლო გავლენა კანის რელიეფზე. ამიტომაც ხშირად კოსმეტიკური საშუალებების შემადგენლობაში იყენებენ ჩაის ექსტრაქტებს, კერძოდ მწვანე ჩაის ექსტრაქტი Thea sinensis L. გარდა ამისა,

მწვანე ჩაის აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები მასში კატექინების შემცველობის გამო [1].

მწვანე ჩაის ექსტრაქტის გამოყენება იწვევს ანთებითი პროცესის შემცირებას, კანის გამონაყარის შემცირებას. ჩაის ექსტრაქტების ეს თვისება ფართოდ გამოიყენება თვალის ქვეშე შეშუპების მოსახსნელად. ჩაიში შემავალი ასეთი ნივთიერები რომელსაც აქვს ანტისიმპივიზურ თვისებები, დიდი მნიშვნელობა აქვს დერმატოლოგიაში. მაგალითად როგორცაა ეპიგალოკატექინ-3-გალატი, რომელიც იწვევს აპოპტოზი და სუპრესიული ონკოგენური NF-κB ტრანსკრიფციის ფაქტორი. ჩაიში შემავალმა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, შეუძლიათ დათრგუნონ მელანომისა და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის უჯრედული ხაზები. ხოლო მასში შემავალი პოლიფენოლების უარყოფითი გავლენას ახდებს კერატინოციტებზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია ჩაის ექსტრაქტების ადგილობრივი გამოყენება დერმატოპათოლოგიის შესამცირებლად. ამასთან დაკავშირებით, ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ფოტოდამცავი აგენტები მუშავდება, რომელიც შეიცავს შავი და მწვანე ჩაის ექსტრაქტებს [1].

ამრიგად, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ქმნიან ჩაის, ფართოდ გამოიყენება დერმატოლოგიასა და კოსმეტოლოგიაში. ჩაის გამოყენება მედიცინის ამ სფეროებში აქტუალურია იმის გამო რომ, დღემდე, არ არსებობს უარყოფითი მტკიცებულება მისი აქტუალური გამოყენების. აგრეთვე დიდი წვლილი მიუძღვის ჩაის ექსტრაქტების გამოყენებას დერმატოთელიოზის დაავადების ბრძოლაში.

ლიტერატურა:

2. Koch W., Zagorska J., Marzec Z., Kukula-Koch W. Applications of Tea (*Camellia sinensis*) and Its Active Constituents in Cosmetics // *Molecules*. - 2019. - Vol. 23, Iss. 24. - URL: <https://doi.org/10.3390/molecules24234277>
2. Minenok V. A. Antitumor properties of green tea // Tea in the historical, cultural, medical aspect: materials of the II scientific and theoretical online conference with international participation. - Kursk, 2021. - S.

კლიმატის მდგრადობის მიღწევა

შ. აბაშიძე

ქ. თბილისი სსიპ 221-ე საჯარო მეგა სკოლა. ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12-ე კილომეტრი. მასწავლებელი

კლიმატის ცვლილება კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა, რადგან ის ჩვენ ირველივ გარემოსა და ყოველდღიურობას რადიკალურად ცვლის. ეს პროცესი ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იქნა შემჩნეული, როდესაც დაფიქსირდა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდისა და გახშირებული კლიმატური კატასტროფების ტენდენცია. ამჟამად, მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება მთელი დედამიწის მასშტაბით მიმდინარეობს.(3)

დედამიწის ატმოსფეროში ჭარბადაა ის აირები, რომლებსაც დღეს სათბურის აირების სახელით მოიხსენიებენ. სათბურის გაზებიდან ძირითადია შემდეგი: ნახშირორჟანგი (CO₂), მეთანი (CH₄), აზოტის ოქსიდი (N₂O), ჰიდროფტორნახშირბადი (HFCs), პერფტორნახშირბადები (PFCs) და გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF₆). აღნიშნული გაზები შთანთქავენ დედამიწიდან ატმოსფეროში არეკლილ ინფრაწითელ გამოსხივებას, აბრუნებენ მას დედამიწაზე, რაც იწვევს ტემპერატურის მატებას.(3)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სათბურის ეფექტის არარსებობის შემთხვევაში, დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა 33 გრადუსით ნაკლები იქნებოდა, ანუ სათბურის ეფექტი დედამიწას საცხოვრებლად ხელსაყრელს ხდის, თუმცა ამ ეფექტის გაძლიერება, სათბურის აირების ზრდის შედეგად, კლიმატის ცვლილების გამომწვევი ხდება.

სათბურის აირების გაფრქვევაში თავისი „წვლილი“ მსოფლიოს ყველა ქვეყანას შეაქვს.(3)

ოზონი ატმოსფეროს ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ატმოსფეროში მის არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ოზონის შრე, რომელიც სტრატოსფეროში მდებარეობს, მზის ულტრაიისფერი გამოსხივების 95%-ს აკავებს. ოზონის შრე დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა ადამიანის ბოლოდროინდელმა აქტივობებმა, კერძოდ, კი დიდი რაოდენობით ოზონდამშლელი ნივთიერებების გამოყენებამ, მისი დათხელება და რამდენიმე ადგილას, კერძოდ, კი არქტიკისა და ანტარქტიკის თავზე, რღვევაც კი გამოიწვია.(4)

ადამიანის საქმიანობამ დედამიწაზე გარემოს ქიმიური მდგომარეობის შეცვლაც გამოიწვია. მანვე აირები ჰაერში არსებულ ტენთან და წვიმის წყალთან ურთიერთქმედებენ, რის შემდეგაც წარმოიქმნება მჟავური/მჟავა წვიმები. მჟავა წვიმები კლიმატის შეცვლასა და ოზონოსფეროს ტრანსფორმაციასთან ერთად თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პრობლემაა.(1)

კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გასაძლიერებლად, ქვეყნებმა მიიღეს პარიზის ხელშეკრულება (COP21), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის ნოემბერში. ხელშეკრულებით ყველა ქვეყანა შეთანხმდა, რომ იმუშავებენ იმისათვის, რათა შეაჩერონ გლობალური ტემპერატურის მომატება 2 გრადუსზე ქვემოთ. 175-მა მხარემ მოახდინა პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხოლო კლიმატის ცვლილებებზე რეაგირებისთვის 10-მა განვითარებულმა ქვეყანამ წარადგინა ეროვნული ადაპტაციის გეგმა.(5)

ლიტერატურა:

1. <https://www.epa.gov/acidrain/what-acid-rain>
2. <https://www.nationalgeographic.com/environment/global-w>
3. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.ecolog.online%2Fmasala%3Ffbclid%3DIwAR0MgDTUSHljfLYOjILY2-7rDv7fyjtacfqKnEAX1w7X5xOj44z1i1Kis8&h=AT2LxIKw53sX036G00cwqKh5Yp5uJD8Ni7RBPLeTzFz20Bgf8_X4AmvB9Xw74J0PEshmsSSSeNnVfUm2hDYub9BnDjFIJ9xDvfmqjpd1L_Ap00HX4a0wO-kijt9XpCeTqZezU_tflPcwiVY
4. <http://ufleba.ge/index.php?do=fullmod/news&id=4061>
5. <https://sustainability.ge/sdg13/>

კომპლექსური დავალება და ინტეგრირება ქიმიაში

მ. რუხაძე

ქ. თბილისი სსიპ 159-ე საჯარო სკოლა.

მის: ქ. თბილისი თემქა 3მ/რ 5 კვ. მასწავლებელი

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებლებისგან ითხოვს, როგორც საგნობრივ სამიზნე ცნებების გააზრებაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებების განხორციელებას, აგრეთვე საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებას. შესაბამისად უნდა მოხდეს მათი ინტეგრაცია. მასწავლებლებმა უნდა განვახორციელოთ კომპლექსური დავალებები, ამასთანავე იმ გაკვეთილებზე, რომლებსაც დავუთმობთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას, გამოვიყენოთ მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიები, რომლებიც რადენიმე მიზანს მოემსახურება[1]

მაინც რა არის ამ კომპლექსურ დავალებაში ასეთი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული, რატომ უნდა ჩავრთო ის ჩემს სასწავლო პროცესში? მე ხომ ასეთ დავალებებს სულ ვაძლევ ბავშვებს?“ ამ მოდელით მომუშავე მასწავლებელს კომპლექსური

დავალების შედეგზე მეტად მოსწავლის სწავლების გზა, ის კოგნიტიური პროცესები აინტერესებს, რომლებიც მან განვლო კომპლექსური დავალების შესრულებისას უნდა გაიაროს. ამიტომ კომპლექსური დავალების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ნამუშევრის წარდგენაა, სადაც მოსწავლე საუბრობს იმაზე, რა სტრატეგიები გამოიყენა ან რას შეცვლიდა, ახლა რომ იწყებდეს დავალების შესრულებას. ამ დროს მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები აუცილებელი და არსებითია. [2].

კომპლექსური დავალების განხორციელება სასწავლო პროცესში გულისხმობს საგანთა შორის ინტეგრირებასაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სწავლების მეთდია.

აგრეთვე მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში ინტეგრირებული გაკვეთილები სწორედ ინტეგრირებული გაკვეთილი იძლევა საშუალებას, მოსწავლეები შევაჩვიოთ სინთეზურ აზროვნებას. ინტეგრირებული გაკვეთილი მოსწავლეს ეხმარება, ერთი საგნის წინარე ცოდნა გამოიყენოს მეორე საგნის ასათვისებელი მასალის საფუძვლად. თანამედროვე პედაგოგიკის ამოცანაც ხომ ის არის, რომ ბავშვის აღქმაში გააერთიანო, და დააკავშიროს ცალკეულ საგნებში მიღებული ცოდნა, დაეხმაროს მას, შეიქმნას ფართო წარმო-დგენა სამყაროზე, ბუნებაზე, საზოგადოებაზე და საკუთარ ადგილზე ამ სამყაროში[3]. ინტეგრირებულ გაკვეთილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები არიან, ცდილობენ, თავად გააანალიზონ ინფორმაცია გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარების დროს, გამოყოფენ პრობლემას, შეიმუშავენ დასახული ამოცანების გადაწყვეტის შესაძლო გზებს[4].

ქ. თბილისის N159 საჯარო მეგა სკოლაში საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების პოპულარიზაციის, ინტერესის, მოტივაციის გაღრმავებისა და ცოდნის დონის ამაღლებისათვის მოსწავლეებში დავგეგმეთ ინტეგრირებული გაკვეთილები ქიმიასა და ბუნებისმეტყველებაში. რითაც შევეცადეთ მოსწავლეებისათვის უფრო საინტერესო გამხდარიყო ორივე მეცნიერება. ავირჩიეთ შემდეგი თემა: „საქართველოს მინერალური წყლების უნიკალურობა და ქიმიურ - გეოლოგიური ფორმირება“. მუშაობის პროცესში გათვალისწინებული და დაცულია ორივე საგნის ესგ-ს მოთხოვნები. მოსწავლეებს უფრო მეტი ინფორმაცია მივაწოდეთ საქართველოს მინერალური წყლების ქიმიურ შედგენილობასა და ქანების გეოლოგიური სტრუქტურების აგებულებაზე. ვიმსჯელებთ ქანების წარმოშობის გზებსა და მრავალფეროვან მინერალოგიურ სპექტრზე. გავაკეთეთ დასკვნები[5,6,].

ლიტერატურა:

1. Complex task and way of teaching, i.e. teach how to learn. Ina Imedashvili. <http://mastsavlebeli.ge/?p=35354>
2. Complex task and teaching strategies. Davit Bolkvadze <http://mastsavlebeli.ge/?p=30142>
3. Integrated research and motivation. N. Tsitsvidze. Tb. magazine teacher.2019 <http://mastsavlebeli.ge/?p=20562>
4. Why do we need an integrated cross-section of St. Osiashvili tb. Teacher magazine. 2017 <http://mastsavlebeli.ge/?p=14304>
6. Chemistry 8th grade. Butkhuzi, S. Fatsatsia, M. Kuchukhidze, T. Khatishashvili. "Publisher of the Herald of Georgia"
7. Geography 8th grade. M. Bliadze. Bakur Sulakauri publishing house.

**ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ სუხჩეს ზოგიერთ წყაროს წყლის
ჰიდროქიმიური გამოკვლევა**

მ. ჩიქოვანი, მ. რუსია, ა. მოგელაძე, ნ. ენდელაძე

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი. საქართველო.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი. საქართველო.

წყალი სიცოცხლის წყაროა და ის საშენი მასალა, რომელსაც იყენებს ყველა ცოცხალი ორგანიზმი. წყალს ორგანიზმში შეაქვს საჭირო ნივთიერებები და გამოაქვს ყველაფერი ზედმეტი. წყალი უნივერსალური გამხსნელია.

ქიმიურად სუფთა წყალი ბუნებაში არ არსებობს. დედამიწის ქერქში მოძრაობისას წყალი ეხება მრავალ მინერალს, ხსნის მათ და თან ატარებს მიმოქცევის მთელ გზაზე. ბუნებრივი წყალი არის ხსნარი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ბუნებისა და მდგომარეობის ნივთიერებებს. წყლის შედგენილობის გამოკვლევისას ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა იონების შემცველობის განსაზღვრა, ანალიზი ემყარება თითოეული იონის სპეციფიკურ თვისებებს და არკვევს მათს კონცენტრაციას. ზოგი იონი ძლიერი საწამლავია და მათი არსებობის გამო წყალი სასმელად შეიძლება უვარგისი აღმოჩნდეს.

**ცხრილი 1. ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ სუხჩეს ზოგიერთ წყაროს წყლის
ჰიდროქიმიური გამოკვლევა**

წყაროს წყლების კუთხური დასახელება	pH	მგ/ლ								
		SO ₄ ²⁻	Ca ²⁺	Mg ²⁺	HCO ₃ ⁻	Cl ⁻	გახსნილი ქანგბადი	ჟმმ ₅	პერმანგანატ- რული ჟანგვა- დობა მშრალი ნაშთი	CO ₂
სუხჩელა	7,42	0,016	3,38	0,16	4,54	1,04	4,10	2,56	0,82	0,84
ხიდი	7,54	0,029	1,46	0,41	2,18	0,58	3,52	2,24	0,16	0,62
ზზანარა	7,68	0,012	3,56	0,05	3,98	0,68	3,02	1,98	0,48	0,66
მოგელაძე	7,49	0,016	3,51	0,52	4,71	1,02	2,88	1,54	0,90	1,82
ცივი წყარო	7,34	0,013	5,44	1,62	6,94	1,08	3,10	2,25	1,14	2,18

2. I. Bejanidze, T. Kharebava, V. Pohrebennyk, N. Davitadze, N. Didmanidze, N. Nakashidze. PROCESSING OF INDUSTRIAL PLANT WASTE INTO PECTIN – MAINTAINING THE ECOLOGICAL BALANCE OF THE ENVIRONMENT. Proceedings of the IV International Scientific-Practical Conference «Water Supply and Wastewater Disposal: designing, construction, operation and monitoring». Lviv Polytechnic National University, **2021**. 221 p. Ukraine. ISBN 978-617-7227-69-3. DOI: 10.23939/wswr 2021
3. Bejanidze I., Kharebava T., Kontselidze Z. Dietary fiber - multifunctional food ingredients RS Global Sp. O.O., Scientific Educational Center Warsaw, Poland. Science Review 1(8), January 2018 Vol.2, p. 30-34.
4. Method of pectin extraction from plant raw materials. 2012. P6038 National Center of Georgian Intellectual Property.

MERCURY(II) CATIONIC-ANIONIC COMPLEXES OF QUATERNARY ARSONIUM

M. Russia^{1*}, M. Chikovani², Kh. Barbakadze³,
B. Arziani³, Z. Pachulia⁴

¹Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Exact and Natural Sciences,
Department of Chemistry; 3, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia;

²A. Tsereteli State University, Faculty of Exact and Natural Sciences, Department of Chemistry; 59,
Tamar Mepe St., 4600, Kutaisi, Georgia

³Tbilisi State Medical University, Faculty of Pharmacy, Department of Medical Chemistry; 33, V.
Pshavela Ave., 0186 Tbilisi, Georgia

⁴Sukhumi State University, Faculty of Natural Sciences, Mathematics, Technology and Pharmacy; 61,
Anna Politkovskaya St., 0186, Tbilisi, Georgia

The study of mixed ligand complex formation is relevant in the field of analytical chemistry, where the use of mixed-ligand complexes allows the development of methods with increased selectivity and sensitivity. They have also great importance in the field of biological and environmental chemistry as well as in the production of new promising synthetic materials¹⁻⁹. The exceptional chemical reactivity, diversity of formation of compounds, abundance of structural types of substances obtained, which, in turn, is reflected in their wide range of biological activity, makes studies in this direction very relevant and promising.

Based on performed studies have been shown that mercury(II) halide can be precipitated with

quaternary arsonium halides in a dry alcohol solution. The resulting mixed-ligand cationic-anionic coordination compounds of mercury(II) containing quaternary arsonium have been obtained using bromides or iodides of corresponding reagents. The composition and structure of the obtained compounds were investigated by various physico-chemical and elemental analysis methods, and molar conductivity measurement. Thermal degradation research of the coordination compounds, in particular, thermogravimetric and differential thermal analyses curves support the proposed molecular structures. The thermal study revealed the thermostability and thermal degradation behavior of tested compounds. Based on the obtained data, it has been suggested that complex-forming cation has liganacy three. all targeted compounds have a coordination composition characterized by double ionic electrolytes. The bending vibrations of the bonds obtained from the FT-Infrared spectra match described results. Performed quantum-chemical calculations using the non-empirical density functional theory (DFT) method and „Priroda-04“ program confirmed the supposed course of the chosen model reaction.

Synthesized new biologically active compounds are interesting objects for further investigations in terms of both theoretical and practical points of view, including the study of the mutual influence between chemical structure and biological activity and the search for new promising synthetic agents.

References:

1. Yurdakul Ö, Dursun A K, Şahin O, Özer D. J Coord Chem, 74(7) (2021) 1168.
2. Zeybel L, Dursun A K. Turk J Chem, 45(4) (2021) 1004.
3. Al-Noor T H, Jarad A J, Hussein A O. Chem Mater Res, 6(3) (2014) 20.
4. Sultan J S, Lateaf S M, Rashid D K. Open J Inorg Chem, 5(4) (2015) 102.
5. Dhushiya U, Gautam S, Chandra S, Agrawal S. J Pharm Chem Biol Sci, 4(1) (2016) 1.

ქიმიური წონასწორობის სწავლება ვირტუალური მეთოდით

ჟ. პეტრიაშვილი*, დ. სონღულაშვილი, რ. კლდიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების ცენტრი ქიმიაში.

სწავლება ელექტრონული რესურსების გამოყენებით სულ უფრო აქტუალური ხდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ელექტრონული რესურსების გამოყენება შესაძლებელია როგორც საუნივერსიტეტო აუდიტორიებში, ასევე მის გარეთ ინტერნეტ-სივრცეში.

წარმოდგენილი სამუშაო ეხება ქიმიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის-ქიმიური წონასწორობის სწავლებას ელექტრონული-ვირტუალური მეთოდით. ჩვენი მიზანია ქართული ინტერფეისის მქონე სასწავლო რესურსის შექმნა, რომელიც შესაძლებელია გამოიყენონ როგორც საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, ისე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებმა.


ქიმიური წონასწორობა და მასზე მოქმედი ფაქტორები ქიმიური მეცნიერების საკმაოდ მოცულობითი ნაწილია და საჭიროებს როგორც თეორიული მასალის შესწავლას, ასევე ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარებას და პრაქტიკული დავალებების შესრულებას.

სამუშაო კომპლექსურია და შედგება სამი ნაწილისაგან: თეორიული მასალა ანიმაციებით, ლაბორატორიულ ექსპერიმენტები და თვითშეფასების ტესტები.

თეორიულ ნაწილში განხილულია პირდაპირი და შექცევადი რეაქციები; წონასწორობის ცნება; წონასწორობის გადახრა და მასზე მოქმედი ფაქტორები: წნევა, ტემპერატურა, კონცენტრაცია, კატალიზატორი; წონასწორობის მუდმივა და მისი

განგარიშება სხვადასხვა პროცესისათვის. თეორიულ მასალას თან ახლავს ანიმაციები, სადაც პროცესებზე დაკვირვება შესაძლებელია მოლეკულურ დონეზე.

სამუშაოს მეორე - ექსპერიმენტული ნაწილის მიზანია მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციის და ხსნარის ტემპერატურის გავლენის შესწავლა კობალტის კომპლექსური მარილების ხსნართა წონასწორულ პროცესზე. ელემენტ კობალტის კომპლექსური იონები $[CoCl_4]^{2-}$ ლურჯი ფერისაა. კობალტის ჰექსაჰიდრატი- $[Co(H_2O)_6]^{2+}$ - კი ვარდისფერია. თუ ხსნარი ერთდროულად შეიცავს აღნიშნულ იონებს წონასწორულ მდგომარეობაში, ასეთი ხსნარი იისფერია. ექსპერიმენტის ჩატარებამდე თეორიულ ცოდნიდან გამომდინარე სტუდენტები გამოთქვავენ ჰიპოთეზას, თუ რომელი მიმართულებით წარმართება მოცემული წონასწორული ქიმიური რეაქცია ტემპერატურის და კონცენტრაციის ცვლილებისას?



შემდეგი ეტაპია ექსპერიმენტების ვირტუალურად ჩატარება, რის შემდეგაც შესაძლებელია დასკვნების გაკეთება - გამართლდა თუ არა სტუდენტების მიერ გამოთქმული ვარაუდი.

სამუშაოს მესამე ნაწილში მოცემულია სხვადასხვა ტიპის თვითშეფასების არჩევითი პასუხიანი ტესტები, სადაც მომხმარებელი შეძლებს შეაფასოს მასალის ათვისების დონე, დააფიქსიროს და გაანალიზოს დაშვებული შეცდომები და ამით გაიღრმავოს ცოდნა აღნიშნულ თემასთან-ქიმიური წონასწორობა და წონასწორობის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები - მიმართებაში.

ლიტერატურა:

1. BRAIN F. WOODFIELD, MATTHEW C. ASPLUND. VIRTUAL CHEMLAB FOR GENERAL CHEMISTRY.. Brigham Young University, Pearson Education. 2016
2. <https://phet.colorado.edu/en/simulations/filter?type=html,prototypef>.

ნიტრო ჯგუფ შემცველი აზოსაღებრების სინთეზი. მათი სპექტრული თვისებების შესწავლა


თ. ქარქუსაშვილი, ს. ბასილიძე

ქიმიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქუჩა 69, 0192, თბილისი, საქართველო

სინთეზურმა საღებრებმა საკმაოდ მალე და მარტივად ჰპოვა აღიარება, და მისი გამოყენების სიხშირე ყოველდღიურად უფრო და უფრო მატულობს. იგი გამოიყენება: მრეწველობაში, ფარმაცევტიაში, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. საღებრების საკმაოდ იაფ და უფრო გამოყენებად კლასს წარმოადგენს აზოსაღებრები. აზოსაღებრების ფერებია ძირითადად: ყვითელი, წითელი, ნარინჯისფერი, ყავისფერი და ლურჯი. [1,2].

ფერთა თეორიის ძირითადი მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც ეყრდნობა ქიმიური ბმის და მოლეკულათა აღნაგობის თანამედროვე წარმოდგენას, საშუალებას ქმნის, შეუქმნას ორგანული საღებრების ახალი კლასიფიკაციის სისტემა. ამ კლასიფიკაციის თანახმად, საღებრები დაყოფილია კლასებად, რომელთაც საერთო ქრომოფორული სისტემა (ანუ ფერის მიმნიჭებელი ჯგუფები) აქვთ.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა დიაზო- და აზოკომპონენტ შემცველი აზო საღებრის სინთეზი, მათი სპექტრული, ტექნიკური, ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესწავლა მიღებული საღებრებისათვის გადაღებული იქნა ულტრა იისფერი სპექტრი, რაც აბსოლიტურ თანხვედრაშია თეორიულ მონაცემებთან. [3,4].



დიაგრამა 1. მოცემულია დიაზოკომპონენტებიდან მიღებული თითოეული აზოსაღებრის ტალღის სიგრძე:

ლიტერატურა:


1. Rangmekar D.W. Chemistry and manufacture of dyes. Colourage, 1990, v.36, No. 6, p. 38-40.
2. Органическая химия красителей. Гордон П., Грегори П. М.: Мир, 1987, 344 с.
3. <http://www.food-info.net/uk/colour/azo.htm>.
4. <https://byjus.com/chemistry/anilines/>.

Synthesis and photochromic properties of new bisspiopyrans of the benzopyrroloindolin series

M. Trapaidze, N. Nikoleishvili

Tbilisi Ivane Javakishvili State University, Tbilisi, Georgia,

In order to search for new photochromic compounds, we present the synthesis of bisspiopyrans based on benzopyrroloindole. Condensation of the bis-analogue of Fisher's 1,4,5,8-tetrahydro-1,1,8,8-tetramethyl-2,7-dimethylenedipyrrolo-[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]benzo[g]-quinoxaline(1) with ortho-vanillin, 5-nitro-orthovaniline and chloronitrosalicylic aldehyde, new bisspiopyranes 2, 3, 4 were synthesized



The photochromic properties have been studied and the photochromism of the synthesized compounds has been established by studying their electronic spectra. In solutions of spiopyrans 3, 4, a pronounced, repeated change in the color of solutions from darkness to sunlight and vice versa was revealed. In this case, a corresponding shift of the absorption maxima is observed in the electronic spectra.

substance/solvent	freshly prepared solution $\lambda(D, \text{optical density})$	Irradiated solution $\lambda(D, \text{optical density})$
3/chloroform	631(0.18905)	625(0.14112)

3 /Ethanol	607(0.35620)	602(0.32756) 779(5•1058 E-2)
4 /chloroform	641(0.15399)	639(0.10812)
4/ Ethanol	588(0.66588)	591(0.17082) 490(0.10064)

It can be seen from the UV spectra that after irradiation of freshly prepared solutions with a UV lamp, a hypsochromic shift of the long-wavelength absorption maximum and a decrease in intensity are observed, almost to the disappearance of the minimum. Therefore, new bisspiopyrans 3, 4 belong to reverse photochroms.

References

1. Sh. A. Samsonia, M. V. Trapaidze, N. N. Nikoleishvili, A. O. Veskvet, and W. Katsmayer, KhGS, 1260 (2008). [Chem. Heterocycl. Comp., 44, 1016 (2008)].
2. Sh. A. Samsonia, M. V. Trapaidze, N. N. Nikoleishvili, K. G. Japaridze, J. P. Maisuradze, U. Katsmayer, KhGS. No. 8. 1259 (2010) [Chem. Heterocycl. Comp., 46, No 8, 1020 (2010)].
3. Sh. A. Samsonia, M. V. Trapaidze, N. N. Nikoleishvili, K. G. Japaridze, J. P. Maisuradze, U. Katsmayer, KhGS. No. 9. 1336-1344 (2011) [Chem. Heterocycl. Comp., 47, No 9, 1098-1104 (2011)].
4. Shota Samsoniya, Marina Trapaidze, Nino Nikoleishvili, Kokhta Japaridze, Jimsher Maisuradze. Photochromic Properties of Indoline Bis-Spirochromens Obtained on the Basis of Dipyrrolonaphthalenes. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. 2013. vol. 7, No. 3, p.51-56.

ზოგიერთი მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალების შესახებ ქართული საექიმო წიგნებისა და კარაბადინების მიხედვით

ი. გოგონაია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი, სასწავლო და საკვალიფიკაციო პროექტების სამსახურის უფროსი, თბილისი, საქართველო

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 2022 წლიდან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი "საბუნებისმეტყველო (ქიმიურ-ტექნოლოგიური და მინერალოგიურ-გემოლოგიური) ცოდნა ქართულ და აღმოსავლურ ხელნაწერებში" (გრანტი FR-21-620). ქიმიური შინაარსის ხელნაწერები მსოფლიო მასშტაბითაც კი მცირეა, რაც ზრდის საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ქართული და აღმოსავლური ხელნაწერების ღირებულებას. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერია ვახტანგ VI-ის ავტორობით შექმნილი უნიკალური შრომა „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ (ხელნაწერი S-3621, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცული მრავალფეროვანი მასალა მოიცავს ალქიმიის, თეორიული და პრაქტიკული ქიმიის, ქიმიის ისტორიის ამსახველ ცალკეულ თხზულებებს. ქიმიური შინაარსის მასალა აგრეთვე წარმოდგენილია სამედიცინო ხელნაწერებში, საოჯახო წიგნებში, ასევე, ხელნაწერთა მინაწერებში გაფანტული ცალკეული ტექნოლოგიური რეცეპტების სახით. პროექტის ერთ-ერთ საკვლევ ამოცანას წარმოადგენს ფუნდამენტურ სამედიცინო თხზულებებში (ქანანელის „უსწორო კარაბადინი“, ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოდ“, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“, დავით ბაგრატიონის, დაუთხანის „იადიგარ დაუდი“) მოცემული წარმოდგენები მინერალური წარმოშობის ნივთიერებებზე, მათ გამოყენებაზე მკურნალობის მიზნით, რომელიც ამ ნივთიერებების თვისებების შესახებ ცოდნას ეფუძნება.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია კარაბადინებში დაცულ წარმოდგენებზე ვერცხლისწყალსა და მის ზოგიერთ ნაერთზე (მაგალითად, სულეიმანის, სულეიმანის მაჯუნის სახელწოდებით ცნობილი ვერცხლისწყლის ნაერთი - სულემა HgCl₂) როგორც სამკურნალწამლო საშუალებებზე, რომლებიც ანტიპარაზიტული, სადეზინფექციო, ანტისეპტიკური მოქმედებით ხასიათდება. კვლევის შედეგად სამედიცინო წიგნებისა და კარაბადინების მიხედვით ამ ეტაპზე გამოიყო 40-მდე მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალება, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ქართული მედიცინის ისტორიის, ისე საქართველოში ქიმიის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. Ill. Abuladze. For the relationship between ancient Georgian and ancient Armenian medical writings. Works, IV, Tbilisi, 1985.
2. Vakhtang VI. The book on mixing and chemistry of oils is created, the text was prepared for publication by T. Enukidze and V. Kokochashvili, Tbilisi, 1981.
3. d. Bagration. Yadigar Daud, published by P. Firfilashvili (1938 according to the edition of L. Kotetishvili), Tbilisi, 1985.
4. Z. Fanaskerteli-Tsitsishvili. Healing book - Karabadin, text prepared, notes, search index and dictionary added by M. Shengelia, editor E. Kandelaki, Tbilisi, 1978.
5. L. Samkurashvili, I. Gogonaya, T. Abuladze, L. Shatirishvili, N. Khizanishvili, Medical and veterinary manuscripts in Georgian and foreign antiquities, with the reaction of T. Abuladze and L. Samkurashvili, Tbilisi, 2022.
6. Doctor's book. Translation of Khojafouli, the text was prepared for publication, research and dictionary were added by L. Kotetishvili, Tbilisi, 1936.
7. Description of Georgian manuscripts (from the collection of the former Literacy Society (S), compiled by A. Bakradze, El. Metreveli and Mz. Shanidze, edited by El. Metreveli, Volume III, Tbilisi, 1963.
8. N.A. Figurovsky. History of chemistry. M.: Enlightenment, 1979.

მასალების ქიმიზმის მნიშვნელობა კონსერვაციასა და რესტავრაციაში

თ. დვალისვილი

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თბილისი, საქართველო

კულტურული მემკვიდრეობის შექმნის ისტორიაში ვლინდება ხელოვნების და ისტორიული ნიმუშების მოვლა-აღდგენის სხვადასხვა მიდგომა, რაც თავისთავად შეიძლება რესტავრაციის განვითარების გზაზე პირველ მცდელობად მივიჩნიოთ. ადრეულ დროში, ნივთების და ძეგლების ეგრეთ წოდებული რესტავრაცია, უფრო გამოყენებით ხასიათს ატარებდა და არ ისახავდა მიზნად ობიექტის ავთენტური სახის შენარჩუნებას, ის უფრო პრაგმატული ხასიათის იყო და ზრუნავდა მხოლოდ ობიექტის შენარჩუნებაზე მომდევნო გამოყენებისთვის. ამის გამო, ხშირად ხდებოდა ძველი ნიმუშების უტილიზაცია, გადაკეთება, განახლება და არსებული ვითარებისთვის მისი საჭიროებისამებრ მორგება. დროთა განმავლობაში მოხდა ძეგლებისა თუ ნივთების ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის გაცნობიერება და სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო ადამიანმა მათი პირვანდელი სახით შეენარჩუნებაზე ზრუნვა. ეს ეტაპი შეიძლება ჩაითვალოს რესტავრაციის დაბადებად.

რესტავრაციის, როგორც დარგის ჩამოყალიბება დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში. მეოცე საუკუნის შუა წლებიდან კი მისი

სამეცნიერო მიმართულებით განვითარება იწყება, რაც ვლინდება ობიექტების მდგომარეობის უფრო სიღრმისეული კვლევების წარმოებასა და ახალი სარესტავრაციო მასალების შექმნაში.

დარგის განვითარებამ გამოავლინა მისი ინტერდისციპლინარული მიდგომის აუცილებლობა, რადგან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ისტორიული ნიმუშების მოვლა-შენახვის საკითხები პირდაპირ უკავშირდებოდა ისეთ მეცნიერებებს, როგორცაა ქიმია და ფიზიკა. ობიექტების დაბერების პროცესი, მისი გარემოსთან ურთიერთქმედება, ადამიანის მიერ მისი გამოყენება და შემდგომი შენახვის ყველა საკითხი, პრობლემა და თავისებურება მჭიდრო კავშირშია მასალის ქიმიზმთან. ობიექტში მიმდინარე პროცესებით მიღებული შედეგები, რომლებიც გარკვეული დროის მონაკვეთში მიმდინარეობდა, ხშირად ნათლად გვაჩვენებს თუ რა ნივთიერებებთან კავშირში იყო ობიექტი, რა გარემოში იმყოფებოდა და რა ზემოქმედება მოხდა მსაზე. ამ საკითხების კვლევა და გათვალისწინება რესტავრატორს ეხმარება სწორი მიდგომების, მეთოდების და მასალების შერჩევაში.

მეოცე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული აქტიურად ვითარდება სარესტავრაციო მასალების წარმოების დარგიც. მეცნიერებთან ერთად ხდება ძველი ტრადიციული მასალების შერჩევა და გადახედვა, მათი თანამედროვე რესტავრაციაში დანერგვის მიზნით. ასე მაგალითად ტრადიციული იაპონური ქალაქი „ვასი“ გახდა ძირითადი მასალა ქალაქსაფუძვლიანი და ეტრატის ნიმუშების კონსერვაცია-რესტავრაციაში.

ამასთანავე იხვეწება სხვადასხვა სახის ლაქების, ადგეზივების და საკონსერვაციო მასალების კომპოზიტები. ძველ ტრადიციულ მცენარეულ თუ ცხოველური გლუტენის წებოებთან ერთად, ახალი მიღწევები ქიმიაში რესტავრატორებისთვის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე პოლიმერულ მასალებს, რომლებიც დროთა განმავლობაში მკვიდრდება კონსერვაცია-რესტავრაციის დარგში, მათი უნივერსალურობის გამო. ასევე ვითარდება ქალაქის დაბერების, მჟავიანობის და მელნის სტრუქტურის კვლევის საკითხები და კონსერვაციის მეთოდები.

ამგვარად, რესტავრაციის ობიექტების და მათი კონსერვაციითვის საჭირო მასალების ქიმიზმის როლი ერთ-ერთ მთავარია ამ მიმართულებით. საკონსერვაციო და სარესტავრაციო მასალების შესწავლის საკითხი აქტუალურობას არ კარგავს და ახალი მიგნებების საშუალებას აძლევს სპეციალისტებს საკუკეთესო შედეგების მისაღებად.

ლიტერატურა:

1. H. Isenberg, Pulp and Paper Microscopy. Appleton, Wisconsin: The Institute of Paper Chemistry, 1967
2. Inês da Silva Borges, Maria Helena Casimiro, Maria Filomena Macedo, Sílvia Oliveira Sequeira, Adhesives used in paper conservation: Chemical stability and fungal bioreceptivity, Journal of Cultural Heritage/Volume 34, November–December 2018
3. M.K. Nikitin, E.P. Melnikova, Chemistry in Restoration, Reference Manual, Leningrad 1990
4. Ivanov S.N. paper technology. M.: Lesn. industry, 2006
5. Privalov V.F. Ensuring the safety of archival documents on paper: Methodological guide / Rosarkhiv. VNIIDAD. M.: 2003.

ხელნაწერი მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაციის ეტაპები და ქიმიის როლი აღდგენა-განახლების პროცესში

ა. გვაზავა, რ. კლდიაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნისა თუ ისტორიული დოკუმენტისა და საარქივო მასალის კონსერვაცია და მათი აღდგენა-განახლება რესტავრაციის სხვადასხვა დარგების კვალდაკვალ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან თითოეული მათგანი, ანუ სარესტავრაციო ერთეული მასალის მრავალფეროვნებითა და დაზიანების სიმრავლით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ რესტავრატორის წინაშე დასახული მიზანი, რომ ჩაატაროს ისეთი სამუშაო, რაც გულისხმობს დაზიანებული ხელოვნების ნიმუშის აღდგენას ორიგინალის ზუსტი ასლის ან მასთან მიახლოებული ვიზუალური ერთი-ორად გართულეულია, რადგან ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ რესტავრატორი ისეთ შედეგზე უნდა გავიდეს, თან შენარჩუნებული იყოს ნიმუშის ისტორიული თუ მხატვრული ღირებულება და თან შეასრულოს თავისი არსებითი ფუნქცია. სახელდობრ ის, რომ არ შეიზღუდოს მკითხველი წიგნის კითხვის შესაძლებლობისგან, ხოლო მკვლევარს საშუალება ჰქონდეს მისი შინაარსობლივი, მხატვრული თუ ვიზუალური შესწავლისა. ეს ერთი შეხედვით მარტივი ჭეშმარიტება, პრაქტიკაში არც თუ ისე ადვილად შესასრულებელია, განსაკუთრებით მაშინ როცა ხელოვნების ნიმუში და ამ შემთხვევაში ხელნაწერი წიგნი, მრავალფეროვანი მასალითა და დაზიანების სიმრავლით გამოირჩევა. ასეთ დროს რთულია იმ ოქროს შუალედის პოვნა რომელიც თანაბრად პასუხობს დასახული მიზნისა და ამ მიზნამდე მისასვლელი ყველა საშუალების მართებულობას.

წიგნის რესტავრაცია, ანუ მისი განახლებისა და შეკეთების პროცესი, სხვადასხვა აუცილებელ ეტაპებს მოიცავს და სწორედ ამ ეტაპების თანმიმდევრობის დაცვა და ზედმიწევნით შესრულება ხდის ხელნაწერის ავთენტურობის, ისტორიული თუ მხატვრული ღირებულების შენარჩუნებისა და რაც მთავარია ერთეულის გადარჩენისა და ხანგრძლივი შენახვის შესაძლებლობას. მოკლედ რომ აღწეროთ, რასაც შემდგომ სტატიაში განვაგრძობთ, წერილობითი მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესი შემდეგ აუცილებელ პუნქტებს მოიცავს, ესენია:

ა) ერთეულის ვიზუალური თუ ლაბორატორიული შესწავლა, რაც თავის თავად გულისხმობს დაზიანების მდგომარეობის განსაზღვრასა და ჩასატარებელი სამუშაოების გეგმის შედგენას.

ბ) ტექნიკა მოიცავს ერთეულის გაწმენდას და ქიმიურ დამუშავებას, იქნება ეს მელნის კვლევისა თუ Ph-ის დადგენის, მისი განეიტრალებისა თუ მელნის გამაგრების პროცესები და სხვა.

გ) ფოტო დოკუმენტირება, რაც რესტავრატორის ყველა ქმედების, დაზიანებული და შემდეგ უკვე აღდგენილი კერების დაფიქსირებას და ციფრულად ასახვას გულისხმობს. და მხოლოდ ამ ეტაპების შემდეგ იწყება ის რთული პროცესები,

დ) რასაც ერთეულის დაზიანებული დეტალების კონსერვაცია-რესტავრაცია ქვია, იქნება ეს ყდის - ტყავის, ლითონის, საკეტების ყუის - თასმების, დაშლილი ბლოკის, კაპტალის, ფურცლების - ნაკლული ადგილების შევსების, დეფორმაციის გასწორების, ყუის კონსერვაციის, ფერწერის გამაგრების, ადრე რესტავრირებული და დამაზიანებელი მასალის მოხსნისა თუ სხვა უამრავი დეტალის გათვალისწინება და სამუშაოების ჩატარება.

ზემოთ ჩამოთვლილი პროცესები ცხად ყოფს რომ, რესტავრაციის ეს მიმართულება აერთიანებს ისეთ დარგებს როგორებიცაა ქიმია და ბიოლოგია. ხშირია მელნის ჟანგისა და ქაღალდში Ph მომატების, აგრეთვე ოზის სოკოს სპორების კვალი ერთეულის ფურცლებზე, ყუასა და ტყავის ყდაზე. სწორედ ამიტომ თითქმის ყველა ქმედება რასაც რესტავრატორი ახორციელებს ერთეულის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ან მის შესანარჩუნებლად, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქიმიურ პროცესებთან და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სფერო კონსერვაცია-რესტავრაციის განუყოფელი ნაწილია. ამ და სხვა მიზეზების გამო მიზანშეწონილად მივიჩნით საკითხი უფრო ფართო ჭრილში განვიხილოთ, მეტი სიზუსტით აღვწეროთ კულტურული მემკვიდრეობის, ამ შემთხვევაში ხელნაწერების კონსერვაციისა და რესტავრაციისთვის საჭირო ყველა ეტაპი, მათ შორის ქიმიურად დამუშავების, გაწმენდის, მათი მოვლისა და შენახვის პროცესები.

სექცია 2. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგია Section 2. Chemical and biological technology

Mathematical model of diffraction of ultrasound on a rectangular aperture array.

A. Tarkhnishvili, L. Kartvelishvili, T. Cheishvili

Chemical and biological technology department, Georgian Technical University, Kostava str. N69,
0192, Tbilisi, Georgia.

- Electrical and computer engineering faculty, Technion, Haifa 3200003, Israel.

In recent years, the development of acoustic composite materials for ultrasound fields with the required parameters actively developed. The created metamaterials change the ultrasound field by various physical effects, such as resonance, interference, diffraction. The design of such structures is important in medicine and engineering. Acoustic ultrasonic metamaterials consist of repeating structures, which are called meta-atoms, each of these structures in changes the acoustic field passing through it. The sizes and shapes of meta-atoms are closely related to the parameters of the acoustic field: wavelength, directivity. When meta-atoms are smaller than the wavelength, such subwavelength particles behave like continuous media. Those metamaterials that concentrate the acoustic field on a certain part of space are of particular interest.

Conventional focusing in both optics and acoustics uses traditional refractive angle lenses, diffractive Fresnel lenses, lenses based on sonic crystals, or on metamaterials.

There are also acoustic devices that concentrated sound energy through the phenomenon of wave diffraction. Acoustic lenses in analog with optical lenses based on constructive interferences of diffracted fields. Calculation models of electromagnetic waves diffraction can be extended to acoustic waves, with taking into account physical differences between them.

In our paper we represent simulation model of ultrasound diffraction on periodic structure, such as N rectangular apertures array. Calculations were done in MATLAB.

When ultrasound beam with specific frequency propagates through array of small rectangular apertures, the diffraction pattern depends on the dimension, number of the apertures and the distance between them.

We simulate different cases of the rectangular apertures array, where we change number, dimension of the apertures, distance between the apertures and the wave frequency. Calculated applied for the wave distributed at the water, here sound velocity is 1316 m/c.

By using our model, we study dependence of geometry of the apertures array on the ultrasound field distribution. Calculation was done for two different frequencies of ultrasound, 0.13 and 3 MHz, three models of aperture array with 5, 25 and 50 apertures and different size of

the apertures, less than wavelength and two times the wavelength, and also different spaces between the apertures.

According our calculations we conclude, that array works as an energy concentrator. Ultrasound beam area decreases with the increasing of number of apertures. Additionally, we can conclude that diffraction pattern depends on the spacing between apertures. If the distance less than wavelength, the beam energy is concentrated into one point, if the distance larger than wavelength, the beam energy is separated.

Literature

1. Fuyin Ma, Zhen Huang, Chongrui Liu, et al. (2022) Acoustic focusing and imaging via phononic crystal and acoustic metamaterials. J. Appl. Phys. p.131, 011103.
2. Zangeneh-Nejad F., Fleury R. (2019) Active times for acoustic metamaterials. Reviews in Physics. Volume 4, November, 100031.
3. Kino, G., ed. (2000). Acoustic Waves: Devices, imaging, and analog signal processing. Prentice Hall. Chapter 3, p. 165.
4. Cowley J. M. (1995). Diffraction Physics. Elsevier.
5. Tarrázó-Serrano D., Rubio C., Minin O.V., Candelas P., Minin I.V. (2019) Manipulation of focal patterns in acoustic Soret type zone plate lens by using reference radius/phase effect. Ultrasonic, Volume 91, January, 237-241.

თიხოვანი ქანების აფუების პროცესზე ორგანული ბუნების ტექნოგენური დანამატების გავლენა

ა. გურასპაშვილი, მ. მშვილდაძე, თ. ჭეიშვილი

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. N 69. 0192, თბილისი, საქართველო.

ხელოვნურად მიღებულ არაორგანული ბუნების ფორიან მასალებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ არაერთ დარგში. მათ შორის გამორჩეულად შეიძლება ჩაითვალოს სამშენებლო საქმე, თბოტექნიკა/თერმოიზოლაცია, ქიმიური მრეწველობა, აგროინდუს-ტრია და რიგი სხვა. ასეთი მასალების მიღება ხშირად ხდება როგორც მრავალი სახის თიხოვანი ქანიდან, ასევე სხვა მინისებრი და კრისტალური ბუნების წყალშემცველი ადვილ-დნობადი ქანებიდან (პერლიტი, ობსიდიანი, ვულკანური ფერფლი და ა.შ.) [1, 2].

ფორიანი მასალების მიღების შესაძლებლობას განსაზღვრავს რამოდენიმე ფაქტორი, რომელთაგან გამოყოფენ ქანების ქიმიურ შედგენილობას და მასალის გრანულომეტრიას. ქანების/ნედლეული მასალების ქიმიური შედგენილობასთან მიმართებაში არის მოთხოვნა \square ისინი უნდა გამოირჩეოდნენ ადვილდნობადობით, აფუების გამომწვევი წყაროების (კირქვოვანი ან ორგანული ნაერთები) მათში არსებობით, ხოლო გრანულომეტრია მყარი სახეობის ქანებთან მიმართებაში არ უნდა იყოს 5 მმ-ზე ნაკლები. სხვა შემთხვევაში საჭირო ხდება აფუების ხელოვნური გამომწვევი მასალების გამოყენება და მათ შორის ორგანული ბუნების მასალების [3].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფორიანი ხელოვნური მასალების მიღების შესაძლებლობის რეალიზაცია, როდესაც საწყისი ნედლეული წარმოდგენილია არატრადიციული ნედლეულით, როგორც ქიმიური შედგენილობით (მაგ. თიხები), ასევე გრანულომეტრიით (მაგ. ქვისმაგვარი ფიქალები). აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული იქნა ცნობილი მიდგომა - პრობლემურ ნედლეულში სპეციალურ დანამატად ორგანული ნაერთების მოზიდვა. ამ მიზნით ექსპერიმენტში დანამატად გამოყენებული იქნა სამი სახის ტექნოგენური ნედლეული: ამორტიზებული („ნამუშე-

ვარი“) ავტომობილის ზეთი, ადგილობრივი (ტყიბულის) საბადოს ქვანახშირი (წვრილმანი) და მერქნის გადა-მუ-შავების (სახერხში ნარჩენი) ნახერხის სახით. აქვე დანამატის სამივე სახეობა - ნარჩენი, როგორც ეკოლოგიურად საკითხის წარმომქმნელად შეიძლება იქნას მიჩნეული.

ბუნებრივი წარმოშობის ნედლეულის (თიხა/ფიქალი) და შერჩეული დანამატებისაგან მზადდებოდა სპეციალური ნაზავები. თიხის შემთხვევაში მიიღებოდა ხელოვნური დაგუნდავებით წარმოქმნილი გრანულები, ხოლო ფიქალის წმინდაფრაქციული ნარჩენიდან (მარცვლების ზომა 5 მმ-ზე ნაკლები) მექანიკური ნარევი. ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული კვლევები მოითხოვდა ორივე სახის მასალის შამოტის 250-300 მლ ტევადობის ქოთნებში მოთავსებას და შემდგომ თერმულ დამუშავებას. შედარებით კვლევებში ყველა სახის ნარევი დამუშავებული იქნა 12000C-ზე, როდესაც დაყოვნების დრო შეადგენდა 17-20 წუთს. ნარევიდან ფორიანი მასალის მიღების შესაძლებლობა შეფასდა ნაყარი მოცულობით წონების დადგენით.

ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევით მოპოვებული იქნა შედეგები, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ზოგადი ხასიათის დასკვნების გაკეთება:

- აფუებისადმი მიდრეკილების მაღალი უნარი მკაფიოდ ვლინდება „თიხა-ტექნოგენური დანამატი“ ნარევიში, რაც უკავშირდება აფუების სტიმულატორის/დანამატის თანაბარზომიერ გადანაწილებას და აფუების პროცესის სრულყოფილად წარმა-რთვას.

- ყველა სახის ქანის აფუების ხარისხზე გავლენას ახდენს დანამატად გამოყენებული ტექნოგენური მასალების რაოდენობა და მათი აფუებისადმი მიდრეკილების ზრდა ფიქსირდება შემდეგ მწკრივში: დამუშავებული ზეთი → ნახერხი → ნახშირი.

- მყარი ფორმის თიხოვანი მასალის შემთხვევაში გამოიკვეთა მასალების გრანულომეტრიის გავლენა აფუების ხარისხზე. კერძოდ, გრანულომეტრიის ზრდა ამცირებს მარცვლოვან მასალათა აფუებისადმი მიდრეკილებას.

ლიტერატურა:

1. Z. Javashvili, T.Cheishvili. Prospects of receipt and application of perous inorganic materials in Georgia. International Scientific journal „Intellectual“, N28, 2015. pp. 112-117
2. T. Cheishvili, Z. Javashvili, N. Omiadze. Porous materials on the basis of local clay states and their properties. Georgian Chemical Journal. N1, 2016, pp2013-2016
3. E.Shapakidze, R.Skvitaridze, I. Kamushadze, L. Gabunia, I. Gejadze, O. Cheishvili, T. Petriashvili. Development of the regime of thermal modification of clayey rocks for their pozzolanic activation. Mining Journal. 1(43), 2020, pp. 71-76.

მირტკბილას (*Glycyrrhiza glabra* L) მცენარეული ნედლეულიდან ნატურალური ფენოლური ნაერთების გამოყოფის პროცესის ოპტიმიზაცია

ზ. გელიაშვილი, თ. კაჭარავა

ქიმიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქუჩა 69, 0192, თბილისი, საქართველო

-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი, სარაჯიშვილის 1, 0197, თბილისი, საქართველო

ნატურალურ ფენოლურ ნაერთებს აქვთ უნივერსალური გავრცელება მცენარეთა სამყაროში. ისინი დამახასიათებელია ყველა მცენარის უჯრედისთვის. ამჟამად ცნობილია ორი ათასზე მეტი ბუნებრივი ფენოლური ნაერთი [1,2].

საკვლევ ობიექტად გამოყენებულია სამკურნალო მცენარეებში მეტად პრიორეტული

გამოყენების შესაძლებლობის მქონე პარკოსანი ოჯახის, ბალახოვანი მცენარე ძირტკბილას (*Glycyrrhiza glabra* L) ფესვები.

მსოფლიოში ჩატარებული კვლევების შედეგად დაგროვდა და ნაწილობრივ გამოქვეყნდა ვრცელი ფაქტობრივი მასალა ამ გვარის მცენარეთა სახეობებიდან გამოყოფილი ფენოლური ნაერთების შესახებ [3-5].

შესწავლილი იქნა ფენოლური ნაერთების ექსტრაქციის დამოკიდებულება სხვადასხვა ფაქტორებზე: ექსტრაქტორზე, ნედლეულისა და გამხსნელის თანაფარდობაზე, ტემპერატურაზე, გაცხელების დროსა და ექსტრაქციის მეთოდზე.

შესწავლილია ფენოლური ნაერთების გარდაქმნები გამოყოფისა და შენახვის დროს და განისაზღვრა მათი მდგრადობა სინათლის, ტემპერატურის, გარემოს pH-ისა და გაცხელების დროის მიმართ. შეფასდა ძირითადი ექსპერიმენტული პირობების (ნატრიუმის ჰიდროქსიდის კონცენტრაცია, ნიმუშის მასა, ექსტრაქციის დრო და ტემპერატურა) გავლენა მათ გამოსავ-ლიანობაზე.

გამოთვლილია პოლიფენოლების ექსტრაქციის პროცესის საშუალო სიჩქარე ძირტკბილას ფესვებისა და ღეროების ექსტრაგენტთან ოპტიმალური თანაფარდობით დუდილისას.

შესწავლილია კვლევის ობიექტიდან გამოყოფილი ფენოლური ნაერთების ექსტრაქციის პროცესის კინეტიკური პარამეტრები, იზოლირებული ფენოლური ნაერთების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, მიღებული მშრალი ექსტრაქტების ხსნადობა ორგანულ გამხსნელებში, განსაზღვრულია ფენოლური ნივთიერებების ფარდობითი სიმკვრივე, მათში ე.წ. მშრალი ნივთიერებების შემცველობა და გამოყოფილ ექსტრაქტებში ფენოლური ნივთიერების რაოდენობა.

ნედლეულისა და გამხსნელის თანაფარდობის გაზრდით იზრდება ფენოლური ნაერთების ექსტრაქციის ხარისხი. ძირტკბილას წყალხსნარის ტემპერატურის გაზრდით გამოყოფილი ფენოლური ნაერთების კონცენტრაცია იზრდება 20%-მდე.

აღსანიშნავია, რომ ძირტკბილას ღერო და ფესვი ლიტერატურული მონაცემების შეჯამებითა და სისტემატიზაციით შეიცავს ბუნებრივ ფლავონოიდებს - ლუტეოლინს, კვერცეტინს, აპიგენინს, კემპფეროლს, იზორჰამნეტინის და სხვ. განხორციელდა პოლიფენოლებისათვის დამახასიათებელი თვისებითი რეაქცია $FeCl_3$ -თან. როგორც წესი მწვანე შეფერილობა აქვთ ნაერთებს, რომელიც შეიცავს ორთო დიჰიდროქსიფენოლურ ჯგუფებს. ფლავონოიდებზე და ფლავონოლებზე კონცენტრირებული გოგირდმჟავას მოქმედებით წარმოიქმნება ფლავილოიდური მარილები, რომელთა ხსნარები ხასიათდება კაშკაშა ყვითელი შეფერილობით. ფლავონოიდები კონცენტრირებულ მჟავასთან წარმოქმნიან ჟოლოსფერ შეფერილობას. ფლავონოიდები (ფლავონები, ფლავანოლები, ფლავანონები) ურთიერთქმედებენ მეტალურ მაგნიუმთან და კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან, შედეგად ადვილად აღდგებიან და შეფერილ ნივთიერებებს წარმოქმნიან, შეფერილობა დამოკიდებულია ფლავონოიდების აღნაგობასთან. ფლავანოლები (კვერცეტინი) წარმოქმნის ნაერთს, რომელიც ხასიათდება მოვარდისფრო წითელი ან მოწითალო იისფერი შეფერილობით (კონცენტრაციიდან გამომდინარე). კვერცეტინის აღდგენით წარმოიქმნება ციანიდინი. 1 მლ კვერცეტინის ნაჯერ სპირტხსნარზე მეტალური მაგნიუმის ფირფიტის ან ფხვნილის თანაობისას 3-4 წვეთი კონცენტრირებული გოგირდმჟავას დამატებისას დასაწყისში ხსნარი შეიფერება ვარდისფრად, ხოლო დაყოვნების შემდეგ შეფერილობა ძლიერდება და გადადის ჟოლოსფერ და მოწითალო იისფერ შეფერილობაში [6].

ლიტერატურა

1. Koiava L., A. Kalandia A., Kacharava T. Phenolic compounds and Pectin consist of *Vaccinium Corymbosum* of Blueberry, International Journal of Advanced Research, 2016, Volume 4, Issue 7, 2231-2236.
2. Aobulikasimu Hasan, Meng Zhang et all. Bioactive prenylated phenolic compounds from

- the aerial parts of *Glycyrrhiza uralensis*, *Phytochemistry*, Volume 201, September 2022, <https://doi.org/10.1016/j.phytochem.2022.113284>
3. Ermakova V.A., Samylina I.A., Kovaleva T.Yu., Brovchenko B.V., Dorovskikh E.A., Bobkova N.V. Licorice roots: an analysis of pharmacopoeial requirements. *Pharmacy*, 2019; 6 (68) p.16-19.
 4. Kurkin V.A., Egorov M.V. Standardization of licorice roots and medicinal preparation "Liquid extract of licorice". *Basic research*. 2014. No. 6-6. s.1232-1236
 5. Litvinenko V.I. Licorice: taxonomy, chemistry, technology, standardization, *Pharmacology, clinic*. Yaroslavl: Avers Plus, 2014. p.466
 6. Bochkareva I. I., Artemyeva V. V., Dyakova I. N. Qualitative analysis of flavonoids. *Vestnik VGU, Series: Chemistry. Biology. Pharmacy*. 2017, No. 1, pp. 143-147.

ზეთოვანი თესლების (კაკლის, გოგრის, თხილის და ნესვის) მომზადება, ზეთის გამოსაყოფად

მ. მაისურაძე, გ. პატარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის დეპარტამენტი, მ. კოსტავას ქუჩა 69, 0192, თბილისი, საქართველო

კვლევის ობიექტად გამოყენებულია, გურიის, რაჭის, აჭარის და სამტრედიის რეგიონში აღებული თხილის და კაკლის ნაყოფები და კახეთის და იმერეთის რეგიონში აღებული ნესვის და გოგრის თესლები.

ჩვეულებრივი კაკლის, გოგრის, თხილის და ნესვის ნაყოფები გავასუფთავებთ მინარევისაგან და გამოვაშრებ, რადგან შენახვისას და გადამუშავებისას მინარევის არსებობა აუარესებს ზეთოვანი თესლების თვისებებს და შესაბამისად მიღებული ზეთის ხარისხიც ქვეითდება, ამ დროს ზეთის დანაკარგიც იზრდება. რადგან ჩვენ გვინტერესებს არამხოლოდ მიღებული ზეთი კოპტონიც შროტი აღმოჩნდა, რომ მათი ხარისხიც დაბალია.

კაკლის და თხილის ნაყოფების, გოგრის და ნესვის თესლების ბიოქიმიური შედგენილობა მოიცავს საკვები და ფიტოქიმიური ნაერთების რთულ კომპლექსს, რომელთა ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობაც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ისინი როგორც ნედლეულის წყარო ფართო ასორტიმენტის პროდუქციის წარმოებისათვის. ესენია საკვები, ფარმაცევტული, კოსმეტიკური და ტექნიკური დანიშნულების ზეთები, საღებავები, სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, საკვები ცილები, ტანინი, ფიტინი და სხვა.

კაკლის და თხილის ნაყოფები, გოგრის და ნესვის თესლები გამოიყენება არასრულად და არარაციონალურად.

წარმოებაში ზეთოვანი თესლების მინარევისაგან გასაწმენდად ძირითადად იყენებენ მაღალეფექტურ, კომბინირებულ მანქანებს. უფრო მეტად გავრცელებულია აერო - (საცეროვანი) სეპარატორები სადაც თესლებს მინარევის მოსაცილებლად ცრიან შესაბამის ზომის საცერში. სეპარატორის შესასვლელში და გამოსასვლელში თესლებს უბერავენ ჰაერს, რომელიც ანთავისუფლებს მსუბუქი მინარევისაგან. სეპარატორის გამოსასვლელთან დაყენებულია მაგნიტი რომელიც იჭერს რკინის მინარევის.

ჩვენ შემთხვევაში გავასუფთავებთ ხელით. გამოვაშრებთ ოთახის ტემპერატურაზე.

ზეთოვანი კულტურის მინარევის აქვთ მყარი გარსი, რომელიც საჭიროებს განცალკევებას ზეთის გამოყოფამდე. ზეთოვანი თესლების გარსის ბირთვიდან გამოყოფა აუმჯობესებს მისაღები ზეთის ხარისხს.

ლიტერატურა:

1. Mirotdze M. Factors affecting the storage of nuts. *Proceedings of the International Scientific Conference "Problems of Food Safety" 2009*

2. Goliadze V., Nikolaishvili A. Nut pests, diseases and control measures. Tbilisi, 2010
3. Food safety and quality guidelines for the nut sector, Tbilisi, 2013.
4. Pataridze G., Gelovani N., Maisuradze. / "Preparation of plant collection (collections) from the mass obtained after removing oil from walnut and hazelnut fruits, pumpkin and melon seeds" / Journal of the Association of Ceramics of Georgia. Ceramics 20. 1(39). 2018.

საქართველოს ბუნებრივი რესურსის კლინოფთილოლოგიური ტუფის, დიატომიტის და კირის სორბენტებად გამოყენების ასპექტები

ვ. გორდელაძე, ე. უჩანეიშვილი, ნ. მუხადგვერდელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიის დეპარტამენტი, მ. კოსტავას ქუჩა 69, საქართველო, თბილისი.

პრობლემის არსი საკვამლე აირებით ატმოსფეროში CO₂-ის ემისიით სიჭარბით, გამოწვეული გლობალური დათბობის პრობლემის პრევენციის ხელშეწყობაა. ნახშირბადის დიოქსიდისგან აირ-ჰაეროვანი გარემოს გასუფთავების პრობლემა მრეწველობის სხვადასხვა დარგებში არსებობს (ბუნებრივი აირების დამუშავების პროცესები, ჰაერის კრიოგენური დაყოფა, მეტალურგია, პოლი-მერების წარმოება და სხვა). CO₂-ის დაჭერა, შენახვა და უტილიზაცია გლობალური დათბობის პრობლემებსა და კლიმატის ცვლილებებთან კავშირში, ყველაზე პრიორი-ტეტულ და შესასრულებელ ამოცანათა რიგში არის დაყენებული.

მოცემული პრობლემის გადასაჭრელად გლობალურად მუშავდება სხვადასხვა, მათ შორის CCUS (Carbon Capture Utilization and Storage) ტექნოლოგიები[2,3], რომელთა ნაკლია მყარი სორბენტების და მათი კომპონენტების დეფიციტურობა და ტექნოლოგიების სიძვირე. მყარი სორბენტი -300oC-ზე გააქტიურებული კლინოფთილოლოგიური სორბირებს (20 °C) 9.8 % CO₂-ს [4], რაც ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელ სიტუაციას, ვერ უწყობს ხელს CO₂ სიჭარბის პრევენციას, ამიტომ მას იშვიათად იყენებენ მყარი სორბენტების დასამზადებლად.

ცეოლითური სორბენტები, მუშაობენ „სორბცია - დესორბცია“ ან ქიმიური (<100°C), თბური (300-920°C) და ვაკუუმირებით რეგენერაციის ციკლებით, რა დროსაც, სორბენტის გრანულები სწრაფად ცვდება, გაჯერდება და მოდიფიცირდება. მაგალითად, სორბირებული (CO₂)-ით, რის გამოც ხდება „ამორტიზირებული და გამოსაყენებლად უვარგისი“ – AUS (Amortized and unusable sorbent)[5]. იქმნება CO₂-ით გაჯერებული სორბერების სწრაფად უტილიზაციის პრობლემა, რადგან ნარჩენ-საყრელებზე ხანგრძლივი განთავსებისას მოსალოდნელია CO₂-ის დესორბცია, ემისია ატმოსფეროში.

კვლევა გვთავაზობს: ბუნებრივი კლინოფთილოლოგიური ცეოლითური ტუფის ბაზაზე, დიატომიტის და კირის გამოყენებით, შეიქმნას CO₂-ის სორბციის 9.8%-ზე მაღალი დინამიური ტევადობის, მდგრადი - ხანგრძლივად გამოყენებადი, ბაზარ-ზე არსებულთან შედარებით იაფი, უტილიზაციით დამატებითი ღირებულების პრო-დუქტის შექმნის პოტენციის მქონე, CO₂ -ის მყარი სორბენტები- SSZDL (Super Sorbent: Zeolite + Diatomite + Lime). ამ ბუნებრივი ნედლეულის სორბციულ უნართა შერწყმით, სინთეზირდება CO₂-ის მიმართ გაზრდილი დინამიური ტევადობის, ანუ მაღალსორბციულ უნარიანი, მაღალი მექანიკური სიმტკიცის, ცვეთამედეგი მყარი სორბენტები SSZDL, კომპონენტთა შემდეგი თანაფარდობით, (მას.%): კლინოფთილოლოგიური 70 – 96; დიატომიტი 1 – 10; კირი 3 – 20. აგრეთვე, შემუშავდება ამორტიზირებული და გამოსაყენებლად უვარგისი SSZDL-ის უტილიზაციისას დამატებითი ღირებულების პროდუქტის შემქმნელი ტექნოლოგიები.

კვლევა ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი AR-22-2017 “CO₂-ს სორბენტები ბუნებრივ

ცეოლითთა ბაზაზე, სინთეზის/გამოყენების/უტილიზაციის ტექნოლოგიური იდეის კონცეპციის ფორმულირება, გამოყენებითობის დადგენა და დამტკიცება ლაბორატორიულ გარემოში ექსპერიმენტაციით“.

ლიტერატურა:

1. [<https://www.vesti.ru/nauka/article/2785376>];
2. Cuellar-Franca, Rosa M.; Azapagic, Adisa (March 2015). “Carbon capture, storage and utilization technologies: A critical analysis and comparison of their life cycle environmental impacts”. *Journal of CO2 Utilization*. 9: 82-102. Doi:10.1016/j.jcou.2014.12.001;
2. M.Dosa, M.Cavallo, N.G.Porcaro, F.c.Bonino, V.crocella, M.Plumetti, D.Fino. “CO2 capture and storage by natural zeolites”. 8th International Conference on Sustainable Solid Waste Management. THESSALONIKI2021, 23-26 JUNE.
https://www.uestntua.gr/thessaloniki2021/pdfs/THESSALONIKI_2021_DOSA_et_al.phdf;
3. Sh.D. Sabelashvili, K.K. Khachaturian, M.S.Merabishvili. “ADSORPTION OF CO2 ON NATURAL AND MODIFIED CLINOPTILOLITES”. *BULLETIN of the ACADEMY of SCIENCES of the GEORGIAN SSR*. 121, №1.1986 JANWAR. PP.109-112.
<http://science.org.ge/moambe/moambe-geo.html>.
4. GOST 310.2, Cements. Methods of grinding fineness determination, <https://meganorm.ru/Data2/1/4294853/4294853169.pdf>.

საკვამლე აირებში წარმოდგენილი CO₂, SO_x, NO_x-ით მოდიფიცირებული ცეოლითური ტუფის ცემენტის დანამატად გამოყენების ვალიდიზაციის საკითხისადმი

ი. გიორგაძე, თ. ჭეიშვილი, ნ. მუხადგვერდელი

- სტუ-ს სამეცნიერო ცენტრის „ნანოდულაბი“ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის AR-22-3231 საქართველო, 0192, თბილისი, მ. კოსტავას 69.

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა 69.

XXI საუკუნის უდიდესი პრობლემა და გამოწვევაა კლიმატის გლობალური ცვლილება/ დათბობა, აღნიშნულში თავისი წვლილი შეაქვს საწარმოების ტექნოლოგიური პროცესებიდან ატმოსფეროში შეუქცევადად ემისირებულ CO₂-ს, რომლის მასშტაბმა 2022 წელს მიაღწია 421ppm (ყოველ 1მ³ ჰაერში 421 მლ CO₂-ია) დონეს. აქედან, ატმოსფეროში საწარმოებიდან ემისიით გამოწვეული CO₂-ს სიჭარბის დონის პრევენცია კაცობრიობისათვის პრიორიტეტულად შესასრულებელი პრაქტიკული ამოცანაა [1].

ცნობილია, რომ ატმოსფეროში გლობალურად ემისირებული CO₂-ის 6-8%-ზე პასუხისმგებელია ცემენტის წარმოება. 1ტ ცემენტის დამზადებაზე დახარჯული 1.6-1.8ტ ნედლეულიდან, კლინკერის ღუმლიდან გამოსული 400°C-მდე ცხელი საკვამლე აირებით ატმოსფეროში შეუქცევადად ემისირდება არანაკლებ 0.64ტ CO₂, რაც ტექნოლოგიურად და ეკოლოგიურად ხერსაყრელი არ არის [2].

საკვამლე აირებში CO₂-ზე ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი SO_x (1.15-9.18 კგ/კვ.ცემ.) და NO_x (0.285-1.14კგ/კვ.ცემ), რომლებიც პასუხისმგებლები არიან დედამიწაზე „მჟავე წვიმების“ წარმოქმნის ხელშეწყობაზე. ამჟამად არ დგას მათი ემისიის შეზღუდვის გლობალური პრობლემა, მაგრამ საინტერესო ნაერთებად მიიჩნევენ ცემენტის/ბეტონის მოდიფიცირებისათვის [3,4].

არსებულ საკაცობრიო პრობლემასთან დაკავშირებით შეიქმნა CO₂ დაჭერა-უტილიზაციის 20-მდე CCU (“Carbon Capture Utilization”) ტექნოლოგია, მაგრამ მათი განხორ-

ციელზე მოითხოვს დიდ კაპიტალურ დანახარჯებს, რაც ზრდის ცემენტის თვითღირებულებას, ეფექტურად ვერ ამცირებს ატმოსფეროში ემისირებული CO₂-ის რაოდენობას და ამიტომ ფართოდ ვერ გავრცელდა [5].

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომა, საკვამლე აირებით ატმოსფეროში (CO₂, SO_x, NO_x) შეუქცევადი ემისიის პრევენციისა და ცემენტის (ბეტონის) შემადგენლობაში უტილიზაციის პრაქტიკული ამოცანის გადასაჭრელად ითვალისწინებს CCU პროცესში გამოყენებულ იქნეს მინერალ კლინოფთილოლითის შემცველი ცეოლითური ტუფი. ასეთი ნედლეულის საბადოები ბევრ ქვეყანაშია და კერძოდ, საქართველოში მისი მარაგი 300.0 მლნ ტ აღემატება, ხოლო საბაზრო ღირებულებაა <15.0 \$/ტ. საკითხის პრაქტიკული რეალიზაცია განხორციელდება: სავარაუდოთ 3-8მმ ფრაქციის კლინოფთილოლითის შემცველი ცეოლითური ტუფის მარცვლები (CLZT), შერჩეული კონსტრუქციის საშრობში და კლინკერის გამოსაწვავი ღუმლიდან ატმოსფეროში საემისიო საკვამლე აირებთან შედის შეხებაში. ამ დროს ხდება ორი ტექნოლოგიური პროცესის შერწყმა- ტუფის მარცვლების დეჰიდრატირება და შემდგომ CO₂, SO_x, NO_x ადსორბირება CLZT-ის წყლისგან გამოთავისუფლებული ფორების არხებში, სიღრუვეების გაჯერებამდე. ამ დროს მიმდინარეობს CLZT-ის მოდიფიცირება (კარბონიზაცია, სულფატიზაცია, დანიტგრა), რაც ზრდის მასალა-ადსორბენტის პუცოლანურ აქტიურობას. შედეგად, გარემოში ემისირდება ნახშირორჟანგის ნაკლები რაოდენობით შემცველი საკვამლე აირები (ეკოლოგიური ეფექტი), ხოლო რიგი აირით (CO₂, SO_x, NO_x) მოდიფიცირებული პუცოლანური დანამატი (მოდიფიცირებული CLZT), კლინკერთან/თაბაშირთან ერთად დაფქვისას, შესაძლებელს გახდის ცემენტის შემადგენლობაში უტილიზირდეს 35% მეტი რაოდენობით. აღნიშნული შეამცირებს ცემენტის მისაღები კლინკერის რაოდენობას და ამავედროულად ბეტონში შეიყვანს CO₂, SO_x, NO_x და პუცოლანიზაციასთან ერთად მოახდენს ბეტონის კარბონიზაციას, სულფატიზაციას, დანიტგრას, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სტრუქტურის 3d ნაწილს არმირებას ბეტონის სიმტკიცის გაზრდით და გამოიწვევს ცემენტის რაოდენობის შემცირება ბეტონების მიღების პროცესში.

ლიტერატურა

1. [<https://www.vesti.ru/nauka/article 2785376>];
2. European Commission. Integrated Pollution Prevention and Control. Reference Document on Best Available Techniques in the Cement and Magnesium Oxide Manufacturing Industries. May 2010". <http://eippecb.jrc.ec.europa.eu>;
3. Harold F.W. Taylor. Cement Chemistry. Academic Press. London, 1990;
4. EN 197-1:2011. EUROPEAN STANDARD. CEMENT-PART 1. www.Cembureau.be;
5. TECHNOLOGY BRIER. CARBON CAPTURE, USE AND STORAGE (CCUS). PUBLISHED 01/03/2021; UPDATED 01/03/2021. Document Categories: REPORTS, PROGRAMME. <https://unece.org/sites/default/files/2021-03/ccus>;

კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით: სამეცნიერო გრანტი AR-22-3231 „ცემენტის წარმოების ხერხი -საკვამლე აირებით შრობისას CO₂, SO_x, NO_x სორბციული დაჭერით ცეულითური ტუფის მოდიფიცირების, ცემენტის დანამატად გამოყენებითობის ვალიდაცია, კლინკერთან, თაბაშირთან ერთად ინდუსტრიულად დაფქვით, აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ტესტირებით“

ფაზური გარდაქმნები ოქროშემცველი სპილენძის ოქსიდური მადნის და აგრეთვე ქალკოპირიტის გადამუშავების ნარჩენების სეგრეგაციული მეთოდით გამოწვის პროცესში

რ. ჩაგელიშვილი, ვ. ჩაგელიშვილი, ც. გაგნიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფინელ აგლამის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

საქართველოში, ბოლნისის რაიონში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ძირითად სულფიდურ მადნებთან ერთად აღსანიშნავია დაბალხარისხიანი, ძნელად გამდიდრებადი ოქროშემცველი სპილენძის ოქსიდური, შერეული მადნები და მათი გადამუშავების ნარჩენები, რომელთა მიმართ ინტერესი, მეტალების ფასების ზრდასთან ერთად, განუხრელად იზრდება. ამ მადნების გადასამუშავებლად პერსპექტიულად გვესახება სეგრეგაციული მეთოდის გამოყენება, რამაც შეიძლება უზრუნველყოს მათი ეფექტური კომპლექსური გადამუშავება სასარგებლო კომპონენტების მაქსიმალური ამოღებით.

ძნელად გამდიდრებადი მადნების გადასამუშავებლად სეგრეგაციის პროცესმა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა ანგლო-ამერიკული ჯგუფის მიერ "TORCO"-ს პროცესის სახით, რაც ნიშნავს ძნელად გამდიდრებადი სპილენძის მადნების გადამუშავებას (Treatment Of Refractory Copper Ores). სეგრეგაციული გამოწვის მეთოდი გულისხმობს პირველ ეტაპზე - ნეიტრალურ ან სუსტალმდგენელ გარემოში მადნის მაღალტემპერატურულ (700-900°C) გამოწვას ნახშირისა და ტუტემეტალთა ქლორიდის თანაობისას. მეტალური სპილენძის და კეთილშობილი ლითონების ნაწილაკები იკრიბებიან ნახშირბადიანი აღმდგენელის ირგვლივ. მე-2 ეტაპზე - მიღებული სეგრეგაციის პროდუქტის ფლოტაციურ გამდიდრებას ისეთი კონცენტრატის მიღების მიზნით, რომელშიც თავს იყრის სპილენძი და კეთილშობილი ლითონები, რომელთა შემცველობა გაცილებით მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი ფლოტაციის გზით მიღებულ კონცენტრატში.

ექსპერიმენტები ჩატარდა ელექტროლუმელში მბრუნავ კვარცის რეაქტორში. შესწავლილი იქნა ტემპერატურის, ნატრიუმის ქლორიდის და ნახშირის რაოდენობის, აგრეთვე სეგრეგაციული გამოწვის პროცესის ხანგრძლივობის გავლენა მეტალების კონცენტრატში ამოკრების ხარისხზე. უკეთესი შედეგების მისაღებად საჭირო გახდა როგორც სპილენძის ოქსიდური მადნის (Cu-3,6%, Au-0,5გ/ტ, Ag-20გ/ტ), ასევე ქალკოპირიტული სპილენძის კონცენტრატისა და ჭიათურის დაბალხარისხიანი ფლოტოკონცენტრატის ერთობლივი ავტოკლავური გამოტუტვის ნარჩენების - რკინის კეკების (Cu-1,3%, Au-3,8გ/ტ, Ag-40გ/ტ) წინასწარ დამჟანგავი გამოწვა 8500C ტემპერატურაზე. რეაგენტები ერეოდა ნამწვს ცივ მდგომარეობაში, ან რეაქტორში მოცემულ ტემპერატურაზე გახურებულს.

სეგრეგაციის პროდუქტის გაცივების შემდეგ ხდებოდა მისი ფლოტაციური გამდიდრება დაწვრილმანების გარეშე შემდეგ პირობებში: პულპის pH - 8-11; შემკრები - კალიუმის ბუთილის ქსანტოგენატი (100 გ/ტ); ამქაფებელი - ფიჭვის ზეთი (50 გ/ტ); ძირითადი და საკონტროლო ფლოტაციის ხანგრძლივობა 15 და 10 წუთი.

ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა სპილენძის ოქსიდური მადნის, აგრეთვე რკინის კეკების სეგრეგაციული გამოწვის ოპტიმალური პირობები: ტემპერატურა - 850°C, ნატრიუმის ქლორიდის ხარჯი-1%, ნახშირის-1,5 %, პროცესის ხანგრძლივობა - 60 წთ. ამ პირობებში სპილენძის, ოქროს და ვერცხლის ამოღების ხარისხი შეადგენს 86-93%-ს.

ფლოტაციური კონცენტრატის ხარისხის ამაღლებისა და მისი გამოსავალის შემცირების მიზნით ჩატარებული იქნა ექსპერიმენტი უფრო მსხვილ მასშტაბში, მიღებული კონცენტრატების გადაწმენდით. კონცენტრატების ჯამური რაოდენობა (470გ.) გამდიდრდა ჰდმმ მოცულობის ლაბორატორიულ ფლოტომანქანაზე, ხოლო მიღებული

კონცენტრატების გადაწმენდა - 0,3დმ3 მოცულობის ფლოტომანქანაზე. გამსხვილებული ექსპერიმენტების შედეგად ფლოტაციის მონაცემები ძირეულად გაუმჯობესდა. კონცენტრატში სპილენძის შემცველობა 42,7% იყო, ვერცხლი - 1380გ/ტ, ოქრო - 40-50გ/ტ. ფლოტაციური კუდების გამოსავალი სეგრეგაციის პროდუქტის 93% - ს შეადგენდა და შეიცავდა 0,16% სპილენძს. ძირითად კონცენტრატში მეტალების ამოღების ხარისხი 80% - ის ფარგლებში მერყეობდა. სეგრეგაციული გამოწვის პროდუქტის რენტგენული, მიკროსკოპული და მიკროზონდ MS-46 „კამეკაზე“ მიკრორენტგენოსპექტრალური ანალიზები აჩვენებენ, რომ სპილენძის ოქსიდური მადნის შემთხვევაში ნახშირის ირგვლივ სპილენძის შემოკრება ხდება მეტალური სახით, ოქრო და ვერცხლი სპილენძთან ერთად სეგრეგირდება. ხოლო რკინის კვების შემთხვევაში სეგრეგაციული გამოწვის დროს წარმოქმნილი თავისუფალი სპილენძი გარდაიქმნება ქალკოზინში (Cu₂S).

რკინის კვების სეგრეგაციული გამოწვის პროცესში ნამწვის ფაზურ და სტრუქტურულ გარდაქმნებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კაზმში კალციუმის სულფატის არსებობისას სეგრეგაციული გამოწვის დროს წარმოქმნილი თავისუფალი სპილენძი გარდაიქმნება მეორადი სულფიდის ფორმაში -ქალკოზინში (Cu₂S). სპილენძის სულფიდის ფენის სისქის ზრდა თვალნათლივ ჩანს სეგრეგაციის პროცესზე ხანგრძლივობის გავლენის შესწავლის დროს აღებული სინჯებისგან დამზადებულ ტაბლეტების „კამეკა“-ზე გადაღებულ მიკროფოტოგრაფიებზე, რომლებიც სტატიაში გვაქვს წარმოდგენილი. პროცესის გახანგრძლივებით სპილენძის სულფიდის ფენა თანდათან იზრდება. სპილენძის სულფიდის შემცველი სეგრეგაციის პროდუქტის მიღების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფლოტაციური გამდიდრება მიმდინარეობს უფრო წარმატებით და მიღებული კონცენტრატის შტეინზე გადასადნობად არ არის საჭირო სპილენძის სულფიდურ ფორმაში გადაყვანა, რის შედეგადაც დნობის ხანგრძლივობა მცირდება და იზრდება ნაღობში სპილენძის ამოღება.

Heat-Resistant Composition

N. Ormotsadze, M. Meskhishvili

Akaki Tsereteli State University

Step-by-step process may be among efficient decisions associated with elaboration of the method for preparation of pressmaterials on the basis of polynaphthoilenbenzimidazoles (PNBI) practically insoluble in organic solvents in the conditions of the reactions of thermal polycondensation providing the potential possibility for increase of their processing to the products.

The essence of proposed elaboration involves performing of the synthesis of polymeric binder – PNBI by the method of thermal polycondensation of bis(o-phenyldiamines) with bis (naphthalic dianhydrides) in the composite - inhomogenous medium – in carbon filler – at presscomposite formation. For this purpose the fine-dispersed equimolar mixture of initial monomers – bis(o-phenyldiamine)(3,3-diaminobenzidine or 3,3,4,4-tetraaminodiphenylenoxide) and dianhydride of naphthalene-1,4,5,8-tetracarboxylic acid was coated on carbon filler. Oligomer synthesis was performed immediately on the filler surface at $T_{\text{reac}} < T_{\text{m.p}}$ of tetraamine component - 1st step; hereafter in the conditions of thermal pressing the formation of coal plastic was carried out (pressure – 15 kgf·cm⁻², maximum pressing temperature comprises 673K, rate of temperature increase – 5°min⁻¹). Elaborated method of preparation of structural coal plastics on the basis of PNBI was approved and was positively estimated.

Elaboration of new method for preparation of coal plastic allowed at first to produce the mentioned materials on the basis of PNBI. It should be noted that although prepared coal plastics for the present are inferior to coal plastics, based on polyimides, by absolute values of physical-

mechanical characteristics, but outperform them by the level of conservation of strength properties in the conditions of high temperatures (preservation of bending strength comprises 90% at 573K).

Literature

1. N.Ormotsadze, D.bibileishvili, M.Meskishvili Polymeric thermoset composition for hybrid integrated circuits Energy GTU III International Scientific and Technological Conference "Modern problem of power engineering and ways of solving them", Tbilisi, Georgia, June 7-10, 2021, pp. 162-166
2. N.Ormotsadze, D.bibileishvili, Expertise of high-molecular compounds by means of nuclear¹³C-¹H magnetic resonance, Georgian engineering news №2 (vol.86), 2018. pp.65-67.
3. N.Ormotsadze, M.Mesxishvili, D.bibileishvili, 8th International Conference "Biomaterials and nanobiomaterials: Recent Advances Safety-Toxicology and ecology Issues", Including Russian –Hellenic Workshop and School of Young Scientists, Preparation of insulting films of niu class on the basis of polynaphthoilenbenzimidazoles, Heraklion, Crete-Greece, P 24, www bionanotox, 2017, 07-14 May.

Supramolecular nano-constructs as vehicles for effective drug delivery

R. Katsarava, T. Kantaria, D. Makharadze

Georgian Technical University, Building 2, Kostava str., 66, Tbilisi,
Agricultural University of Georgia, Kakha Bendukidze University Campus, #240 David Aghmashenebeli
Alley, Tbilisi, Georgia

Pseudo-proteins (PPs) are artificial biodegradable polymers made of α -amino acids [1,2]. The PPs were found numerous biomedical application including as effective drug delivering vehicles - nanoparticles (NPs) [3]. However, when nanosystems are in a physiological environment, they rapidly adsorb biomolecules such as proteins and lipids (opsonins) on their surface forming a protein "corona." The formation of protein corona around the NPs changes the size, surface chemistry, solubility, aggregation, and surface charge of the nanoparticle and hence can influence the biodistribution, cellular uptake, and macrophage capture of nanoparticles [4]. It was established that dysopsonins such as hydrophilic albumin help the longer circulation of nanoparticle in the body. In general NPs coated (decorated) with hydrophilic polymers show improved circulation properties and decreased macrophage recognition of many types of nanoparticles. Various hydrophilic polymers mostly derivatives of polyethylene glycol (PEG) have been studied. It was found that effective shield against protein corona are long chains of PEG which form a random cloud around the nanoparticle, thereby preventing protein absorption. NPs decorated with PEG-cloud adsorb less protein from the biological environment and have a longer circulation in the blood.

One of the best PPs for fabricating NPs was found poly(ester amide) (PEA) composed of sebacic acid (8), amino acid L-leucine (L), and 1,6-hexanediol (6) labeled as 8L6 [1,2]. For effective decoration of NPs made of the PP we have developed special PPs composed of 50 mole % of 8L6 and 50 mole % of succinic acid derived PEA 2L6 functionalized by covalently attached PEG-derivatives. The 8L6 fragments (of the same nature with NPs) are engaged in the firm anchoring of these complex copolymers to the NPs surface providing the formation of the supramolecular nano-construct, whereas the 2L6 fragments serve for forming hydrophilic PEG-cloud around the NPs. It has to be underlined that new PEG-attached PPs bear a dual function of biodegradable surfactant (indispensable when fabricating NPs) and PEGylating agents.

References:

1. R. Katsarava, Ten. Kantaria, S.Kobauri. Pseudo-proteins and related synthetic amino acid based polymers (Review). J. Mater. Educ., 43 (1-2), 33-80, 2021.
2. O. Yousefzade, R. Katsarava, J.Puiggalí. Biomimetic Hybrid Systems for Tissue Engineering. Biomimetics 5 (2020) 49.
3. Tem. Kantaria, Teng. Kantaria, D.Tugushi, R.Katsarava et al., Biodegradable nanoparticles made of amino based ester polymers: preparation, characterization, and in vitro biocompatibility study. Appl. Sci. 6, 444 (2016).
4. M. Rahman et al., Protein-Nanoparticle Interactions, Springer Series in Biophysics 15, DOI 10.1007/978-3-642-37555-2_3, © Springer-Verlag Berlin Heidelberg (2013).


ტეტრათიოდარიშხანმჟავას d¹⁰-მეტალთა მარილების კოორდინაციული ნაერთები დიეთილამინთან

ი. დიდბარიძე, ნ. ბრეგაძე

საქართველო, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი




დარიშხანმჟავის კოორდინაციული ნაერთები ჩვენი სამეცნიერო ინტერესის სფეროა. ვაგრძელებთ რა კვლევას ამ მიმართულებით, მიზნად დავისახეთ d¹⁰-მეტალთა ტეტრათიოარსენატების ბაზაზე მიგველო და შეგვესწავლა კოორდინაციული ნაერთები აზოტმემცველ ლიგანდთან - დიეთილამინთან (C₂H₅)₂NH.

გამოსავალ ნივთიერებებად გამოვიყენეთ d¹⁰-მეტალთა წყალში ხსნადი მარილები, ასევე ნატრიუმის ტეტრათიოარსენატი - Na₃AsS₄·8H₂O, რომელიც მივიღეთ დარიშხანის წარმოების ნარჩენების გადამუშავებით თანახმად შემდეგი სქემისა:





ნატრიუმის ტეტრათიოარსენატის d¹⁰-მეტალთა ხსნად მარილებთან ურთიერთქმედებით, დიდი გამოსავლიანობით მივიღეთ ტეტრათიოარსენატები ზოგადი ფორმულით: M₃(AsS₄)₂·nH₂O, სადაც M=Cu(II), Zn(II), Cd(II), Hg(II); n=2 ან 4

d¹⁰-მეტალთა ამინატების სინთეზი ვაწარმოეთ მიმოცვლის რეაქციით - შესაბამის გარდამავალ მეტალთა მარილების დიეთილამინატებზე ეკვივალენტური რაოდენობის ნატრიუმის ტეტრათიოარსენატის ნაჯერი ხსნარის მოქმედებით:



სადაც X= CH₃COO⁻, NO₃⁻, Cl⁻; L= (C₂H₅)₂NH, ხოლო n=4

სინთეზირებული მარილები წარმოადგენენ სხვადასხვა შეფერილობის მაღალდისპერსიულ ნივთიერებებს. არც ერთი მათგანი არ იხსნება წყალსა და სპირტში, არ იხსნებიან არც ტუტეებში (გარდა თუთიის მარილისა). მჟავით დამუშავებისას ისინი განიცდიან გარდაქმნას დარიშხანი(V)-ის სულფიდის წარმოქმნით, მაგ.:



სინთეზირებულ ნივთიერებათა შედგენილობა და აღნაგობა, გარდა ელემენტური ანალიზისა, შესწავლილია კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით (იწ-სპექტროსკოპია, დერივატოგრაფიული და რენტგენოფაზური გამოკვლევა). რომლის საფუძველზეც დავადგინეთ, რომ d¹⁰-მეტალთა ტეტრათიოარსენატების კომპლექსური ნაერთები

დიეთილამინთან წარმოადგენენ კათიონურ კომპლექსებს, ლიგანდი მონოდენტატურია, ხოლო ტეტრათიოარსენატ-იონი იმყოფება გარე სფეროში.

მაგნე აირების შემცირების გზები ცემენტის კლინკერის მიღების დროს გამოყოფილ საკვამლე აირებში

გ. ლოლაძე, ვ. გორდელაძე, ნ. მუხადგვერდელი

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, კოსტავას ქ.69, 0192, თბილისი, საქართველო.

ცემენტის კლინკერის მისაღებ ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ბუნებრივი კირქვა, რომელიც დაახლოებით 1450°C-ზე განაპირობებს კლინკერის მინერალურ წარმოქმნას [1].

კირქვის დაშლის და სხვა დანამატებთან ურთიერთობის პროცესს თან ახლავს CO₂-ის და სხვა მაგნე აირების დიდი რაოდენობით გამოყოფა. ისინი საკვამლე მილის გავლით გადაიტყორცნებიან ატმოსფეროში და მისი დაბინძურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ [2].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა კლინკერის მწარმოებელი ღუმელიდან გამოსული აირების შედგენილობაში წარმოდგენილი CO₂-ის „დაჭერის“ მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფა. ამოცანის მიზნებიდან გამომდინარე ექსპერიმენტის თავისებურებას წარმოადგენდა საადსორბციო დანადგარის კონსტრუქციული გადაწყვეტა, მაღალეფექტური და ეკონომიკური ადსორბენტის შერჩევა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა CO₂-ის შთანთქმის და საკვამლე აირებიდან დაჭერის მაჩვენებლები.

კვლევის ექსპერიმენტალური ნაწილის უზრუნველყოფა მოხდა საწარმოსთან მიახლოებული ლაბორატორიული დანადგარის (LPPA) შექმნით [3]. ამ დანადგარით შესაძლებელი გახდა CO₂-ის ადსორბციის პროცესის წარმართვა ადსორბენტის მაჩვენებლების უძრავ და მოძრავ მდგომარეობაში ყოფნისას [3].

რაც შეეხება ადსორბენტს შიირჩა და ექსპერიმენტალურ კვლევებში ამოყენებულ იქნა ბუნებრივი ნედლეული – თეძამის ცეოლიტი, რომლის შედგენილობაში ძირითად მინერალად წარმოდგენილია კლინოფთოლიტი. ბუნებრივი ცეოლიტის მომზადება ხდებოდა მათი მსხვრევით, გაცრით ფრაქციებად დაყოფით და შრობის ჩატარებით. ადსორბციული უნარი შესწავლილი იქნა ორი შერჩეული პარამეტრის – ადსორბენტის გრანულომეტრიის და აირის ტემპერატურათა შორის კორელაციის დადგენით. ადსორბენტის ეფექტურობის განსაზღვრა განხორციელდა საკვამლე აირებში CO₂-ის კონცენტრაციის დადგენით LPPA-ში შესვლამდე და გასვლის შემდეგ, რისთვისაც გამოყენებული იქნა VARIO LUXX-ის ტიპის გერმანული გაზოანალიზატორი.

მიღებულ დანადგარს ჩაუტარდა ტესტირება და დადგინდა მისი გამოყენების შესაძლებლობები ლაბორატორიულ პირობებში. ამ დანადგარში ადსორბენტი იყრება გარკვეული დიამეტრის და სიგრძის მილში (კარტრიჯი), რომელიც შეიძლება იმყოფებოდეს სტატისტიკურ და დინამიკურ მდგომარეობაში. კარტრიჯში მყოფ ადსორბენტს მიეწოდება სვადასხვა ტემპერატურაზე გაცხელებული CO₂, რომლის შთანთქმის პროცენტული რაოდენობა დაახლოებით 20%-მდეა. მიღებული შედეგი დადებითია, მაგრამ სამუშაოები გრძელდება, რათა მოვახდინოთ ცეოლიტით შთანთქმის შედეგების გაუმჯობესება, რაც დადებითად იმოქმედებს ატმოსფეროს გაჯანსაღებაზე და შეამცირებს მოსახლეობის დაავადების რისკებს.

კვლევა ხორციელდება რუსთაველის ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი AR-22-1730 „ცემენტის წარმოების ხერხი (CO₂, SO_x, NO_x)-გან საკვამლე აირების გასასუფთავებლად, ატმოსფეროში ემისიამდე კლინოფთოლითიან სორბერში გატარებით, ლაბორატორიულ გარემოში ექსპერიმენტაციით გამოყენებლობის დადგენა, კონცეპციის დამტკიცება“.

ლიტერატურა:

1. G. Duderov, G. M. Matvee, V. B. Sukhanov. General Technology silicate M., Stroyizdat, 1987, 560 p.
2. Global Environment Division Greenhouse Gas Assessment Hand-book –A Practical Guidance Document for the Assessment of Project-level Greenhouse Gas Emissions. World Bank Archived from the original on 3 June 2016. Retrieved 10 November 2007;
3. R.Skhvitaridze, T.Cheishvili, T.Kordzakhia, I.Giorgadze, A.Skhvitaridze, G.Loladze. “CO₂ZEOCEM technology for capturing/utilization of CO₂, (SO_x, NO_x) from the flue gases”. J. “CEMENT INTERNATIONAL”. № 5. 2021, vol. 19, p. 38 – 41; <https://digital.verlagbt.de/CI/CI-2021-5-258/> ;

ტყემლოვანას თიხების დახასიათება ღვინის ქვევრების დასამზადებლად

გ. ლოლაძე, კეკელიძე, ი. გურული

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ.69, 0192, თბილისი, საქართველო.
ტყემლოვანას კერამიკული საწარმო „ქვევრულა“, ჭიათურის რაიონი სოფელი მანდაეთი.

დღევანდელი ეკონომიკური მაჩვენებლებით საკმაოდ გაიზარდა მოთხოვნები ღვინის კერამიკულ ქვევრებზე, რაც განპირობებულია ქართული ქვევრის ღვინის პოპულარიზაციით, როგორც ევროპაში, ისე მსოფლიო მასშტაბით. კერძოდ, კერამიკული ქვევრის დამზადების მხრივ საქართველოს მხარეებს შორის გამოირჩევა კახეთში ვარდისუბანი, იმერეთში ხარაგაული და ტყემლოვანა, შესწავლილია ამ ადგილმდებარეობის თიხების ფიზიკო-ქიმიური თვისებები [1,2]. აღნიშნული თიხების საფუძველზე დამზადებულია ღვინის ქვევრები [1]. თუმცა 950±1150°C –ზე გამომწვარი ქვევრები ვერ აკმაყოფილებენ ძირითადი პარამეტრის – წყალშთანთქმის (ფორიანობა) მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს [1], რადგან გამომწვარ ქვევრებში იგი დასაშვებ ნორმაზე მაღალია, რაც იწვევს ღვინის გაჟონვას. ამ ხარვეზს მეწარმეები ავსებენ ქვევრის ამოსანთვლით, ეს კი თავის მხრივ მიუღებელია, რადგან არ ხდება ღვინის შეხება კერამიკულ კვეტან და ღვინო კარგავს მისთვის დამახასიათებელ განსაზღვრულ თვისებებს.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა აღნიშნულ თიხებზე, კერძოდ ტყემლოვანას თიხებზე სხვადასხვა დანამატის გამოყენებით ჩაგვეტარებინა კვლევები მათი გავლენის შესახებ შეცხოვის ტემპერატურაზე, რათა მიგველო ქვევრები მაღალი შეცხოვის ხარისხით და შესაბამისად დაბალი წალშთანთქმით, რაც განაპირობებდა კერამიკული ღვინის ქვევრების მიღებას ამოსანთვლის გარეშე.

ამ მიმართულებით დანამატ მასალებად გამოვიყენეთ მინის ლეწი, მდინარე დურუჯის ლამი, პერლიტი. აღნიშნული დანამატები შეგვყავდა 3%-დან 20%-მდე რაოდენობით, გამოწვის ტემპერატურა 950±1150°C 50°C-იანი დაყოვნებით. სუფთა ტყემლოვანას თიხებზე გამომწვარი კეცის წყალშთანთქმის უნარი მერყეობს 10-15%-მდე [1]. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მინის ლეწის 3%-მდე დამატებისას წყალშთანთქმა მცირდება 5%-მდე. დანარჩენი დანამატების გავლენა შედეგს არ იძლევა. როგორც ექსპერიმენტიდან ჩანს მინის ლეწის დამატება, საკმაოდ ამცირებს წყალშთანთქმის უნარის მაჩვენებელს, მაგრამ სასურველს შედეგს მაინც ვერ ვაღწევთ. ამისათვის საჭიროა გაგრძელდეს სათანადო კვლევითი სამუშაოები, რათა მივიღოთ ღვინის ქვევრები ამოსანთვლის გარეშე.

ლიტერატურა:

1. Ulrich Mertz, I. Bitarishvili and others. Identity of Pitcher wine. Tbilisi, 2017, p. 60. ISBN 978-9941-9491-5-9;
2. Makharadze. Physico-chemical Investigation of Alaverdi 10th-11th Century Wine Cellar Pitcher. Author abstract, Tbilisi, GTU, 2021, p. 56.

ისტორიული ძეგლების და საამშენებლო მასალების დაცვის, უსფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავება მოდიფიცირებული ცვილების გამოყენებით

ლ. გობეჯიშვილი, ნ. კამკამიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აქტუალობა. ადამიანის დღევანდელმა საქმიანობამ გამოიწვია მრავალი ეკოლოგიური პრობლემა: გარემოს ქიმიური მდგომარეობის შეცვლა, ატმოსფეროში ნახშირბადის დიოქსიდის, ნახშირბადის მონოქსიდის, გოგირდის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდებისა და სხვა აირების რაოდენობის, მჟავური წვიმების ნალექების ზრდა და მისი უარყოფითი ზემოქმედება ისტორიულ ძეგლებზე. აღსანიშნავია საამშენებლო ინდუსტრიის მკვეთრი ზრდა და ამ ფონზე მისი რესურსებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ უსაფრთხო და ეკოლოგიურ მაჩვენებლებს.

ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანია ისტორიული ძეგლების და საამშენებლო მასალების დაცვისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების შეთავაზება, კერძოდ მოდიფიცირებული ცვილის გამოყენებით.

კვლევები ჩატარებულია ჩვენს მიერ სხვადასხვა დაჟანგვის ხარისხის მქონე ჯგუფის ცვილებზე: ცერეზინ -80, პარაფინის, ცერაზინისა და პარაფინის კომპოზიციის ბაზაზე, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ მოდიფიკაციის სხვადასხვა ხარისხით მჟავური რიცხვის შემცველობით. შესწავლილი იქნა მოდიფიცირებული ცვილების: ფიზიკურ - ქიმიური მახასიათებლები, ოზონის ზემოქმედებისგან დამცავი მაჩვენებლები, ზედაპირზე მიგრაციის კინეტიკა, მოლეკულური სტრუქტურის და მორფოლოგიის ცვლილება.

ჩატარებული კვლევის შედეგებია: მოდიფიცირებული ცვილების ხარისხის, ოზონ მედეგობის, ნაკეთობის ზედაპირის ხარისხის(თეთრი ნადების ფენის შემცირება), მექანიკური თვისებების გაუმჯობესება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგები იძლევა საფუძველს მოდიფიცირებული ცვილის თანამედროვე ტექნოლოგიებში ფართო სპექტრით გამოყენების შესაძლებლობისათვის.

ამრიგად შემოთავაზებული ტექნოლოგია უზრუნველყოფს საამშენებლო მასალების დაცვას ტენისაგან, ობისგან, სოკოებისგან, ლპობისაგან, რომელიც ზრდის მის სიმტკიცეს, მომსახურების ხანგრძლივობას და საშუალებას იძლევა შეიქმნას ადამიანისთვის ყველაზე უსფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები.

საყოფაცხოვრებო გაზში ოდორანტის დამატების აუცილებლობის შესახებ

ქ. მახაშვილი, შ. მესტვირიშვილი, თ. რიგიშვილი, ნ. იაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტი საქართველო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საამშენებლო ფაკულტეტის თბოაირმომარაგების დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

**სამეცნიერო-საწარმოო კომპანია „სოვბი“, თბილისი, საქართველო
საქართველოს საინჟინრო აკადემია თბილისი, საქართველო.**

მოსახლეობის მიერ მოხმარებულ საყოფაცხოვრებო გაზს სუნი არა აქვს, ამიტომ ბინაში გაზის გაჟონვის აღმოჩენა ძნელია, მაგრამ არსებობს მეტად მარტივი და საიმედო ხერხი - ოდორიზაცია - ბუნებრივ გაზში მძაფრი, უსიამოვნო სუნის მქონე ნივთიერების, ე.წ. ოდორანტის დამატება. ოდორანტად ძირითადად გამოიყენება ეთილმერკაპტანი, რომელ-საც გააჩნია სუსტი მჟავას თვისებები, აქვს მეტად მძაფრი უსიამოვნო სუნი. მისი დამატება ხდება გაზის მიწოდების წინ გაზგამანაწილებელ სადგურებში, რის შემდეგაც მობინადრეებს შეუძლიათ შეამჩნიონ ბინაში გაზის გაჟონვა. გაზში დამატებული ოდორანტის რაოდენობა უნდა იყოს ისეთი, რომ მისი კონცენტრაცია საკმარისი აღმოჩნდეს ადამიანის მიერ შეგრძნებისთვის. ამავე დროს, გაზის მოცულობითი კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს აფეთქების ქვედა ზღვარს. პრაქტიკულად გამოთვლილია, რომ ეს მნიშვნელობა უნდა შეადგენდეს 10-30 გრამს 1000 მ³ გაზზე. გაზში დამატებული ოდორანტის რაოდენობა დამოკიდებულია გაზის ხარისხზე, წნევაზე, ტემპერატურაზე, გაზგაყვანილობის ქსელის სიგრძეზე და ზოგიერთ სხვა ფაქტორზე.

გაზის ოდორიზაცია არ არის მარტივი პროცესი და შესაბამისად ოდორიზაციის დანადგარი რთული სტრუქტურისაა. ოდორიზაციის პროცესის ავტომატიზაციის მთავარი შემადგენელი ოპერაციებია ოდორანტის ავტომატურად მიწოდება და მისი ზუსტი დოზირება. თბილისის გაზგამანაწილებელ სადგურებში ოდორიზაციას ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის დანადგარებით, რომლებშიც გათვალისწინებულია გაზში ოდორანტის დამატება გაზის ხარჯის პროპორციულად იმპულსური დოზირებით.

თბილისის გაზგამანაწილებელ ერთ-ერთ სადგურში გაზის ოდორიზაციას ახორციელებენ უკრაინული წარმოების დანადგარით, აუცილებელია მისი მორგება ადგილობრივი პირობებისთვის და დანადგარში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

ჩვენს მიერ შედგენილია გაზის ოდორიზაციის პროცესის ალგორითმი და განისაზღვრულია ოდორიზაციის მოდერნიზებული დანადგარის სტრუქტურა.

ლიტერატურა:

- A. K. A. Makhashvili, Sh. A. Mestvirishvili, N. G. Iashvili. (2020). About the quality control device for natural gas odorization./Georgian Engineering News, 2(91), 64-66.
- B. GOST 5542-2014 "Combustible natural gases for industrial and domestic purposes", M., Standartinform, 2015.
- C. GOST 22387.5-2014 "Gas for domestic consumption. Methods for determining the intensity of odor", M., Standartinform, 2016.

**ინფრაწითელი სხივებით დამუშავების შედეგად ზოგიერთ პარკოსან
კულტურებში ბიოქიმიური კომპლექსის ცვლილების კვლევა**

ე. გამყრელიძე, ო. სესიკაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარემოსდაცვითი და ქიმიური ტექნოლოგიების
დეპარტამენტი, ქუთაისი, საქართველო.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მექანიკა მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი,
ქუთაისი, საქართველო,

პარკოსნების ნაყოფი შეიცავს დაახლოებით 23%-მდე ცილებს, რომელთაგან 60-95% წყალში ხსნადია, 55%-მდე ნახშირწყლებს (სახამებელს); მცირე რაოდენობით ოლიგოსაქარიდებს, მათ შორის ცელულოზას-4.7%; 1.5%-მდე ცხიმოვან მჟავებს; კაროტინს; მაკროელემენტებს-კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, სპილენძს, თუთიას;

აზოტშემცველ ნივთიერებებს, მათ შორის ამინომჟავებს; ფლავანოიდებს, ორგანულ მჟავებს; ასევე B და PP ჯგუფის ვიტამინებს, პირიდოქსინს, თიამინს, ასევე ალკალოიდებს, რომლებიც აუარესებენ მათ კვებით ღირებულებას.

კვებითი ღირებულების გაუმჯობესების მიზნით ხშირათ მიმართავენ ინფრაწითელი სხივებით მათ დამუშავებას. ამ დროს მიმდინარეობს ქიმიური პროცესების აქტივაცია, რთული ნახშირწყლები განიცდიან გარდაქმნებს, რომელიც ცვლის მათ სტრუქტურას და თვისებებს, ხოლო მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით შეიძლება გაიხლიჩონ შედარებით მარტივ ნახშირწყლებად მცირე მოლეკულური მასით.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა პარკოსნების ინფრაწითელი სხივებით მაღალტემპერატურული დამუშავების შედეგად ბიოქიმიური კომპლექსის ცვლილების გამოკვლევა.

კვლევის ობიექტებად შერჩეულ იქნა ლობიო „ცანავა“, მინდვრის „წითელი ლობიო“ და „თეთრი ცერცვი“.

ნიმუშებში სახამებლის შემცველობის განსაზღვრისათვის სუფთა სახამებლისაგან ვამზადებდით საკალიბრო ხსნარის 5 ნიმუშს სახამებლის სხვადასხვა შემცველობით და ვსაზღვრავდით მათ ოპტიკურ სიმკვრივეს კალიუმ იოდიდის და იოდის ხსნარით დამუშავების შემდეგ ფოტოელექტრულ კოლორიმეტრზე. მიღებული მონაცემებით ვაგებდით საკალიბრო მრუდს კოორდინატებში: სახამებლის შემცველობა მგ/10 მლ - ოპტიკური სიმკვრივე.

ნიმუშებში რედუცირებული შაქრების განსაზღვრისათვის ვამზადებდით სუფთა გლუკოზისაგან საკა-ლიბრო ხსნარის 6 ნიმუშს გლუკოზის სხვადასხვა შემცველობით, რომელსაც ვამატებდით კალიუმის ჰექ-საციანოფერატის (III) ხსნარს და ვსაზღვრავდით მათ ოპტიკურ სიმკვრივეს.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ნახ. 1-ზე და ნახ. 2-ზე. როგორც ნახ. 1-დან ჩანს სახამებლის მასური წილი ლობიოში „ცანავა“ თბური დამუშავების საწყის ეტაპზე იზრდება, ხოლო შემდეგ თანდათან მცირდება. სახამებლის მასური წილის ზრდა საწყის ეტაპზე მით უფრო შესამჩნევია, რაც მეტია მარცვლის ტენიანობა. მაღალტემპერატურული მიკრონიზაციის 30 წმ-ის შემდეგ მარცვლის 12.7 % ტენიანობის პირობებში სახამებლის შემცველობა 39.65 მას.% - დან იზრდება 40.12 მას.%-მდე, 18.3 % ტენიანობის პირობებში 38.71 მას.%-დან იზრდება 41.2 მას.% - მდე, ხოლო 28.6% ტენიანობის პირობებში 37.36 მას.% - დან იზრდება 42.42 მას.%-მდე. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ მაღალტემპერატურული დამუშავების საწყის ეტაპზე ტენის აორთქლება მიმდინარეობს უფრო სწრაფად, ვიდრე სახამებლის გარდაქმნა დექსტრინებათ და გლუკოზათ. პროცესი უფრო მკვეთრად შეინიშნება როდესაც ნაკლებია ინფრაწითელი პანელის დაცილება თბური დამუშავების ზედაპირიდან.

სახამებლის მასური წილის შემცირებასთან ერთად საწყის ეტაპზე მცირედ იზრდება შაქრის %-ლი შემცველობა, გლუკოზაზე გადაანგარიშებით (ნახ.2), ხოლო შემდეგ კი სახამებლის დაშლის სიჩქარის ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდება გლუკოზის %-ლი შემცველობა. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს მინდვრის „წითელი ლობიო“-სა და „თეთრი ცერცვი“ - ში.

ინფრაწითელი სხივებით დამუშავებისას ლობიოში და თეთრი ცერცვიში შესაძლებელია ბიოლოგიური და ქიმიური მახასიათებლების მკვეთრი ცვლილებების მიღწევა.

კვლევის შედეგად დადგენილ იქნა: იგი სხივებით მაღალტემპერატურული დამუშავების შედეგად მიმდინარეობს პარკოსნებში შემავალი სახამებლის ინტენსიური, ნაწილობრივი ჰიდროლიზი, რომლის შედეგად წარმოიქმნება დექსტრინები და გლუკოზა. ეს პროდუქტები კი გაცილებით ადვილი ასათვისებელია ადამიანის ორგანიზმის მიერ. ამავ დროს განხილული პარკოსნები ხდება ადვილად მომზადებადი და უმჯობესდება მათი კვებითი ღირებულება.

ღვინო დანახარულის ქიმიური შედგენილობა და დაძველების პოტენციალი

მ. ხომასურიძე, ქ. ჯაფარიძე, მ. ორმოცაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო

საქართველოში კულტურული ვაზის გავრცელებისა და ღვინის წარმოების ტრადიცია ნეოლითის ხანიდან იღებს სათავეს. საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ვაზის 525 ჯიშში და ღვინის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიები შეიქმნა [1]. ენდემური ვაზის ჯიშების ნაწილმა დღემდე ვერც კი მოაღწია, ნაწილი კი, ძალზედ მცირე ოდენობითაა კულტივირებული. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იშვიათი ვაზის ჯიშში დანახარულიდან სხვადასხვა ტექნოლოგიური დამზადებული ღვინის ქიმიური შედგენილობის შესწავლა და მისი დაძველების პოტენციალის შეფასება. ექსპერიმენტისას, ღვინო დანახარული დამზადდა შიდა ქართლის რეგიონში მდებარე, საოჯახო მარან „მარადისეულში“ და ღვინის კომპანია „ატენის ტერასები“-ს კუთვნილ საწარმოში. კვლევის ფარგლებში გადამუშავდა სამი მოსავლის წლის ყურძენი. ღვინის ქიმიური პარამეტრები გამოკვლეულია ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ლაბორატორიული ანალიზები შესრულებულია შპს ღვინის ლაბორატორიაში, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის „ტკბილისა და ღვინის ანალიზის საერთაშორისო მეთოდები“-სა და ლაბორატორიის მიერ ვალიდირებული მეთოდების შესაბამისად [2]. ანთოციანები, რეზვერატროლო, კვერცეტინი და მირიცეტინი განსაზღვრულია მაღალი შესრულების სითხური ქრომატოგრაფით (knauer) [3], საერთო ფენოლები, სპექტროფოტომეტრით (SP Carry 50), ალდეჰიდები, ესტერები და ალკოჰოლები გაზური ქრომატოგრაფით (Agilent GC/MS). ლაბორატორიული კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებულია IBM SPSS Statistics 22.0.

ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით, ტრადიციული ტექნოლოგიით დაყენებულ ღვინოებში, ინდუსტრიულ პირობებში დამზადებულ ღვინოებთან შედარებით, მაღალია აცეტალდეჰიდის, ეთილაცეტატის, უმაღლესი სპირტების, აქროლადი მჟავებისა და ფენოლური ნაერთების შემცველობა. ჭაჭაზე დადუღებული და დავარგებული ქვევრის ღვინო დანახარულის კასრში დაძველებისას მცირდება მეთანოლისა და უმაღლესი სპირტების შემცველობა. ექსპერიმენტის ფარგლებში დამზადებული ღვინოების ქიმიური შედგენილობის სამწლიანი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ აღნიშნული ვაზის ჯიშიდან შესაძლებელია მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება, თუმცა ხანგძლივი დაძველების სარეზერვო ღვინოების წარმოებისათვის ამ ვაზის ჯიშის გამოყენება პერსპექტული არ არის.

ლიტერატურა:

1. Maghradze, D. Mirvelashvili, M. (2015). Wine culture in Georgia. National Wine Agency.
2. Compendium International Methods of Analyses and Musts; (2014) vol; 2. International organization of vine and wine. Paris, 334 pp.
3. Kvinikadze, L., Shakulashvili, N., Blay, C. (2005) Determination of Resveratrol and some other Polyphenols in Wine by High-Performance Liquid Chromatography. Georgian Engineering News. 4, 210-213.

სუფთა მანგანუმის ოქსიდის მიღების ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება

თ. ჩახუნაშვილი, თ. როყვა, ზ. ვაწაძე, ნ. ბუთლიაშვილი, დ. ძანაშვილი

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მანგანუმშემცველ პროდუქტს წარმოადგენს მანგანუმის ოქსიდი – MnO . ის გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, ფერიტების წარმოებაში, კატალიზატორად, მანგანუმის მარილების წარმოებაში და სხვ. მრეწველობაში MnO მიიღება მაღალხარისხოვანი მანგანუმშემცველი მადნების აღდგენითი გამოწვით. მიუხედავად ამისა, ის არ გამოირჩევა მაღალი სისუფთავით, რადგან არ უტარდება ღრმა განწმენდის ოპერაციები. მონოოქსიდის უპირატესობა არის დაბალი თვითღირებულება და, აქედან გამომდინარე, დაბალი გასაყიდი ფასი. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პერსპექტივაში მაღალხარისხოვანი პეროქსიდული მადნების მარაგები მცირდება, გარდა ამისა, იზრდება მოთხოვნილება სუფთა პროდუქციაზე. ჩვენს მიერ მაღალი სისუფთავის მანგანუმის ოქსიდის მისაღებ საწყის ნივთიერებად შეთავაზებული არის ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდი (ემდ). მაგრამ ემდ-ს, რომელსაც ამჟამად ელექტროქიმიური მრეწველობა აწარმოებს, საკმარისად მაღალი თვითღირებულება აქვს. ჩატარებული კვლევები უკავშირდება სწორედ ემდ-ის მიღების მეთოდის გაუმჯობესებას და ინტენსიფიკაციას, რამაც უნდა გააიაფოს მანგანუმის (II) ოქსიდის მიღების შეთავაზებული მეთოდი. ემდ-ის მიღების თანამედროვე პროცესი შედგება 20-მდე ტექნოლოგიური ოპერაციისაგან. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე დამუშავებულია ემდ-ის მიღების გაუმჯობესებული, მანგანუმის ოქსიდის მიღებაზე მორგებული ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც მხოლოდ 8 ტექნოლოგიურ ოპერაციას შეიცავს. საწყის ნედლეულად შერჩეულია ჭიათურის მანგანუმის მადნების გამდიდრების ნარჩენები და კარბონატული მადნები (მანგანუმის შემცველობა 20%), რომელთა მარაგები ათეული მილიონი ტონებით განისაზღვრება.

ჩვენს მიერ მიღებული და უცხოური ფირმების მიერ წარმოებული მანგანუმის ოქსიდის ხარისხობრივი მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავებულია: მანგანუმის შემცველობა უცხოური ფირმების პროდუქციაში ფართო ზღვრებში იცვლება და შეადგენს საშუალოდ 52-65%-ს, ჩვენს მიერ მიღებულ მანგანუმის ოქსიდში კი მანგანუმის შემცველობა სტაბილურია და შეადგენს 70-71%-ს. უცხოური ფირმების პროდუქციაში რკინის შემცველობა იცვლება 1,5%-დან 10%-მდე, ხოლო ჩვენს პროდუქტში ის შეადგენს არა უმეტეს 0,01 %-ს. იგივე შეიძლება ითქვას ტოქსიკურ ლითონებზე: ტყვიაზე, კადმიუმზე, დარიშხანზე და სტიბიუმზე. ჩვენს შემთხვევაში მათი შემცველობა არის 2-10 ppm-ის დონეზე, ხოლო უცხოურ პროდუქციაში შეადგენს 20-დან 100 ppm-მდე. დამუშავებულია ემდ-ის მისაღები აბაზანის ახალი კონსტრუქცია, რაც საშუალებას მოგვცემს მისი წარმადობა ამჟამად არსებულ აბაზანებთან შედარებით 2-3-ჯერ გავზარდოთ, რაც კაპიტალური დაბანდებების ეკონომიას მოგვცემს. რაც შეეხება ემდ-ის მიღების სხვა პროცესებს (მანგანუმის სულფატის ხსნარების მიღება, ემდ-ის ანოდური ნალექის გადამუშავება), მათ ჩასატარებლად ჩვენს მიერ დამუშავებულია მაღალი ეფექტურობის კომბინირებული მეთოდი, რაც პროდუქტის მნიშვნელოვნად გაიაფების საშუალებას იძლევა.

მიკრო- და ულტრაფილტრაციით წყლისა და ხილის წვენების გადამუშავება

გ. ბიბილიაშვილი, ნ. გოგესაშვილი, მ. კეყერაშვილი, ლ. ყუფარაძე, ლ. ებანოძე, მ. მამულაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი;
თბილისი, საქართველო

მოსახლეობის სწრაფი ზრდის, ეკოლოგიური პრობლემების, კლიმატის გაუარესებით

შექმნილი სუფთა წყლის დეფიციტი, სასმელი წყლებისა და საკვები პროდუქტების დაბინძურება აღიარებულია 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად. მათი უსაფრთხოება, ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების ხარჯების მინიმიზაცია პრობლემის ფუნდამენტალური ასპექტებია.

ბუნებრივი წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების გადასამუშავებლად შერჩეულია მემბრანული ტექნოლოგიები, რომლებიც ავლენენ მაღალენერგოეფექტურობას, დაბალსაექსპლოატაციო ხარჯებს და გარემოზე მავნე ზემოქმედების უნარს.

შემუშავებულია მემბრანული ფილტრაციის ტექნოლოგია, შერჩეულია ფილტრაციის სიჩქარეზე და პროდუქტის ხარისხზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორები: საწყისი ხსნარის ტიპი, მემბრანისა და ოპერაციული პარამეტრების - ტემპერატურის, წნევის, ნაკადის სიჩქარისა და მოცულობითი კონცენტრაციების ურთიერთდამოკიდებულების პირობები.

მიკრო- და ულტრაფილტრაციის შედეგად მიღებულია კრისტალურად გამჭვირვალე წყალი, ხილის წვენები, რომლებშიც შენარჩუნებულია კარგი არომატი, საკვები ნივთიერებები, ც ვიტამინი დახ სნადი ცილები.

ლიტერატურა:

1. Bibileishvili G.V., Mamulashvili M.A., Butkhuzi T.G., Javashvili Z.D. (2022) Study of the chemical composition of apple juice and Saperavi wine material; engineering news of Georgia; number 2; pp. 117-119
2. APHA (1998) Standard Methods for the Examination of Water and Wastewater, 20th edition. Microbiological quality analysis of fresh vended fruit juices ...<https://www.banglajol.info › SJM › article › view>
3. Assessment of Microbial Load of Un-pasteurized Fruit Juices ..<https://www.ncbi.nlm.nih.gov. › .>
4. Microbiological Risk Assessment of Packed Fruit Juices and ...<https://www.thefreelibrary.com › .>

Processing of water and fruit juices by micro- and ultrafiltration

G. Bibileishvili, N. Gogeshashvili, M. Kezherashvili, L. Kuparadze, L. Ebanoidze, M. Mamulashvili

**Engineering Institute of Membrane Technology, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia,
M.Mamulashvili - Engineering Institute of Membrane Technology, Georgian Technical University, Tbilisi,
Georgia**

Rapid population growth, environmental problems, lack of clean water caused by climate change, pollution of drinking water and food are recognized as the main challenges of the 21st century. Their safety, improving quality and minimizing the cost of production are fundamental aspects of the problem.

Membrane technologies have been selected for the treatment of natural waters and soft drinks, which show high energy efficiency, low operating costs and the ability to have a harmful effect on the environment.

A membrane filtration technology has been developed, and important factors affecting the filtration rate and product quality have been selected: the type of initial solution, the conditions for the interdependence of the membrane and operating parameters - temperature, pressure, flow rate and volumetric concentration.

As a result of micro- and ultrafiltration, crystal clear water, fruit juices are obtained, which retain good aroma, nutrients, vitamin C and soluble proteins.

REFERENCES:

1. Bibileishvili G.V., Mamulashvili M.A., Butchuzi T.G., Javashvili Z.D. (2022) STUDY OF THE CHEMICAL COMPOSITION OF APPLE JUICE AND SAPERAVI WINE MATERIAL; Georgian Engineering News, №2, p.117-119
2. APHA (1998) Standard Methods for the Examination of Water and Wastewater, 20th edition. Microbiological quality analysis of fresh vended fruit juices ...<https://www.banglajol.info> > SJM > article > view
3. Assessment of Microbial Load of Un-pasteurized Fruit Juices ..<https://www.ncbi.nlm.nih.gov>. > .
4. Microbiological Risk Assessment of Packed Fruit Juices and ...<https://www.thefreelibrary.com> >

ყურძნის წიპწის მიკროკაფსულირება და მისი ანტიოქსიდაციური ეფექტურობის კვლევა აუტიზმის ბიომოდულელებში

ბ. ბეჟანიშვილი^{1,2}, დ. ხარაძე², თ. ოშიაძე², თ. ბუაჩიძე¹, თ. ქანთარია³, ნ. ნაჭყებია², რ. ქაცარავაძე³

1საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, 3 საქართველოს სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტი

აქტუალობა. კვლევის მიზანს შეადგენდა ბიოდეგრადირებადი მიკროკაფსულების შექმნა, ყურძნის წიპწის ზეთის მიკროკაფსულირების მიზნით და მისი ანტიოქსიდაციური ეფექტურობის კვლევა. პრობლემა აქტუალურია, ვინაიდან ზეთების მიკროკაფსულირება მათი პრეკლინიკურ ექსპერიმენტულ კვლევებში გამოყენების ერთადერთი საშუალებაა, სადაც ხარისხიანი პროდუქტის დოზირებულ მიწოდებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

კვლევა ორ ძირითად ასპექტზე იყო ორიენტირებული: 1.ყურძნის წიპწის ზეთის მიკროკაფსულირება ფსევდოპროტეინებზე დაფუძნებულ ბიოდეგრადირებად კედლის მასალაში და 2) მიკროკაფსულირებული ყწ-ის (მკყწ) უსაფრთხო, კონტროლირებადი, დოზირებული მიწოდების შესაძლო ანტიოქსიდაციური ეფექტურობის კვლევა აუტიზმის ბიომოდულელებში.

მეთოდიკა. ყწ მიკროკაფსულირება განხორციელდა ბიოდეგრადირებად ფსევდოპროტეინ 8L6-ში, რომელსაც მთელი რიგი თავისებურებები გამოარჩევს - მისი ბიოდეგრადაციის შედეგად, ცილების მსგავსად, ბუნებრივი ამინომჟავები გამოიყოფა, რაც ხელს უწყობს უჯრედების პროლიფერაციას, ქსოვილების რეგენერაციას და ბუნებრივი მაკრომოლეკულებისგან (ცილებისგან) განსხვავებული მოლეკულური არქიტექტურის გამო, დაბალი იმუნოგენურობა ახასიათებს. მიკროკაფსულირებისთვის გამოყენებულ იქნა ემულსიფიკაციის მეთოდი, ვარიანტი ზეთი წყალში (O/W).

მკყწ-ის ორკვირიანი დოზირებული მიწოდების ანტიოქსიდაციური ეფექტურობა შესწავლილ იქნა აუტიზმის ვალპროის მჟავას ბიომოდულელებში (ვირთავას მოდელი): ა) რეაქტიული ჟანგბადის მეტაბოლიტების შემცველობაზე სისხლის პლაზმაში და ბ) ემოციური ქცევის მნიშვნელოვან პათოლოგიაზე, როგორცაა შფოთვა; ორივე მათგანი აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ინდივიდების დამახასიათებელ სერიოზულ პრობლემებს წარმოადგენს. მკყწ-ის დოზირებული მიწოდება ხდებოდა: ა) ინექციით მუცლის სისხლძარღვოვან წნულში; ბ) დოზირებული დამატებით სპეციალურ საკვებ ბურთულეებში შპრიცების საშუალებით.

მიღებული შედეგები. შევისწავლეთ კაფსულირების პროცესის სხვადასხვა კანონზომიერები და სხვადასხვა ცვლადების გავლენა მიკრო და ნანონაწილაკების ზომებსა და მდგრადობაზე, როგორცაა ფსევდოპროტეინების კონცენტრაცია, ზედაპირულად აქტიური ნაერთების ბუნება, პოლიმერის სტრუქტურა, წყლის ფაზის

მორვეის სიჩქარე.

კვლევის შედეგად დავადგინეთ ყწ-ის ფსევდოპროტეინებით მიკროკაფსულირების ოპტიმალური პირობები. კაფსულირებისთვის გამოცდილ ფსევდოპროტეინებს შორის უკეთესი აღმოჩნდა 8L6, ორგანული ფაზის გამხსნელად DMSO, - 8L6-ის კონცენტრაცია 3მგ/მლ; - ყწ და 8L6 თანაფარდობა w/w 20:80; ორგანული და წყლის ფაზების თანაფარდობა 1:10; წყლის ფაზის მორვეის სიჩქარე 1000 ბრ/წთ. აღნიშნულის გათვალისწინებით პირველად მოვახდინეთ ყწ მიკროკაფსულირება ბიოდეგრადირებად ფსევდოპროტეინში.

კვლევაში პირველად იქნა ნაჩვენები მკყწ-ს მაღალი ეფექტურობა რეაქტიული ჟანგბადის მეტაბოლიტების შემცველობის შემცირებაზე სისხლის პლაზმაში და შფოთვის კორექციაზე აუტიზმის ბიომოდელებში. იმის გამო, რომ ყწ მდიდარია ანტიოქსიდაციური ეფექტის მქონე ფენოლური და სხვა ნაერთებით, მიგვაჩნია, რომ მისი ეფექტურობა ამ მექანიზმით ხორციელდება.

დასკვნა. პირველად იქნა ნაჩვენები, რომ ფსევდოპროტეინი 8L6, გამოცდილ სხვა ფსევდოპროტეინებს შორის, უკეთესია ყწ-ის მიკროკაფსულირებისთვის. ამ გზით მკყწ მაღალ ეფექტურობას ავლენს რეაქტიული ჟანგბადის მეტაბოლიტების შემცველობის შემცირებაზე სისხლის პლაზმაში და შფოთვის კორექციაზე აუტიზმის ბიომოდელებში.

Microencapsulation of grape seed oil and research of its antioxidant efficiency in animal models of autism

Kh. Bezhaniashvili^{1,2}, D. Kharadze², T. Omiadze², T. Buachidze¹, T. Kantaria³, N. Nachkbia², R. Katsarava³

¹Technical University of Georgia,

²Ivane Beritashvili Center of Experimental Biomedicine,

³Agricultural University of Georgia

Introduction. The aim of the study was to perform microencapsulation of grape seed oil (GSO) in biodegradable wall materials and to study their antioxidant efficiency. The problem is topical since microencapsulation of oils, in general, and GSO in particular is the only way to use them in preclinical experimental studies, where the dosing control and delivery of the unspoiled products are of great importance. The research was focused on two main aspects: 1. microencapsulation of GSO in a pseudo-protein-based biodegradable wall material and 2) investigation of the possible antioxidant efficacy of safe, controlled, dosed use of microencapsulated GSO (MCGSO) in animal models of autism.

Methods. Microencapsulation of GSO was carried out in biodegradable pseudo protein 8L6, which is distinguished by a number of features - as a result of its biodegradation, like proteins, natural amino acids are released, which promotes cell proliferation, tissue regeneration, and due to the molecular architecture, different from natural macromolecules (proteins), it is characterized by low immunogenicity. For microencapsulation, an emulsification method, an oil-in-water (O/W) variant, was used.

The antioxidant efficacy of a two-week dosed use of MCGSO was studied in valproic acid animal models of autism (rat model): a) on the content of reactive oxygen metabolites in blood plasma and b) on the important pathology of emotional behavior, such as anxiety. Both of these are serious problems characteristic of individuals with autism spectrum disorders. Controlled, dosed use of MCGSO was carried out: a) by the intraperitoneal injection; b) as a dosed food additive by means of syringes in special food balls of animals.

Results. The different regularities of the encapsulation process and the influence of various variables on the size and stability of micro particles - concentration of pseudo proteins, the nature of surface-active compounds, the structure of the polymer, the stirring speed of the aqueous phase

were studied.

We determined the optimal conditions for microencapsulation by the pseudo proteins: 1. among the tested pseudo proteins for GSO encapsulation, 8L6 turned out to be better; 2. with DMSO as the solvent of the organic phase; 3. the concentration of 8L6 was 3 mg/ml; 4. the ratio of GSO and 8L6 ratio w/w 20:80; 5. the ratio of organic and water phases 1:10; 6. The water phase stirring speed is 1000 rpm. Taking all of these into account, for the first time we microencapsulated GSO in a biodegradable pseudo protein.

The study showed for the first time the high efficiency of MCGSO in reducing the content of reactive oxygen metabolites in the blood plasma and in the correction of anxiety in animal models of autism. Since GSO is rich in phenolic and other compounds with antioxidant effects, we believe that its effectiveness is based on this mechanism.

Conclusion. It was shown for the first time that pseudo protein 8L6 is the better variant among other pseudo proteins tested, for the microencapsulation of GSO. MCGSO exerts high efficiency in reducing the content of reactive oxygen metabolites in the blood plasma and in the correction of anxiety state in animal models of autism.

DESIGN, SYNTHESIS, AND BIOLOGICAL EVALUATION OF AMANTADINE CONTAINING NEW DERIVATIVES

aT. Bukia, b M. Chikovani, a T. Tabatadze, aA. Goletiani, a I. Chikvaidze


a Faculty of Exact and Natural Sciences, Research Institute of Organic Chemistry, Tbilisi State University, 0179 Tbilisi, Georgia;

b 2San Diego State University - Georgia, M. Kostava St 5, Tbilisi, 0179, Georgia

This study was based on the synthesis and biological properties of amantadine containing new compounds through the multicomponent Ugi reaction. Ugi reaction includes the interaction of acids, aldehyde or ketone, amine, and isonitrile. This reaction is an efficient and useful method to prepare different types of bonds and compounds, different natural products, and heterocyclic compounds.

Amantadine is a drug whose therapeutic indications are divided into 3 disciplines: Neurology, Psychiatry and Infectionology. Its derivatives are powerful compounds in a wide range of applications from systemic to topical therapy. Due to the interesting properties of amantadine, we aimed to synthesize biologically active new substances by Ugi reaction. The Ugi reaction was carried out by the interaction of amantadine, ethyl isocyanoacetate, some aldehydes, and carboxylic acids and the corresponding dipeptides 6 were isolated. The hydrazides 7 were obtained by treatment of compound 6 with hydrazine hydrate, and from them corresponding imines 8 were synthesized.

The synthesized compounds 6 were studied for their antimicrobial activity against 7 different bacterial species using disc diffusion methods. The results of the bioactive research show the antimicrobial activity of the obtained compounds.



Acknowledgment: This project was funded by Shota Rustaveli National Science Foundation (Grant N YS-21-1340)

SYNTHESIS AND PROPERTIES OF NEW PHOTOCHROMIC COMPOUND

aT. Bukia, bK. Davitashvili, bL. Nakashidze, a, cM. Shvelidze, cG. Palavandishvili, aG. Petriashvili

aV. Chavchanidze Institute of Cybernetics, Georgian Technical University, 5 S. Euli Street, 0186 Tbilisi, Georgia

bSan Diego State University - Georgia, 5 M. Kostava St, 0179, Tbilisi, Georgia

dFaculty of Exact and Natural Sciences, Tbilisi State University, 3 I. Cvavchavadze ave, 0179 Tbilisi, Georgia

cGeorgian Technical University, 77 Merab Kostava St, 0171, Tbilisi, Georgia

In this research the objective was to synthesis and characterize the azo group containing spirochromene on the base of diazobeta-naphthole in the 5'-condition of the indolenine part (fig. 1) and study its UV-Visible absorption spectra before and after light irradiation.




Fig. 1. Structure of (E)-1-((1',3',3'-trimethyl-5,7-dinitrospiro[chromene-2,2'-indolin]-5'-yl)diazenyl)naphthalen-2-ol before and after light irradiation

The synthesis of hybrid azo and spiro group containing photochromic compounds was conducted on the base of 2,3,3-trimethyl-5-nitro-3H-indolenine and study of their UV-Vis. absorption spectra before and after illumination with UV light was implemented in different solvents. Azo chromophoric group by illumination does not isomerase from trans to cis because of a stable linear trans form and good coplanarity between rings and nitrogen-nitrogen double bonds. The synthesized hybrid molecule, containing spiro and azo center maintains the properties of both groups. The spiroopyran and azo dye are fused in an unexposed form. After the illumination of light, the symbiosis of the two dyes (merocyanine and azo-) occurs [1,2].

References:

1. T. Bukia, M. Utiashvili, M. Tsiskarishvili, S. Jalalishvili, A. Gogolashvili, T. Tatrishvili, G. Petriashvili. chem&chem.techn. It is accepted for publication in 2023
2. T. Bukia *, K. Davitashvili, N. Tsirekidze, J. Markhulia, T. Tatrishvili, Sh. Akhobadze, G. Palavandishvili, G. Petriashvili. Oxidation Communications, Vol. 46 (1), 177-188, 2023

SYNTHESIS AND PROPERTIES OF SOME NEW AZO DERIVATIVES


aT. Bukia, bL. Buskandze, bN. Beridze, aG. Petriashvili

aV. Chavchanidze Institute of Cybernetics, Georgian Technical University, 5 S. Euli Street, 0186 Tbilisi, Georgia

bSan Diego State University - Georgia, 5 M. Kostava St, 0179, Tbilisi, Georgia

Synthesis of azo compounds based on 2,3,3-trimethyl-3H-indolenine was conducted by reducing the 5-nitro-2,3,3-trimethyl indolenine using Zn dust in presence of NaOH aqueous

solution; by heating of 2,3,3-trimethyl-3H-indolenine-5-amine in toluene in the presence of MnO₂; By diazotization of 2,3,3-trimethyl-3H-indolenine and its interaction with the different couplers (2-naphthol, phenol, 2,3,3-trimethylindolenine, aniline and N,N-diethyl aniline).



It was experimentally proven that azo compounds were obtained in relatively good yield by diazotization of amine and its subsequent interaction with couplers (71-85%). By reducing the nitro compound using Zn/NaOH, it was possible to obtain bis azo with a relatively good yield (62%), then by heating the amine in toluene using a MnO₂ catalyst (37%). The structures were determined by infrared, NMR, and mass spectral analyses, which were consistent with the structures of the synthesized compounds. The structure of the synthesized compounds was determined by IR, NMR spectroscopy, and Mass spectral analysis.

References:

1. T. Bukia, M. Utiashvili, M. Tsiskarishvili, S. Jalalishvili, A. Gogolashvili, T. Tatrishvili, G. Petriashvili. *chem&chem.techn.* It is accepted for publication in 2023
2. T. Bukia*, K. Davitashvili, N. Tsirekidze, J. Markhulia, T. Tatrishvili, Sh. Akhobadze, G. Palavandishvili. G. Petriashvili. *Oxidation Communications*, Vol. 46 (1), 2023, pp. 177-188

DESIGN AND SYNTHESIS OF ADAMANTANE MOIETY CONTAINING NEW α -ACYLOXYCARBOXAMIDES VIA PASSERINI REACTION


^aT. Bukia, ^aS. Bakhsoliani, ^aM. Agniashvili, ^aT. Tabatadze ^aA. Goletiani, ^aI. Chikvaidze

^aFaculty of Exact and Natural Sciences, Research Institute of Organic Chemistry, Tbilisi State University, 0179 Tbilisi, Georgia;

Multicomponent reactions (MCR) are considered diversity-oriented syntheses in modern world. It provide the opportunity to create structurally diverse molecules. Compared to classical methods, multicomponent reactions involve the interaction of three or more reacting components in one flask, where condensation, (re)functionalization or cyclization reactions take place simultaneously and, accordingly, new compounds with increased molecular complexity, interesting structure or properties are obtained [1-3]. Among these multicomponent reactions, the Passerini three-component reaction is worth mentioning, where aldehydes, isonitriles, and carboxylic acids are used as reactive components, which ensure the synthesis of polyfunctionalized α -acyloxyamides (depsipeptides).

In this study, we used 1-adamantanecarboxylic acid as one of the reactants along with aldehydes and ethyl isocyanoacetate. The passerine reaction was performed in an aprotic solvent at

room temperature. The obtained product was purified using column chromatography (ethyl acetate/hexane 1/9 reaction mixture) and the structure of the synthesized compounds was proved by IR, NMR and LC-MS measurements.



The synthesized compound was studied on Gram-positive and Gram-negative bacteria. The implemented antimicrobial research showed interesting results

References:

1. James E Biggs-Houck, Ashkaan Younai and Jared T Shaw. Recent advances in multicomponent reactions for diversity-oriented synthesis. *Current Opinion in Chemical Biology* 2010, 14:371–382. <https://doi.org/10.1016/j.cbpa.2010.03.003>
2. Eelco Ruijter, Rachel Scheffelaar, and Romano V. A. Orru. Multicomponent Reaction Design in the Quest for Molecular Complexity and Diversity. *Angew. Chem. Int. Ed.* 2011, 50, 6234 – 6246 DOI: 10.1002/anie.201006515

EFFECT OF PROTEOLYTIC ENZYMES ON EHRlich CARCINOMA GROWTH

T. khobelia¹, E. kvesitadze², K. Museliani³

Georgian Technical University, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, Tbilisi, Georgia.
Georgian Technical University, Faculty of Agricultural Sciences and Biosystems Engineering, Tbilisi, Georgia.

Agricultural University of Georgia, Faculty of Agricultural Science, Tbilisi, Georgia

Proteolytic enzymes, or proteases, are essential components of living systems that carry out vital biological processes. They play a crucial role in regulating various cellular processes, such as gene expression, cell death, proliferation, signaling cascade regulation, and blood clotting. However, proteases are also involved in tumor growth and progression during primary and metastatic development. Interestingly, certain types of extracellular and intracellular proteases have the opposite effect and are involved in tumor suppression. These enzymes have been identified in microscopic fungi, and our research focuses on their potential use in cancer treatment.

To investigate the potential of proteases found in microscopic fungi as a cancer treatment, we carried out experiments using intracellular lysates of the fungi that contain these enzymes. We extracted and tested samples from two strains, NL 51 and M II-12, in an in vivo model of Ehrlich carcinoma. Our goal was to monitor the effectiveness of these extracts on cancer growth by assessing the life span of mice treated with them. We detected different results, under the influence of the study sample with NL 51 it was observed that the lifespan of the mice decreased by 9.38% ($p < 0.01$) compared to the control. On the other hand, mice treated with the M II-12 sample showed the opposite response, with an increase in lifespan by 31.25% ($p < 0.01$) compared to the control group, which indicates a protective effect against cancer growth. This suggests that the proteases found in microscopic fungi have potential in cancer treatment, and future research in this area is necessary.

Our research on the potential use of proteases found in microscopic fungi as a cancer treatment has yielded promising results. While the NL 51 sample had a negative effect on mouse life span, the M II-12 sample showed a significant protective effect against cancer growth. These findings highlight the potential of proteases from microscopic fungi as an approach to cancer treatment. Further research in this area could lead to the development of new drugs or therapies that harness the anti-cancer properties of these enzymes.

Keywords: proteolytic enzymes, microscopic fungi, intracellular lysates, Ehrlich carcinoma, lifespan.

რკინის ქვეჟანგჟანგის ნახშირბადით აღდგენის პროცესის კინეტიკის თავისებურებების კვლევა მაღალი წნევის პირობებში

მ. წეროძე, ზ. ავალიშვილი, ნ. კენჭიაშვილი, მ. ტაბატაძე, ნ. ლოლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, „ალმასებისა და კომპოზიციური მასალების“ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

ნაშრომი ეძღვნება რკინის ქვეჟანგჟანგის (Fe_3O_4) ნახშირბადთან ურთიერთქმედების კინეტიკის შესწავლას მაღალი ტემპერატურისა და წნევის პირობებში. Fe_3O_4 -ის მეტალურ რკინამდე აღდგენისას მიღებული კინეტიკური მრუდების საფუძველზე, პროცესის აქტივაციის ენერგია გამოითვალა ტემპერატურულ დიაპაზონში 970 - 1120°C. რეაქციის საწყის ეტაპზე აქტივაციის ენერგიის მნიშვნელობა იყო 55 კკალ/მოლი, შემდგომი ეტაპისთვის პროცესი ხასიათდება აქტივაციის ენერგიით დაახლოებით 19 კკალ/მოლი. მიღებული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ წნევის ფაქტორი მნიშვნელოვნად ცვლის აღდგენის პროცესის მექანიზმს.

ჭიათურის მანგანუმშემცველი ტექნოგენური ნარჩენების ქიმიური გამდიდრება რედოქს სისტემის Fe^{3+}/Fe^{2+} გამოყენებით

თ. ლეჟავა, გ. წურწუმია, ჯ. შენგელია, ნ. ქოიავა, დ. გოგოლი, ვ. ჩაგელიშვილი, ლ. ბერიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, საქართველო, 0179, თბილისი, მინდელის ქ. 11.

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას გამზ. 69.

საქართველოს ჭიათურის რეგიონში ოქსიდური მანგანუმშემცველი მადნების გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი არაკონდიციური მადანი, კუდები და შლამები (დაახ. 20-25 მილ ტ) დაგროვილია სხვადასხვა ღია საცავებში, რომლებიც საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯამრთელობას. ტექნოგენურ ნარჩენებში მანგანუმის შემცველობა ხშირად აღწევს 10-18%-ს, ამიტომ იგი წარმოადგენს მანგანუმისა და მისი ნაერთების მიღებისათვის დამატებით წყაროს. ტექნოგენური ნარჩენებიდან მანგანუმის გამოტუტვის დღეისათვის არსებული მეთოდები მოითხოვს მნიშვნელოვან ენერგეტიკულ დანახარჯებს და მაღალი ღირებულების გამოყენებულ რეაგენტებს [1].

ჩვენ მიერ გამსხვილებული ლაბორატორიულ მასშტაბში გამოიცადა რედოქს სისტემის Fe^{3+}/Fe^{2+} გამოყენებით მანგანუმშემცველი ტექნოგენური ნარჩენების (16% Mn) ქიმიური გამდიდრების ორი მეთოდი.

პირველი მეთოდით [2] ტექნოგენური ნარჩენების გამოტუტვა ჩატარებული იყო

პერკოლატორებში ($H=1.5\text{მ}, D=0.14\text{მ}$; ჩატვირთული მადნის ნარჩენის წონა 35კგ) ხსნარის - $2.2\text{გ/ლ Fe}^{2+} + \text{H}_2\text{SO}_4$ ($\text{pH } 1.5$) გატარებით, სადაც მანგანუმის მაღალი დაჟანგული ფორმა აღდგება ორვალენტთან მდგომარეობამდე აღმდგენლის Fe^{2+} -ის მოქმედებით. პერკოლატორიდან გამომავალ ხსნარი, რომელიც შეიცავს აღდგენის შედეგად წარმოქმნილ Fe^{3+} -ს, მიეწოდებოდა უდიაფრაგმო ელექტროლიზერში (35ლ, 25ა დატვირთვით) ხსნარისათვის გამჭოლი ნახშირბადის ქეჩის განვითარებული ზედაპირის კათოდის გავლით, სადაც ადგილი აქვს Fe^{3+} -დან Fe^{2+} -ის რეგენერაციას. ამავე ელექტროლიზერის ტყვიის ანოდებზე მიიღებოდა ტექნიკური ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდი ($t=90-92^\circ\text{C}$); კათოდზე რეგენირებული Fe^{2+} ისევ მიეწოდება პერკოლატორს გამოტუტვისათვის. ასეთი მეთოდი უზრუნველყოფდა ტექნოგენური ნარჩენების ეფექტიან გამდიდრებას, რადგან ანოდზე მიღებული MnO_2 -ის შემცველობა აღწევდა 75-80%-ს (დენით გამოსავალი 80%) და შეიცავდა 1.5-2.5% Fe (III). იგი თავისი შედგენილობით შეესაბამებოდა ბატარეის ხარისხის ნატურალური მანგანუმის დიოქსიდს, რომელსაც ფართოდ იყენებენ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში.

მეორე მეთოდით მანგანუმშემცველი ნარჩენებიდან მანგანუმის ამოღება ხორციელდება უდიაფრაგმო ელექტროლიზერის (63ლ, 40ა დატვირთვით) ბადე-კათოდზე ხსნარში $2.2\text{გ/ლ Fe}^{2+} + \text{H}_2\text{SO}_4$, $\text{pH } 1.5$ მადნის სუსპენზიის (ნაწილაკების ზომა 0.1-0.15მმ, მყარი : თხევადი =1:12) მძლავრი ჰაერის შებერვის პირობებში, სადაც ადგილი აქვს აღმდგენლის - რკინის (II) იონების რეგენერაციას. ეს უკანასკნელი ტუტავს ნარჩენების სუსპენზიაში არსებულ მანგანუმის ოქსიდებს; შედეგად ხსნარში გადადის მანგანუმის (II)-ის იონები, ხოლო გამტუტვის რეაქციით წარმოქმნილი რკინა (III)-ის იონები ისევ აღდგებიან ბადე-კათოდზე რკინის (II) იონების რეგენერაციით. მიღებული მანგანუმის სულფატის ხსნარების რკინისა და სხვა იონების გაწმენდის შემდეგ ავტოკლავური დამუშავებით ($160-165^\circ\text{C}$, 6-6.5 ატმ.) მიღებული იყო 98% სისუფთავის მანგანუმის სულფატის მონოჰიდრატი, რომელსაც იყენებენ ცხოველების საკვებში დანამატად.

ლიტერატურა

1. R.I. Agladze, E.Ya. Lublinsky, K.G. Makharadze, G.Sh. Mamporia. Electrochemical enrichment of manganese ores. *Electrochemistry of manganese*, 4 (1969) 223.
2. T. Lezhava, J. Shengelia, G. Tsurtsunia, N. Koyava, D. Gogol, L. Beriashvili, G. Gorelishvili, V. Chagelishvili, Z. Kurtanidze. "Method of electrochemical enrichment of low quality manganese raw materials". Georgian patent GE P 2022 7436 B.
3. T. Lezhava, G. Tsurtsunia, J. Shengelia, N. Koiava, D. Gogoli, L. Beriashvili, G. Gorelishvili. "Electro-reductive leaching of low-grade manganese oxide raw materials using an $\text{Fe}^{3+}/\text{Fe}^{2+}$ redox mediator" *Eur. Chem. Bull.* 2022, 11(10), 50-61.

მანგანუმის სამთო-გამამდიდრებელი წარმოების ნარჩენებისა და მეორადი პოლიპროპილენის ბაზაზე პოლიმერული კომპოზიციური მასალების შემუშავება

დ. გვენცაძე, თ. ლეჟავა, ვ. ჩაგელიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, საქართველო, 0179, თბილისი, მინდელის ქ. 11.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ქ.ჭიათურის მანგანუმის სამთო-გამამდიდრებელი წარმოების ნარჩენები: შლამი და მისი გამოტუტვის შედეგად მიღებული მყარი მასა - ფხვნილების სახით. საკვლევი შლამი აღებული იყო ღურღუმელას (ტბის) შლამსაცავიდან ფხვნილის სახით, რომელშიც მანგანუმის შემცველობა ჯამურად რენტგენოფლუ-

ორესცენციულ ანალიზის მიხედვით 9-12%-ს შეადგენდა. ორივე სახის ნიმუში გადიოდა ერთნაირ ოპერაციებს, როგორცაა ვიბროწისქვილში დაფქვა, შრობა და შერევა. შლამი მანგანუმს შეიცავდა სხვადასხვა სახით, ხოლო მასში კვარცის რაოდენობა ფიქსირდებოდა 35% შემცველობით, გამოტუტვის შედეგად მიღებულ მასაში კვარცის შემცველობა გაზრდილი იყო 50%-მდე. ნიმუშების რენტგენოგრამაში ასევე ფიქსირდებოდა მინდვრის შპატის ფაზები[1]. პოლიმერული კომპოზიციური მასალების შემკვრელად გამოყენებულ იქნა მრავალტონაჟიანი თერმოპლასტიკების წარმომადგენლის იზოტაქტიკური პოლიპროპილენის წარმოების ნარჩენები წვრილფრაქციული ფხვნილის სახით, რაც განპირობებული იყო მისი მაღალი საექსპლოატაციო თვისებით, დაბალი თვითღირებულებითა და ლიტერატურაში არსებული მონაცემებით, რომ პირველადი და მეორადი პოლიპროპილენის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ცნობილია, რომ სიმტკიცის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები გააჩნიათ 40 მას.% მინერალური შემცველების ბაზაზე მიღებული მეორადი პოლიპროპილენის კომპოზიტებს[2] და ამის გამო დამზადებულ იქნა ასეთი პროცენტული შემცველობის კომპოზიტების სხვადასხვა ზომის საცდელი ნიმუშები შლამისა და მისი გამოტუტვის შედეგად მიღებული მასის გამოყენებით. ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის შედეგები ასეთია: ნიმუშები წყალშთანთქმას არ განიცდიან და მათი კუთრი წონები 1058 - 1186კგ/მ³-ის ფარგლებშია, ნიმუშების სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას მერყეობს 52,8 – 57,5 მპა-ს შორის, ხოლო დარტყმითი სიმტკიცე 5,1-5,5 კჯოული/მ² -ის ტოლია. მაქსიმალური სიდიდეები უფიქსირდება გამოტუტვის შედეგად მიღებული მასით შევსებულ კომპოზიტს, რაც შეიძლება აიხსნას ამ მასაში კვარცის პროცენტული შემცველობის ზრდით. თვისებების გაზრდის მიზნით განხორციელდა ასევე კომპოზიციური მასალების მოდიფიცირება ეთილსილიკატით, რომლის 5 მას.%-ით შეყვანამ გაზარდა კომპოზიტის სიმტკიცე კუმშვისას 7,5 %-ით, ხოლო დარტყმითი სიმტკიცე 27%-ით.

სამუშაოს განხორციელებით იქმნება პრეცედენტი ერთდროულად ანუ კომპლექსურად მიღებულ იქნას მეორადი ნედლეულის, როგორც ორგანულის, ისე არაორგანულის ბაზაზე ისეთი კომპოზიციური პოლიმერული მასალები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სამშენებლო ინდუსტრიისათვის და მანქანადანადგარებისათვის გაუმჯობესებული თვისებების მქონე და შედარებით იაფი სხვადასხვა სახის ნაწარმი და დეტალები.

ლიტერატურა

1. I. T. Lezhava, G. Tsurtsunia, J. Shengelia, N. Koyava, V. Chagelishvili, D. Gogol, G. Gorelishvili, L. Beriashvili. Physico-chemical research of Chiaturi mining and beneficiation production waste. *Ceramics and advanced technologies*, vol. 23, 2(46), 2021. pp. 23-41.
2. J. Aneli, D. Gventsadze, L. Shamanauri. Properties of The Polymer Composites on The Basis of Secondary Polypropylene and Minerals; *Problems of Mechanics*; #1 (70). 2018. pp.41-44.

ჰიდროქსილაპატიტის მდგრადი ნანოკრისტალური პრეპარატების მიღება სტომატოლოგიასა და ძვლის ქირურგიაში მათი გამოყენების მიზნით

რ. გაფრინდაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. 69, 0175 თბილისი. საქართველო.

თანამედროვე სამედიცინო ტექნიკაში, ორთოპედიულ ქირურგიაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ჰიდროქსილაპატიტი. მიჩნეულია რომ იგი ორთოპედიის

მომავალია.

ინტერესი ჰიდროქსილაპატიტისადმი - $\text{Ca}_{10}(\text{PO}_4)_6(\text{OH})_2$ - გაპირობებულია მისი დიდი მნიშვნელობით ბიოლოგიური კვლევებისა და პრაქტიკული მედიცინისათვის იმის გამო, რომ ის არის ცოცხალი ორგანიზმის ძვლოვანი ქსოვილის მთავარი არაორგანული შემადგენელი ნივთიერება და ახასიათებს დიდი ბიოლოგიური შეთავსებადობა. იმპლანტატებისა და საფარის სახით სტომატოლოგიასა და ორთოპედიაში გამოიყენება ჰიდროქსილაპატიტი.

ჰიდროქსილაპატიტის სინთეზი, თავისთავად, რთული არ არის. საქმე ისაა, რომ ძვლის ქსოვილში ის არის $50 \times 10 \times 5$ ნმ ზომის კრისტალების სახით და სწორედ ამ ზომის პრეპარატების გამოყენება არის მაღალეფექტური ქირურგიაში. ასეთი, ნანოკრისტალური პროდუქტის მიღება კი დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული და მოითხოვს ნატიფი ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებას.

კვლევის მიზანია ნანოკრისტალური ჰიდროქსილაპატიტის სინთეზი და მისი სტაბილიზაცია სხვადასხვა მდგომარეობაში; მისი დაკავშირება ორგანულ კომპოზიციურ მასალებთან.

ორგანულ ფაზად არჩევანი შევარჩერეთ ბიოდეგრადირებად პოლიმერებზე Π -ამინომჟავების საფუძველზე, რომელთა ფართო ასორტიმენტი (განპირობებული სხვადასხვა კლასითა და თვითოეულ კლასში ასევე ფართოდ ვარირებადი სტრუქტურით) საშუალებას იძლევა შევარჩიოთ მატრიქსები, რომლებიც მაქსიმალურად პასუხობენ ზემოთ ჩამოთვლილ მკაცრ მოთხოვნებს. კერძოდ, ძვლის ტიპის კომპოზიციური მასალების შესაქმნელად შევარჩიეთ მაღალმოლეკულური პოლიესტერშარდოვანა ამინომჟავა L-ლეიცინისა და 1,6-ჰექსანდიოლის საფუძველზე ხტრილოვანი ქსოვილის მსგავსი მასალების მისაღებად - მაღალმოლეკულური პოლიესტერშარდოვანა ამინომჟავა L-ლეიცინისა და 1,12-დოდეკანდიოლის საფუძველზე და პოლიესტერამიდი სებაცინის მჟავას, L-ფენილალანინისა და 1,6-ჰექსანდიოლის საფუძველზე, ხოლო საგოზავის ტიპის მასალების მისაღებად

კი დაბალმოლეკულური პოლიესტერამიდი სებაცინის მჟავას, L-ლეიცინისა და 1,6-ჰექსანდიოლის საფუძველზე .

ლიტერატურა:

- 1) Dubok V.A., (2000). "Bioceramics – yesterday, today, tomorrow", Powder Metallurgy & Metal Ceramics", 39(7-8)
- 2) G.Tsitlanadze, M.Machaidze, T.Kviria, N.Djavakhishvili, C.C.Chu, R.Katsarava, J. (2004). Biomater. Sci., Polym. Ed. 15 (4), 1-24

სიმინდის ზეთის კვებითი ღირებულება და ფიზიოლოგიური აქტივობა

მ. სირაძე* - ი. ბერძენიშვილი, ა. აფაქიძე, გ. ანთია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი, თბილისი,
საქართველო

სტატიაში მიმოხილული და შეჯამებულია ინფორმაცია სიმინდის ზეთში შემავალი ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შედგენილობაზე და დასაბუთებულია მისი კვებითი ღირებულება მასში შემავალი ცხიმოვანი მჟავების თავისებურებებიდან გამომდინარე. სიმინდის ზეთი, როგორც ლინოლის პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავის ჯგუფის ზეთი, რაფინირებულ - დეზოდორირებული, დიეტური პროდუქტია შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობის გამო [1,2].

დასაბუთებულია, რომ აუცილებელი პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები, დიფერენცი-

რებული ა-3 და ა-6 ჯგუფებად, ადამიანის ორგანიზმში ასრულებენ სხვადასხვა ფიზიოლოგიურ ფუნქციას და მათი არასაკმარისი შემცველობა იწვევს სხვადასხვა პათოლოგიურ დარღვევებს.

ასევე განხილულია საკუთარი კვლევის შედეგები სიმინდის ზეთებზე, რომ-ლებიც მიღებულია რბილი რეჟიმის პირობებში ჯანსაღი ემბრიონებიდან და გამოყოფილია "მშრალი" მეთოდით. ჩატარებულია სიმინდისა და მზესუმზირას ზეთების ცხიმმჟავური შედგენილობის შესწავლის შედეგებითი ანალიზი და ფიზიოლოგიურ თვისებებში განსხვავებების ასახსნელად გაანალიზებულია თანმხლები ლიპიდების და მიკრო კომპონენტების შედგენილობა,

ჩატარებული კვლევებით სიმინდის ზეთში პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავა - ლინოლენი უფრო მეტი რაოდენობითაა, ვიდრე მზესუმზირაში და ყველაზე ღირებული თანმხლები ნივთიერებებიდან - ტოკოფეროლებიდან, აქტიური ანტიდამჟანგავი - γ-ტოკოფეროლი სიმინდის ზეთში ერთი რიგით მეტია, ვიდრე მზესუმზირას ზეთში, რაც განსაზღვრავს სიმინდის ზეთების მაღალ მდგრადობას დაჟანგვის პროცესებისადმი. აქედან გამომდინარე, სიმინდის ზეთის სპეციფიკური ფიზიოლოგიური აქტივობა განპირობებულია მისი კომპონენტების კომპლექსური მოქმედებით.

ლიტერატურა:

1. V.G. Shcherbakov, V. G. Lobanov. (2012). Biochemistry and commodity science of oilseed raw materials. Moscow: Kolos. 392 p. (in Russian).
3. Nechaev A.P. (2005). Functional vegetable oils / Oil and fat industry Journal, 3, 20-21. (in Russian).

წიპწის სუპერფლუიდური ექსტრაქტების კარბონმჟავების გამოკვლევა

თ. ღვინიაძე, ა. კალანდია, ე. გამყრელიძე, ნ. კამკამიძე, ა. ყიფიანი

აკ. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი, ქუთაისი, საქართველო.
ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი, ბათუმი, საქართველო.

საკვანძო სიტყვები: ექსტრაქტები, კარბონმჟავები, სუპერფლუიდური, ღვინო, ყურძენი, წიპწა.

ცნობილია, რომ ნატურალური, სპეციალური და ორიგინალური ღვინოები სასურსათო საქონელმცოდნეობის კლასიფიკაციით გემოვან პროდუქტებს მიეკუთვნებიან და შესაბამისად მათი მთავარი ხარისხობრივი მახასიათებელი ე. წ. „სენსორული თაიგულია“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს „ჯიშურ“, „ფერმენტაციისა“ და „დაძველების“ სურნელ-არომატებს [1; 2].

„წითელი წესით“ ღვინომასალების წარმოების პროცესში სენსორული თაიგულის შექმნაში ზედმეტ-ნაკლებად მონაწილეობს ყურძნის მყარი ნაწილების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები [3; 4], რომელთაგანაც ჩვენი კვლევის საგანს ფერადი ყურძნის კარბონმჟავები წარმოადგენდა, რადგანაც ისინი ასევე მონაწილეობენ მომავალი ღვინის სენსორული თაიგულის შექმნაში.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გამოყენებითი გრანტის (N216752) ფარგლებში კვლევას ექვემდებარებოდა *Vitis labrusca* (Fox Grape)-ს ოჯახის ფერადი ყურძნის „ზეიბელ 5455“-ის წიპწისა და კანის სუპერფლუიდური ექსტრაქტების და კონცენტრატების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები.

კვლევის ობიექტად შერჩეული *Vitis labrusca* (Fox Grape)-ს ოჯახის ფერადი ყურძნის „ზეიბელ 5455“-ის წიპწის სუპერფლუიდური ექსტრაქტების კარბონმჟავების cis-/trans-შედგენილობის კვლევა - განხორციელდა გაზური ქრომატოგრაფის (TRACE™ 1310 Gas

Chromatograph - Thermo Scientific) საშუალებით. ქრომატოგრაფირება მიმდინარეობდა ქრომატოგრაფიულ კაპილარულ სვეტზე - SGE BPX5 Capillary GC Column 30 მმ სიგრძის, 0,25 მმ დიამეტრის და 0,25 მკმ უძრავი ფაზის ნაწილაკების ზომით. უძრავ ფაზას წარმოადგენდა 5% Phenyl Polysilphenylene-siloxane.

ქრომატოგრაფირებისას მოძრავ ფაზას წარმოადგენს ჰელიუმი, რომლის მოძრაობის სიჩქარე შეადგენს 0,700 მლ/წუთში. საკვლევი ნიმუშის ინჟექტირება ხორციელდებოდა SGE Analytical Science ფირმის 10 მკლ მიკრომპრიციის მეშვეობით.

საკვლევი ნიმუში გავფილტრეთ მექანიკური მინარევებისაგან გასაწმენდად. გაფილტრული ნიმუშის 1 მლ ავიღეთ ცენტრიფუგის სინჯარაში, დავამატე 0.5 მლ 2 ნორმალურ KOH-ის 99,8% მეთანოლის ხსნარი (შესაძლებელია გამოვიყენოთ ეთანოლი). შემდეგ, დავამატეთ 10 მლ ჰექსანი (საერთო მოცულობა 11,5 მლ). შევანჯღრიეთ სრულ გახსნამდე (მინიმუმ 30 წამის განმავლობაში) და დავაცენტრიფუგირეთ 10 წუთის განმავლობაში 1000 ბრუნზე. ნიმუშის ზედა ფრაქციიდან ავიღეთ 1 მკლ და შევიყვანეთ ქრომატოგრაფში. კარბონმჟავების რაოდენობრივი შემცველობა ისაზღვრება პიკის ფარდობის მიხედვით პროცენტებში 0,01%-ის სიზუსტით.

ქრომატოგრაფირების მეშვეობით მიღებული კომპონენტების იდენტიფიკაცია განხორციელდა ცნობილი შედგენილობის მქონე ნიმუშის მონაცემებთან შედარებით და დავადგინეთ წიპწის ზეთში კარბონმჟავების სპეციფიკური შედგენილობა.

ქრომატოგრაფიულმა კვლევამ აჩვენა რომ ჰიბრიდული ყურძნის (ზეიბელ-5455) წიპწიდან მიღებული ზეთი შეიცავს ხუთ დომინანტ კარბონმჟავას: - Palmitic acid methyl ester (C16:0) 8.407 %, Linoleic acid methyl ester (C18:2n6c) 66.801 %, Oleic acid methyl ester (C18:1n9c) 19.779 %, Elaidic acid methyl ester (C18:1n9t) 0.656 %, Stearic acid methyl ester (C18:0) 3.451 %.

სხვა კარბონმჟავები ძალიან მცირე ოდენობითაა წარმოდგენილი ჩვენს მიერ კვლევისათვის შერჩეული ფერადი ყურძნის წიპწის სუპერფლუიდურ ექსტრაქტებში.

ლიტერატურა:

1. I.T. Gvinianidze (2023). Wine - technology and technochemical control. ATSU, Kutaisi.
2. Colette Navarre, Françoise Langlade (2004). oenology. "Diogene", Tbilisi.
3. Kishkovsky E. N., Skurikhin I. M. (1976). Chemistry of Wine. Food industry, Moscow (Ru).
4. Durmishidze S., Khachidze O. (1979). Chemical composition of grapes. "Science", Tbilisi.

ჰეტეროციკლური კონდენსირებული სისტემები ფენოთიაზინის ბაზაზე

მ. მაისურაძე¹, ე. კალანდია^{*1}, გ. ფალავანდიშვილი¹, მ. მათნაძე¹, ნ. გახოვიძე¹, ს. ცქვიტაია²,
ბ. წეროძე¹

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.77, 0175
²შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტი, საქართველო თბილისი, გულუას ქ.10,
0114

ჰეტეროციკლურ ნაერთთა სინთეზის ლაბორატორიაში მიღებულ იქნა 6 ახალი ნაერთი, რომლებიც ლიტერატურულ მონაცემებში ჯერ არ არის აღწერილი: 3-ბენზამიდოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი; 4-ნიტრო-3-ბენზამიდოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი; 4-ამინო-3-ბენზამიდოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი; 3,4-დიამინოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი. მოხდა მათი დახასიათება, მიღების მეთოდის დახვეწა. მიღებული 1H-იმიდაზოლო[3,2-b]-ფენოთიაზინ-10,10-დიოქსიდი წარმოადგენს ფუძემდებლურ ნაერთს და მის ბაზაზე შესაძლებელია მრავალრიცხოვანი წარმოებულების მიღება და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა. დასინთეზდა წარმოებული: 2-ბენზოილ-1H-


იმიდაზოლო[3,2-b]-ფენოთიაზინ-10,10-დიოქსიდი. წარმოებულის მიღებისას ფუძემდებლურ სისტემაში, ფარმაცოლოგიურად აქტიური ფარმაცოფორული ჯგუფის შეყვანამ საშუალება მოგვცა გვევარაუდა ბიოლოგიური აქტივობის ზრდა.

შესავალი: თანამედროვე, ახალი თაობის სამკურნალო საშუალებების შესაქმნელად მნიშვნელოვანია ცნობილი ბიოლოგიური აქტიურობის მქონე მოლეკულის ერთ მოლეკულაში გაერთიანება, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვლება მიღებული ნაერთის ბიოლოგიური აქტივობა.[1, 2]

თემის აქტუალობიდან და ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი სამუშაოს მიზანი იყო ერთ მოლეკულაში გაგვეერთიანებინა ისეთი ჰეტეროციკლური ფრაგმენტები, როგორცაა: ფენოთიაზინი და იმიდაზოლი რის შედეგადაც გაიზრდებოდა მიღებული ნაერთის ბიოლოგიური აქტიურობა. რადგან ცნობილია, რომ ორივე მათგანი ხასიათდება ფიზიოლოგიური აქტიურობის ფართო სპექტრით, მაგალითად: ანტივირუსული, ანტიკანცეროგენული, გულ-სისხლძარღვთა დაავადების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო და ა.შ. ზემოთ მოყვანილი ციკლების ხაზოვან მდგომარეობაში ანელირების შედეგად მიღებულ იქნა ახალი ოჯახი ნაერთებისა. მოხდა მათი დახასიათება. მიღებული სისტემა წარმოადგენს ფუძემდებლურ ნაერთს და მის ბაზაზე შესაძლებელია მრავალრიცხოვანი წარმოებულის მიღება და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა. წარმოებულის მიღებისას ფუძემდებლურ სისტემაში ფარმაცოლოგიურად აქტიური ფარმაცოფორული ჯგუფის შეყვანამ საშუალება მოგვცა გვევარაუდა ბიოლოგიური აქტივობის ზრდა. მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენს მიერ დასინთეზებული ნაერთები აკმაყოფილებენ „ლიპინსკის წესს“

ჩვენი სამუშაოს პირველ ნაწილს წარმოადგენდა ფენოთიაზინის მოლეკულაზე თანდათანობითი „მიშენების“ გზით იმიდაზოლის ბირთვის ანელირება. ზოგადად შესაძლებელია იმიდაზოლის ბირთვის სამ სხვადასხვა მდგომარეობაში ანელირება. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ხაზოვანი სტრუქტურის შექმნაზე, კერძოდ - 2,3-დიამინოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი, იმავე მდგომარეობის იმიდაზოლფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდის მიღებაზე.[3]

ჩვენს მიერ საწყის ნაერთად აღებულ იქნა ფენოთიაზინი (1). მისი დაჟანგვით ყინულოვან ძმარმჟავა არეში წყალბადის ზეჟანგით მიღებულ იქნა ფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი (2). შემდგომ მისი ნიტრირებით, კონც. აზოტმჟავათი ($d=1,5$) ყინულოვან ძმარმჟავა არეში მიღებულ იქნა 3-ნიტროფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი(3), რეაქცია მიმდინარეობდა 30-350C-ტემპერატურაზე. 3-ამინოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი(4), მიღება ხდებოდა მარილმჟავით ეთანოლის არეში, დუღილის პირობებში კატალიზატორად გამოყენებული იყო თუთიის მტვერი. მიღებული 3-ამინოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდის(4) ამინის ჯგუფის დაცვა ხდებოდა ბენზოლისა და პირიდინის არეში ბენზოილქლორიდით, შედეგად მიღებულ იქნა 3-ბენზამიდოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდი(5). ნაერთი (5)-ის კვლავ ნიტრირებით, აღდგენით და დამცავი ჯგუფის მოხსნით მიღებულ იქნა 2,3-დიამინოფენოთიაზინ -5,5-დიოქსიდი (8). ფილიპსის მოდიფიცირებული რეაქციის გამოყენებით, 2,3-დიამინოფენოთიაზინ-5,5-დიოქსიდის(8) ჭიანჭველმჟავასთან კონდენსაციით მარილმჟავას კატალიზური რაოდენობის თანაობით, მიღებულ იქნა 1H-იმიდაზოლო[3,2-b]-ფენოთიაზინ-10,10-დიოქსიდი (9).



სქემა 1. 1H-იმიდაზოლო[3,2-ბ]-ფენოთიაზინ-10,10-დიოქსიდის (9) და 2-ბენზოილ-1H-იმიდაზოლო[3,2-ბ]-ფენოთიაზინ-10,10-დიოქსიდის(10) მიღების სქემა დასკვნა

1. მთლიანობაში მიღებულია 6 ახალი ნაერთი, დამუშავებულია მათი მიღების პრეპარატურული მეთოდები.

2. დადგენილ იქნა ფენოთიაზინის ნიტრირების, ამინირებისა და ბენზოილირების რეაქციების ოპტიმალური პირობები.

3. განსაზღვრულ იქნა ექვსივე ახალი ნაერთის ლლობის ტემპერატურები.

4. პროგრამა PASS online-ში გამოთვლილ და გამოვლენილ იქნა ნაერთ (9) და (10)-ის აქტივობები, რომელთა ალბათობა 70% აღემატება, რის საფუძველზეც პირველად იქნა დასინთეზებული ეს ნაერთები.

ლიტერატურა:

1. Md. Jawaid Akhtar, Mohammad Shahar Yar, Vinod Kumar Sharma, Ahsan Ahmed Khan,

Zulphikar Ali, MD. Rafi Haider, Ankita Pathak. Current Medicinal Chemistry. 2020. Volume 27. Issue 35. Page: 5970 – 6014

2. M.Maisuradze, E.Kalandia, G.Phalavandishvili, N.Gakhokidze, M.Matnadze. Heterocyclic condensate systems based on coumarin. International Scientific Conference, CHTAB 2020. CHEMICAL AND TECHNOLOGICAL ASPECTS OF BIOPOLYMERS. Tbilisi 2020. P.97-100

3. M. Maisuradze, E. Kalandia, N. Ghakhokidze, M. Matnadze, G. Falavandishvili. New imidazole/triazole- and dibenzothiophenedioxide-containing tetracyclic condensed systems. Prof. International scientific and technical conference "Protection of the environment and sustainable development" dedicated to Victor Eristavi's 80th birthday, Tbilisi 2019 p.72-73.

სექცია 3. ფარმაცია Section 3. Pharmacy

Characteristic Properties of Georgian Bentonite

L. Tsiklauri, G. Tsagareishvili

Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry, Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

Clay minerals are extensively employed substances in the pharmaceutical preparations both as active agents and as drug vehicle due to their surface features, which include surface area and cation exchange capacity (CEC) [1]. The specific surface area (SSA) is a significant parameter since it gives quantitative evaluation of the areas accessible for surface reactions; CEC provides the amount of exchange cations available for replacing cations of other types; furthermore, its influence on the formation of polymer clay composites was reported; gel formation index (GFI) is considered as quality indicator of bentonites [1, 2, 3]. Consequently, these properties of clays have to be accurately specified to explain the underlying mechanisms.

The aim of this study was to evaluate physico-chemical properties, like specific surface area, ion exchange capacity, gel formation index (GFI), for Tikha Ascane (TA) - preparation obtained from the clay of Askana Deposit (Georgia) at the I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry (TSMU) [4] and investigate the influence of polymer - carboxymethylcellulose (CMC) on the swelling properties of TA.

Methods of research. Methylene blue test was employed for the determination of surface areas and CEC of TA; swelling potential of clay was examined by the standard method according to ASTM D5890; Magnesium and aluminum oxides were used for evaluation GFI [2, 3].

Main results. In this study, the specific (SSA), external (ESA), and internal (ISA) specific surface areas were determined. For the TA we estimated a SSA (combination of both internal and external surface areas) of $869 \pm 1.2 \text{ m}^2/\text{g}$, $\text{ESA} = 171.74 \pm 0.8 \text{ m}^2/\text{g}$; $\text{ISA} = 697.26 \pm 1.5 \text{ m}^2/\text{g}$. The observed cation-exchange capacity and GFI were 113.42 mmol/100 g bentonite and $78.28 \pm 2.65 \%$ consequently. The impact of addition CMC on the expansion features of the TA suspension was evaluated in samples with varied ratios of polymer and bentonite: 1:1; 1:2; 1:3. The obtained results are shown in Figure. The thixotropic behavior (swelling degree) of TA dispersions was notably improved by adding CMC. This is as a result of the chemical structure of CMC, which enables bentonite particles dispersion.

Conclusion. The important characteristic properties, such as specific surface area, ion exchange capacity, gel formation index, were determined for Tikha Ascane. These data are valuable for interpretation underlying mechanisms of preparations based on TA.




Figure. Swelling kinetics of samples

References

1. Massaro M, Colletti CG, Lazzara G, Riela S. The Use of Some Clay Minerals as Natural Resources for Drug Carrier Applications. *J Funct Biomater*. 2018;9(4):58.
2. Kumari, N.; Mohan, C. Basics of Clay Minerals and Their Characteristic Properties. In *tech Open*: United Kingdom, London, 2021; ISBN 978-1-83969-564-3. doi: 10.5772/intechopen.97672
3. Christian, W., Zainab, B., Tian, K., & Abichou, T. Effect of specimen preparation on the swell index of bentonite-polymer GCLs. *Geotextiles and Geomembranes*. 2020; 48(6):875-885
4. Kutateladze I.G. Tikha-ascane for medical purpose. "Gruzmedgiz". Tbilisi. 1955: 39 (in Russian).

საქართველოში გავრცელებული კავკასიის ენდემური სახეობის *Solanum woronowii* Pojark-ის ფარმაკოგნოსტული შესწავლა

მ. ერემაშვილი, ქ. მჭედლიძე, მ. ბენიძე, ლ. მსხილაძე

თსუ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, საქართველო, 0159, თბილისი, პ. სარაჯიშვილის 36.

ოჯახი ძაღლყურძენასებრნი - Solanaceae საქართველოში წარმოდგენილია 10 გვარისა და 26 სახეობის მცენარით, მათგან ერთ-ერთი *Solanum woronowii* Pojark კავკასიის ენდემია [1]. მცენარის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა ქიმიური შესწავლით დადგენილია მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების - სტეროიდული საპონინების, ფლავონოიდების და ალკალოიდების შემცველობა. შესწავლილია კვლევის ობიექტის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა შინაგანი აგებულება და დადგენილია მიკროსტრუქტურული სადიაგნოსტიკო მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: *Solanum woronowii* Pojark; მიკროსტრუქტურა; ქლოროგენინი; ტიგოგენინი; სპიროსტანი; ფუროსტანი.

კვლევის მიზანი: ნაშრომის მიზანია *S. woronowii*-ის, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყაროს მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა ანატომიური აგებულების შესწავლა და სადიაგნოსტიკო მახასიათებლების დადგენა; მეორადი მეტაბოლიზმის პროდუქტების მიღება, ფრაქციონირება და ფიტოქიმიური შესწავლა.

კვლევის შედეგები და დისკუსია: მცენარეთა მეორადი მეტაბოლიტების ერთ-ერთ კლასს სტეროიდული გლიკოზიდები წარმოადგენენ, მათი შემცველი მცენარეების გამოვლენა და შესწავლა მნიშვნელოვანია მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური მოქმედების და აგლიკონის - არაშაქროვანი ნაწილის სტეროიდული ჰორმონალური პრეპარატების სინთეზისათვის შესაძლო გამოყენების თვალსაზრისით. ამ მხრივ აღსანიშნავია გვარი ძაღლყურძენას სახეობები, რომლებიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციულ მედიცინაში [2]. საკვლევი ობიექტი შეგროვებული იქნა 2022 წლის

აგვისტოში, ატენის ხეობაში (საქართველო).

მცენარეთა დიაგნოსტიკაში მიღებული კამერალური მეთოდებით კვლევისას აღინიშნება მრავალუჯრედოვანი სფეროსებრთავიანი, ჯირკვლოვანი და კონუსური, მოკაუჭებული ბუსუსებით შებუსული *S. woronowii*-ის მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოები. ღერძითი ორგანოს მფარავი ქსოვილის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული, მეტ-ნაკლებად სწორხაზოვანია; ყლორტის ტრანზიტორული სისტემა მონოციკლურია; მერქანში ტრაქეიდული ქსოვილის მცირედკალიბრიანი სანათურების ბადე და კომპაქტურად დიფერენ-ცირებული გამტარ ჭურჭელთა დიდ-კალიბრიანი სანათურებია წარმოდგენილი. ტრაქეიდების სანათურთა შიდა გარსის მოხაზულობა სფეროსებრი ან კვადრატულია, გამტარ ჭურჭელთა კი - ოვალური. *S. woronowii*-ის ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები არადაგვირისტებული მრუდხაზოვანი და მრუდკედლიანია; ზაგის აპარატი ანომოციტური და ანისოციტურია; ძაღლყურძენას ფოთოლი ბიფაციალურია, დორზო-ვენტრალური, ამფისტო-მატური სტრუქტურის, გამტარი ქსოვილი უკუ-კოლატერალური აღნაგობის. *S. woronowii*-ის ფოთლის ყუნწის (მეზოპეციოლი) ძირითადი ქსოვილი პოლიგონალური სტრუქტურისაა, ტრანზიტორული ქსოვილის მოხაზულობა სუსტად რკალისებრი; გამტარი ქსოვილი კოლატერალური სტრუქტურის.

S. woronowii -ის ფოთლებიდან და ღეროებიდან 70% მეთილის სპირტით გამოწვლილვის და ლიპოფილური ნივთიერებებისგან ქლოროფორმით გასუფთავების შემდეგ ჯამური ექსტრაქტის გამოსავალია 28,3% და 17,5% -ის შესაბამისად. ჯამური ექსტრაქტის 10% წყლიანი ხსნარის Diaion HP-20 სვეტზე გატარებით მიღებულ იქნა 30% CH₃OH, 60% CH₃OH, 80% CH₃OH და CH₃OH ფრაქციები. ორივე შემთხვევაში 30% CH₃OH ელუატში სტეროიდული გლიკოზიდები არ აღმოჩნდა, ფუროსტანოლური გლიკოზიდებით მდიდარია 80% CH₃OH და სპიროსტანოლებით - CH₃OH ელუატები. მცენარის ფოთლების ჯამური ექსტრაქტის ჰიდროლიზი ჩატარდა 8% HCL -ის ხსნარით ბენზოლის თანაობისას მდუღარე წყლის აბაზანაზე 3სთ-ის განმავლობაში. ბენზოლიანი ფენის განეიტრალების და გაწმენდის შემდეგ მიღებულია სტეროიდული საპოგენინების ჯამი 0,6% გამოსავლით. რომლის ქრომატოგრაფირებით გამხსნელთა სხვადასხვა სისტემაში მოწმებთან შედარების გზით დადგინდა ტიგოგენინის - (25R)-5 α -სპიროსტან -3 β -ოლი და ქლოროგენინის -(25R)-5 α -სპიროსტან -3 β , 6 α - დიოლის არსებობა.

დასკვნა: დადგენილია კავკასიის ენდემური მცენარის, საქართველოს ფლორის *S. woronowii*-ის მიწისზედა ვეგეტატიურ ორგანოთა მაკრო- და მიკროსტრუქტურული აგებულების სადიაგნოსტიკო მახასიათებლები; ფოთლების ქიმიური შესწავლით დადგენილია ტიგოგენინის - (25R)-5 α -სპიროსტან -3 β -ოლი და ქლოროგენინის -(25R)-5 α -სპიროსტან -3 β , 6 α - დიოლის წარმოებული სტეროიდული გლიკოზიდები.

ლიტერატურა

1. M. Davlianidze, c. Ghviniashvili, M. Mukbaniani, L. Jinjolia-Imnadze, T. Jug. (2018) Nomenclatural list of flora of Georgia. Tbilisi. 296 p.
2. Joseph Sakah Kaunda, Ying Jun Zhang, (2019) The Genus Solanum: An Ethnopharmacological, Phytochemical and Biological Properties Review, Natural Products and Bioprospecting, 9,77–137.

Pharmacognostic study of an endemic species of the Caucasus - *Solanum woronowii* Pojark common in Georgia

M. Eremashvili, K. Mchedlidze, M. Benidze, L. Mskhiladze

The Solanaceae family is represented in Georgia by 10 genera and 26 plant species, including one - *Solanum woronowii* Pojark., endemic to the Caucasus[1]. The content of biologically active substances - steroidal saponins, flavonoids and alkaloids in them has been determined by the chemical study of the above-ground vegetative organs of the plant. The internal structure of above-ground vegetative organs of the research object has been studied and the microstructural diagnostic characteristics have been established.

Key words: *Solanum woronowii* Pojark; microstructure; chlorogenin; tigogenin; spirostan; furostan.

Aim of the study

The study aimed to investigate the anatomical structure of the above-ground vegetative organs of *S. woronowii* as a source of biologically active substances and to determine the diagnostic characteristics as well as to obtain, fractionate and study secondary metabolites.

Results and discussions

Steroid glycosides are one of the classes of plant secondary metabolites. The detection and study steroid glycosides containing plants is important in terms of diverse pharmacological activity and possible use of their aglycone - non-sugar part, for the synthesis of steroid hormonal preparations. In this regard, it is worth noting the species of the genus Solanaceae, which have been used in traditional medicine of different countries since ancient times [2]. The research object was collected in August 2022, in Ateni valley (Georgia). When studying with the conventional methods used in plant diagnostics, it appeared that the above-ground vegetative organs of *S. woronowii* are multicellular spherical, glandular and conical, covered with hooked bracts. The basal cells of the covering tissue of the axial organ are non-circular, more or less linear. The transient system of the twig is monocyclic. A network of small-caliber lumens of tracheid tissue and large-caliber lumens of compactly differentiated conducting vessels are present in the xylem. The outline of the inner shell of the lumen of tracheids is spherical or square, and that of conducting vessels is oval. The basal cells of the upper and lower epidermis of *S. woronowii* leaves are non-circular and curve-walled. Stomata apparatus is anomocytic and anisocytic. The leaf is bifacial, dorsoventral, amphistomatic structure with reverse-collateral type conductive tissue. The main tissue of *S. woronowii* leaf stalk (mesopetiol) has a polygonal structure, the outline of the transitional tissue is slightly arcuate. Conductive tissue has a collateral structure.

After extraction from leaves and stems of *S. woronowii* with 70% methyl alcohol and purification from lipophilic substances with chloroform, the total extract yield was 28.3% and 17.5%, respectively. After passing 10% aqueous solution of the total extract on a Diaion HP-20 column is given 30% CH₃OH, 60% CH₃OH, 80% CH₃OH and CH₃OH fractions. In both cases no steroid glycosides were found in the 30% CH₃OH eluate, 80% CH₃OH eluates is rich in furostanol glycosides and in spirostanols - CH₃OH eluates. Hydrolysis of the total extract of plant leaves was carried out with 8% HCL solution in the presence of benzene on a boiling water bath for 3 hours. After neutralization and purification of the benzene layer, the sum of steroidal saponins was obtained with a yield of 0.6%. Chromatography of hydrolysate in different systems of solvents by comparison with witnesses revealed the presence of tigogenin - (25R)-5 α -spirostane -3 β -ol and chlorogenin -(25R)-5 α -spirostane -3 β , 6 α -diol .

Conclusion

The diagnostic characteristics of the macro- and microstructural structures of the above-ground vegetative organs of *S. woronowii*, an endemic plant of the Caucasus, flora of Georgia, have been determined; The chemical analysis of the leaves revealed steroidal glycosides derived from tigogenin-(25R)-5 α -spirostan-3 β -ol and chlorogenin-(25R)-5 α -spirostan-3 β ,6 α -diol.




Figure 1. Anatomical structure of vegetative organs of *S. woronowii*

A. shoot; B. a fragment of the rectilinear underlying tissue of the shoot epidermis; C. conductive tissue; D., E. dorsoventral mesophyll; F. panorama of leaf epidermis and G. stalk structure

1. epidermis; 2. villis; 3. chlorenchyma; 4. collenchyma; 5. bark parenchyma; 6. thin fibers; 7. xylem; 8. lumens of the tracheid and 9. conducting vessels; 10. spiral vessels; 11. porous tracheids; 12. filiform-like and 13. sponge-like parenchyma; 14. anastomosis; 15. curvilinear and curve-walled basal epidermal cells; 17. anomocytic and 18. anisocytic mouth; 19. polygonal parenchyma; 20. radial rays

References

1. M. Davlianidze, c. Ghviniashvili, M. Mukbaniani, L. Jinjolia-Imnadze, T. Jugeli. (2018) Nomenclatural list of flora of Georgia. Tbilisi. 296 p.
2. Joseph Sakah Kaunda , Ying-Jun Zhang, (2019) The Genus Solanum: An Ethnopharmacological, Phytochemical and Biological Properties Review, Natural Products and Bioprospecting, 9,77–137.

Characteristic Properties of Georgian Bentonite

L. Tsiklauri, G. Tsagareishvili

Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry, Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

Clay minerals are extensively employed substances in the pharmaceutical preparations both as active agents and as drug vehicle due to their surface features, which include surface area and cation exchange capacity (CEC) [1]. The specific surface area (SSA) is a significant parameter since it gives quantitative evaluation of the areas accessible for surface reactions; CEC provides the amount of exchange cations available for replacing cations of other types; furthermore, its influence on the formation of polymer clay composites was reported; gel formation index (GFI) is considered as quality indicator of bentonites [1, 2, 3]. Consequently, these properties of clays have to be accurately specified to explain the underlying mechanisms.

The aim of this study was to evaluate physico-chemical properties, like specific surface area, ion exchange capacity, gel formation index (GFI), for Tikha Ascane (TA) - preparation obtained from the clay of Askana Deposit (Georgia) at the I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry (TSMU) [4] and investigate the influence of polymer - carboxymethylcellulose (CMC) on the swelling properties of TA.

Methods of research. Methylene blue test was employed for the determination of surface areas and CEC of TA; swelling potential of clay was examined by the standard method according to ASTM D5890; Magnesium and aluminum oxides were used for evaluation GFI [2, 3].

Main results. In this study, the specific (SSA), external (ESA), and internal (ISA) specific surface areas were determined. For the TA we estimated a SSA (combination of both internal and external surface areas) of $869 \pm 1.2 \text{ m}^2/\text{g}$, $\text{ESA} = 171.74 \pm 0.8 \text{ m}^2/\text{g}$; $\text{ISA} = 697.26 \pm 1.5 \text{ m}^2/\text{g}$. The ob-

served cation-exchange capacity and GFI were 113.42 mmol/100 g bentonite and 78.28 ± 2.65 % consequently. The impact of addition CMC on the expansion features of the TA suspension was evaluated in samples with varied ratios of polymer and bentonite: 1:1; 1:2; 1:3. The obtained results are shown in Figure. The thixotropic behavior (swelling degree) of TA dispersions was notably improved by adding CMC. This is as a result of the chemical structure of CMC, which enables bentonite particles dispersion.

Conclusion. The important characteristic properties, such as specific surface area, ion exchange capacity, gel formation index, were determined for Tikha Ascane. These data are valuable for interpretation underlying mechanisms of preparations based on TA.




Figure. Swelling kinetics of samples

References

1. Massaro M, Colletti CG, Lazzara G, Riela S. The Use of Some Clay Minerals as Natural Resources for Drug Carrier Applications. *J Funct Biomater*. 2018;9(4):58.
2. Kumari, N.; Mohan, C. Basics of Clay Minerals and Their Characteristic Properties. In *tech Open*: United Kingdom, London, 2021; ISBN 978-1-83969-564-3. doi: 10.5772/intechopen.97672
3. Christian, W., Zainab, B., Tian, K., & Abichou, T. Effect of specimen preparation on the swell index of bentonite-polymer GCLs. *Geotextiles and Geomembranes*. 2020; 48(6):875-885
4. Kutateladze I.G. Tikha-ascane for medical purpose. "Gruzmedgiz". Tbilisi. 1955: 39 (in Russian).

Rheological Study of natural and modified bromelain containing gels

L. Nadirashvili¹, T. Korinteli², M. Orjonikidze¹, D. Lagazidze¹

¹TSMU Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry, 0159, P. Sarajishvili 36, Tbilisi, Georgia.

²Tbilisi State Medical University, Phd student

Bromelain is a complex of plant-derived proteolytic enzymes found in almost all parts of the Pineapple plant (*Ananas comosus* L. Merr.) [1]. Its fibrinolytic, anti-inflammatory and anti-edematous, anti-thrombolytic action leads to its use in the therapy of bone and joint pathologies and the treatment of musculoskeletal disorders [2]. However, high allergenicity prevents its clinical use. In order to solve the mentioned problem, we have obtained bromelain immobilized with aldehyde dextran (modified bromelain) [3].

Model samples of 150 PE proteolytic activity gels were prepared from natural and modified bromelain based on carbopol. In the process of developing soft drug forms, it is important to conduct rheological studies for quality prediction and assurance.

Aim of the study. Study of rheological properties of natural and modified bromelain gels.

Methods. Rheological studies were carried out by the method of viscometry 14 days after the preparation of model gels on an Anton Paar Visco QC-300 (Anton Paar GmbH, Austria) rotary viscometer.

Research Results. The results of the conducted rheological studies are presented in Figures 1 and 2




Fig. 1. Dependence of viscosity (cp) of natural (1) and modified (2) bromelain gels on spindle speed (rpm), blue line – ascending, red line – descending.




Fig.2. Dependence of deformation speed (s-1) of natural (1) and modified (2) bromelain gels on share stress (mpa), blue line – ascending, red line – descending.

Based on the performed rheological studies, it can be concluded that the research samples represent dispersed systems with elastic-plastic properties. Flow curves on the rheogram show that the rheological properties of the studied gels practically do not differ from each other. The presence of ascending and descending curves of the hysteresis loop (which overlap each other) indicates that the studied samples have thixotropic properties. Pseudoplastic rheology, which is characteristic of structured (non-Newtonian) fluids, has a significant impact on the technological and consumer characteristics of a dosage form, such as application of the gel to the skin and expulsion from the tubes, etc.

Conclusion. The rheological properties of the experimental sample of natural and modified bromelain gels prepared on the basis of carbopol were studied. Gels of both models are characterized by pseudoplastic flow, stable structure and thixotropy.

References:

1. Ramli, AN.M.; Manas, N.H.A.; Hamid, A.A.; Hamid, H.A.; Illias, R.M. (2018). Comparative structural analysis of fruit and stem bromelain from *Ananas comosus*. *Food Chem.*, 266, 183–191.

- Chakraborty, A.J.; Mitra, S.; Tallei, T.E.; Tareq, A.M.; Nainu, F.; Cicia, D.; Dhama, K.; Emran, T.B.; Simal-Gandara, J.; Capasso, R. (2021). Bromelain a Potential Bioactive Compound: A Comprehensive Overview from a Pharmacological Perspective. *Life*, 11, 317.
- T. Korinteli, N. Gorgaslidze, L. Nadirashvili, G. Erkomaishvili. (2021). The Chemical Modification of Bromelain with Dextran Aldehyde and its potential chemical application. *Georgian Medical News*, no 6 (315), pp. 185-189.

Alkaloids of *Mahonia bealei* (Fort.) Carr. introduced in western Georgia.

N. Todua², N. Vachnadze¹, M. Getia¹

¹TSMU, I. Kutateladze Institute of Pharmacochimistry, 36 P. Sarajishvili St., 0159, Tbilisi, Georgia;

²TSMU, Direction of pharmacognosy and pharmaceutical botany, Vazha-Pshavela 33, Tbilisi, Georgia

The collection of plants belonging to the genus *Mahonia* Nutt. (family Berberidaceae) growing in the Batumi Botanical Garden, located on the Black Sea coast of Adjara, comprises five introduced plant species: *M. bealei* (Fort.) Carr., *M. japonica* (Thunb.) DC., *M. fortunei* (Lindl.) Fedde, *M. lomariifolia* Takeda, and *M. wagneri* Jouin.

An overview of the bibliographic material in the field of "Cosmetic Chemistry" is provided. The review provides a brief historical background on the development of cosmetic products, the definition of the term "cosmetics" and "cosmetology". The modern notion of these concepts, aimed at the development of formulations and technological processes for the creation of polyfunctional perfumery and cosmetic products of a new generation, with therapeutic and preventive properties, is outlined. This led to the separation of a new segment in fundamental chemistry - the discipline "Cosmetic Chemistry". Despite the lack of a single definition of the essence of this segment of chemical science, the definition of "Cosmetic Chemistry" may be formulated as a scientific branch devoted to the study of the chemical nature of various cosmetic products, the analysis of their composition, the mechanisms of action on the human body, various modern methods and technologies for creating cosmetic products, chemical processes occurring during cosmetic procedures. "Cosmetic chemistry" is presented as a complex discipline that is closely related to such sciences as chemistry, biology, medicine, physiology, microbiology and industrial process technology. Information about the modern approach to the study of the structure and biochemical processes occurring in the skin (transepidermal evaporation of moisture, moisturizing factor, protective function, composition of the skin biome, etc.) is given; various theories of skin aging are considered. Information about the levels of impact of modern therapeutic and prophylactic cosmetics - 3 levels of cosmeceuticals, is given. Cosmetic products of a new generation are considered as an alternative to injection methods; such concepts as biocompatibility, synergy, and biomimetic of materials, which in general radically increases the bioavailability of cosmetics. The composition and innovative methods of analysis of high-tech raw materials and final cosmetic products are considered.

Based on the above, we can conclude that it is necessary to include "cosmetic chemistry" in higher education programs at the bachelor's and master's levels, taking into account the appropriate level and volume of educational materials. The introduction of this discipline will significantly improve the research design of the programs and will contribute in reaching the desired level of evaluation of pharmaceutical cosmetics and perfumes. It will allow students to evaluate the composition of cosmetic compositions; methods of preparation of cosmetics; mechanisms of effects of cosmetic compositions on the skin. In addition, students will acquire practical skills in such matters as: analysis of cosmetic products; reading and deciphering the annotation of cosmetic compositions; peculiarities of preparation and use of various types of cosmetics. This ensures the increase of students' competitiveness in the labor market.

References

1. Hejazi, L.A. (2005). Cosmetology. Moscow: Italian cosmetology center "Integra"
2. Fedotov, V.P. Bocharov, V.A. (2016). Fundamentals of practical cosmetology. Zaporozhye: "Prosvita"
3. Barrett-Hill, F. (2009). Cosmetic Chemistry: For the Skin Treatment Therapist. Virtual Beauty Corporation Ltd.
4. Araviiskaya, E.R. Sokolovsky, E.V. (2008) Guide to dermocosmetology. Moscow: "Foliant"

ფარმაცევტული დეონტოლოგიის თავისებურებები და პრობლემები

ი. მეტრეველი, ლ. თარგამაძე, ი. ცომაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი, პროფესორი

ფარმაცევტულ დეონტოლოგიას საფუძველი ჩაეყარა 60-70-იანი წლების ბოლოს. მე - 20 საუკუნეში. თეორიულ დონეზე ფარმაცევტმა იცის პროფესიული ეთიკური კრიტერიუმები და მათი გამოყენება ჯანდაცვის სისტემაში. მაგრამ პრაქტიკაში ის სხვა პრიორიტეტებს პოულობს ეკონომიკური სარგებელიდან გამომდინარე, რაც აიძულებს დამალოს ხარვეზები და ფართოდ გაავრცელოს კონკრეტული ფარმაცევტული პროდუქტის ღირსება.

ფარმაცევტმა უნდა იცოდეს, მიიღოს და გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ დღევანდელი და ხვალინდელი მომხმარებლის ქცევა ფუნდამენტურად განსხვავებულია და განსხვავებული იქნება მისი გუშინდელი ქცევისგან. დღეს მომხმარებელი უფრო კრიტიკულია, ვიდრე ადრე; უფრო ხშირად კითხულობს შემოთავაზებული წამლების მიზნებსა და ნაკლოვანებებს; აჩვენებს დიდ უნდობლობას რამდენიმე შემოთავაზებული ვარიანტის შედარებისას; სვამს მეტ კითხვას; იკვლევს მოქმედ კრიტერიუმებს; უფრო მეტად ითვალისწინებს ჯანმრთელობაზე მოქმედ ფაქტორებს, ნაკლებად ენდობა რეკლამის გარანტიებს. ბევრი მომხმარებელი გახდა უფრო მგრძობიარე, ვიდრე ადრე იყო. ასევე მომხმარებელზე ძალიან მოქმედებს წამლის ფასი, რომელიც როგორც და საიდან წარმოიქმნა გაურკვეველია მისთვის.

ამ მხრივ ფარმაცევტს უნდა შეეძლოს თავისი ბაზრის წილის მოსაპოვებლად „ბრძოლა“, რომელიც სულ უფრო და უფრო „მკაცრი“ ხდება, ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის მოთხოვნებთან შეთავსებით.

მთავარი განსხვავება კონკურენტ აფთიაქებს შორის იქნება ის, თუ როგორ სთავაზობენ ისინი თავიანთ მომსახურებას თავიანთ მომხმარებლებს და როგორი კონტაქტი აქვთ მათთან.

პირველი მაგიდის ფარმაცევტმა უნდა იცოდეს: ადამიანის ფსიქოტიპის ამოცნობა; როგორი შეიძლება იყოს მომხმარებელი; იცოდეს შეტყობინების გადაცემის შესაძლო გზები: ვერბალური, გრაფიკული, ჟესტების ენა; სახის გამომეტყველებით მიხვდეს მის სოციალურ მდგომარეობას; მარტივად შევიდეს მასთან კონტაქტში; ასევე კარგად უნდა ფლობდეს იმ ქვეყნის ენას სადაც მუშაობს და უნდა ახდენდეს რეცეპტის წაკითვას რა ენაზეც ისაა დაწერილი;

აუცილებელია პირველი მაგიდის ფარმაცევტმა პატივით მოეპყრას და უყვარდეს ადამიანები, და უნდა მიიღონ ისინი ისეთი, როგორიც არიან და ეცადონ ყველამ იპოვოს საკუთარი მიდგომა თითოეული მომხმარებლის მიმართ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით სასურველია ყველა ფარმაცევტი მომზადებული ან გადამზადებული იყოს მსგავს მოდელზე. სასურველია ეს ყველაფერი მოხდეს ფსიქოლოგების, ფარმაცევტების და ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტების მეშვეობით, რათა მოხდეს კომპინირებულად შეთანხმებული ერთობლივი აზრის გათვალისწინება.

კარგი იქნება ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოხდეს აფთიაქების შემოწმება მსგავსი მოდელის ფარმაცევტების გამოსავლენად და მათი წახალისება მოხდეს თუნდაც მცირედი ფულადი ჯილდოთი, რათა მოტივატორები იყვნენ სხვა ფარმაცევტებისათვის.

ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედება კანზე, მისგან დაცვა

ს. ღვინჯილია, ხ. მიშელაშვილი, მ. ნიშნიანიძე, მ. გაბელაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი

კანის დაბერება წარმოადგენს რთულ ბიოლოგიურ პროცესს, რომელზეც გავლენას ახდენენ რიგი ფაქტორები (გენეტიკა, უჯრედული მეტაბოლიზმი, ჰორმონალური და მეტაბოლური პროცესები) და გარეგანი ან შინაგანი ფაქტორების შეუღლებები, ულტრაიისფერი-სინათლის, დაბინძურებების ქრონიკული ზემოქმედება და ა.შ. [1].

კოსმეტიკურ პრაქტიკაში გამოყენებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ჯგუფიდან განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მცენარეებიდან მიღებულ ბუნებრივი წარმოშობის პროდუქტებს. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსის მოქმედების ხარჯზე მცენარეების თვისებები წინასწარ განსაზღვრავენ მათ ფასეულობას კოსმეტოლოგიაში[2].

ულტრაიისფერი გამოსხივება დადებითად ზემოქმედებს ფსორიაზის, სარკოიდოზის, კანის სოკოვანი დაავადებებისა და კანის სხვა დაავადებების მკურნალობისას, ხელს უწყობს რემისიის შენარჩუნებას სოკოვანი მიკოზების დროს. მიუხედავად იმისა, რომ მზის ზემოქმედება აუცილებელია ადამიანის ჯამრთელობისთვის, გადაჭარბებული UVB და UVA გამოსხივებამ შეძლება გამოიწვიოს კანის დამწვრობა, კანის კიბო, ფოტოდაბერება. მზისგან დამცავი საშუალება არის, კანის დაცვა UV ფოტოტოქსიკური დაზიანებისგან, მათ გამოყენებას შეუძლია შეამციროს კანის კიბოს რისკი, თავიდან აიცილოს მზისგან დამწვრობა, შეამსუბუქოს ფოტოდაბერება და ფოტოდერმატოზები[3].

არსებობს მზისგან დამცავი კრემების ორი ძირითადი ტიპი - ქიმიური ან ფიზიკური დაცვით. პირველი შთანთქავს ულტრაიისფერ სხივებს, მეორეს შეუძლია არეკლოს სხივები კანიდან.[4,5]. რიგი კრემები შეიცავენ როგორც ფიზიკურ, ისე ქიმიურ მახლოვირებელ აგენტს, მაგრამ ხშირად ქიმიური აგენტი არასტაბილურია ფიზიკური აგენტის თანდართვისას. დღეს კრემებში გამოიყენება სხვადასხვა ნატურალური კომპონენტები, მცენარეული ექსტრაქტები, პეპტიდები, ნუკლეოტიდები, ტოკოფეროლები, ფლავონოიდები, ფენოლურიძეგები, აზოტშემცველი ნაერთები - ალკალოიდები, მონოტერპენები და სხვ [6].

მზის დამწვრობის, კანის კიბოს, ჰიპერპიგმენტაციისა და კანის დაბერების პრევენციისთვის მზისგან დამცავი საშუალებების გამოყენების მნიშვნელობის გაცნობიერებასთან ერთად, მზისგან დამცავი ფორმულირებების მოთხოვნა გაიზარდა, რაც კოსმეტიკის მწარმოებლებს საშუალებას აძლევს შექმნან კარგი ხარისხის კანის მოვლის საშუალებები, რომლებიც უსაფრთხო და ეფექტურია [7].

ლიტერატურა:

1. Farage M.A., Miller K.W., Elsner P., Maibach H. I. Characteristics of the aging skin. J. Adv Wound Care., 2013,2,1, 5-1
2. Hailun he, Anqi Li, Shiqin Li, Jie Tang, Li Li, LidanXiong Natural components in sunscreens: Topical formulations with sun protection factor (SPF)2021134(2):11161
3. L.A. Pereira, F.B. Luz, C.M.M.D.O. Carneiro, A.L.R. Xavier, S. Kanaan, H.A. Miot
4. Evaluation of vitamin D plasma levels after mild exposure to the sun with photoprotection 2019 Jan-Feb;94(1):56-61.
5. Schlossman D. Sunscreen Technologies for Foundations and Lipsticks. Nice (France): Kobo Products, Inc., 2001. pp.1-8.
6. Freund RM, editor. A more beautiful you: Reverse Aging Through Skin Care, Plastic Surgery, and Lifestyle Solutions. New York: Sterling. Inc., 2010, 272p.

7. 6.Makrantonaki E., Bekou V., Zouboulis C. Genetics and skin aging. J.Dermatoendocrinol.,4,3, 280-284.
8. Sara M Ferreira, Sandra M Gomes,Lúcia Santos: A Novel Approach in Skin Care:By-Product Extracts as Natural UV Filters and an Alternative to Synthetic Ones: 2023 Feb 21;28(5).

ბაკურიანის მინერალური წყლის ბაზაზე თანამედროვე თხევადი კოსმეტიკური საშუალებების შექმნა სპრეი ფორმატში და მათი კვლევა

ვ. ჯიქიძე, თ. ცინცაძე, პ. იავიჩი, ქ. მესხი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

თანამედროვე კოსმეტიკურ ბაზარზე, კოსმეტიკური საშუალებების კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა პროდუქციის შემადგენლობაში უმეტესწილად მინერალური და მცენარეული რესურსების გამოყენება. ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კომპლექსების მოქმედების ხარჯზე მცენარეების თვისებები წინასწარ განსაზღვრავენ მათ ფასეულობას კოსმეტოლოგიაში. კოსმეტიკური მისთი - უნიკალური თავის მოვლის საშუალებაა სპრეი ფორმატში. მულტიფუნქციური თვისებებიდან გამომდინარე იგი სახის, სხეულის და თმის ერთდროულად მოვლის საშუალებასაც წარმოადგენს. კოსმეტიკური მისთი შეიცავს ძვირფასი ეთერზეთებისა და ზეთების წყალში ხსნად ფრაქციებს, მცენარეულ ჰიდროლატებს, სამკურნალო თუ პარფიუმერული დანიშნულების მცენარეულ ექსტრაქტებს, მინერალებს, პეპტიდებს, პროტეინებს და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს. „ბაკურიანის“ მინერალური წყალი, როგორც საბაზისო კომპონენტი-საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული თვისებების მქონე ბუნებრივი რესურსია, რომელიც სწრაფად ატენიანებს კანს და უნარჩუნებს მას ჰიდრო ბალანსს . აქვს გამაგრებელი ეფექტი, არის მატონიზირებელი, ხსნის დადლილობის „კვალს“, ამშვიდებს და იცავს კანს გარე ფაქტორებისგან, ზრუნავს კანის სიჯანსაღეზე, სილამაზესა და კომფორტზე. მცენარეული ექსტრაქტების შეყვანა თხევად ჰიგიენური პრეპარატების რეცეპტურაში არამარტო აუმჯობესებს პროდუქტის ფუნქციონალურ თვისებებს, არამედ დადებითად აისახება მზა პროდუქტის მდგრადობაზე, რაც ზრდის მათი შენახვის ხანგრძლივობას.

პირველად შემუშავდა მინერალური წყაროს ”ბაკურიანის“ წყლის ბაზაზე ყოველდღიურად გამოსაყენებელი ასაკსაწინააღმდეგო, აღმდგენი, გამაგრებელი. დამატენიანებელი, მატონიზირებელი, მზისგან დამცავი, სიმქრქალის მიმნიჭებელი თანამედროვე თხევადი კოსმეტიკური საშუალებების, სპრეი- მისთების სხვადასხვა გამის რეცეპტურები, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოს ფლორის, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების და მინერალური რესურსების გამოყენებას. სპრეი ფორმატში სტაბილური კოსმეტიკური საშუალებების მისაღებად ექსტრაქტების გამხსნელად შერჩეულ იქნა გლიცერინი, მიღწეულ იქნა მათში მცენარეული ექსტრაქტების მაქსიმალური კონცენტრაციები. მისთების ცალკეული კომპონენტების იდენტიფიკაციისათვის შესწავლილ იქნა ნიმუშები მაღალეფექტული სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით. ქრომატოგრაფული პირობების განსაზღვრის მიზნით შეირჩა სტანდარტული ნივთიერებები, დადგინდა აღნიშნული ნივთიერებების შეკავების დროები, შესწავლილ იქნა სხვადასხვა მობილური ფაზების ტემპერატურის, უი ტალღის სიგრძისა და სითხის მოძრაობის სიჩქარის გავლენა კომპონენტების შეკავების დროზე. ინდივიდუალური სტანდარტული ნიმუშების შეკავების დროები და მისთებში კომპონენტების შეკავების დროები შესაბამის თანხვედრაშია. ჩატარდა კოსმეტიკური საშუალებების მიკრობიოლოგიური კვლევა, 72 საათიანი ინკუბაციის შედეგად მიკრობული ზრდა არ

გამოვლინდა.

ლიტერატურა:

1. Beatriz P. P. Oliveira and Francisca Rodrigues , Plant Extracts in Skin Care 2018 MDPI, Basel, Switzerland, distributed under the terms and conditions of the Creative Commons license CC BY-NC-ND (<http://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/>). 14-34
2. Falchi M., Bertelli A., Lo Scalzo R., Morassut M., Plant Extracts: Biological and Pharmacological Activity, 2020, 14-44
3. Salvatore Fanali, Paul R. Haddad, David Lloyd Liquid Chromatography Fundamentals and Instrumentation 2013 p.47-70
4. Mark F. Vitha Chromatography: Principles and Instrumentation 2016. P.
5. Roh E., Kim J.E., Kwon J.Y., Park J.S., Bode A.M., Dong Z., Lee K.W. Molecular mechanisms of green tea polyphenols with protective effects against skin photoaging. Crit. Rev. Food Sci. Nutr. 2017;57:1631–1637. doi: 10.1080/10408398.2014.1003365. [PubMed] [CrossRef]
6. Nile S.H., Kim S.H., Ko E.Y., Park S.W. Polyphenolic contents and antioxidant properties of different grape (*V. vinifera*, *V. labrusca*, and *V. hybrid*) cultivars. BioMed Res. Int. 2013;2013:718065. doi: 10.1155/2013/718065. [PMC free article] [PubMed] [CrossRef]
7. Evren Algin Yapar, Ozge Ynal, M Sedef Erdal „Design and in vivo evaluation of emulgel formulations including green tea extract and rose oil“ 2013 Dec;63(4):531-44. doi: 10.2478/acph-2013-0037. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/24451077/>

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული შეუსწავლელი ცისფერი თიხის გამოკვლევა

მ. ცივაძე, თ. ცინცაძე, მ. გაბელაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი

ლიტერატურული მონაცემების თანახმად წარმოდგენილია თიხის ზოგადი დახასიათება, სხვადასხვა ტიპის თიხის (კაოლინიტი, ილიტი, მონტმორილონიტი) კრისტალური აღნაგობა, თავისებურებები, თვისებები. განხილულია ხალხურ, ოფიციალურ მედიცინაში და კოსმეტიკაში მათი გამოყენების მაგალითები მიმოხილვის სახით.

გამოკვლეული და შესწავლილი იქნა ლენტეხის რაიონის სოფელ ჩუქულის მდინარე ლაშხეთის ნაპირზე მოპოვებული ცისფერი თიხის ნატიური ფორმის ნიმუში. წინასწარი 900 - ზე გაშრობის შემდეგ, თიხა დაწვრილმანებული და მექანიკურად (ხელით) უცხო მინარევიბის დიდი ზომის ნაწილაკებისგან გასუფთავებული იქნა. შემდეგ მოხდა მისი სუსპენდირება გამოხდილი წყლის არეში 1:5 შეფარდებით. გასუფთავებული ფრაქცია მიღებული იქნა დეკანტაციის მეთოდით.

თიხის ნიმუშის გრანულომეტრული შედგენილობა განსაზღვრული იქნა საცრის ანალიზის საფუძველზე. ნაწილაკების გრანულომეტრული შედგენილობა წარმოდგენილია დიაგრამის სახით.

თიხის ნიმუშის ელემენტური ანალიზი ჩატარებული იქნა გრავიმეტრული, ფოტომეტრული, მოცულობითი და ატომურ-აბსორბციული მეთოდების მეშვეობით.

ლიტერატურა:

1. Brigatti, M. F., & Theng, B. K. (2013). Structure and mineralogy of clay minerals. Developments in clay science. 5. 21-81.

2. Murray, Haydn H. (2006). Structure and composition of the clay minerals and their physical and chemical properties. *Developments in clay science* 2. 7-31.
3. Dušenkova, I., & al. (2015). Application of Latvian illite clays in cosmetic products with sun protection ability. *ENVIRONMENT. TECHNOLOGIES. RESOURCES. Proceedings of the International Scientific and Practical Conference*. 1.
4. Wang, Y –H., & Siu, W –K. (2006). Structure characteristics and mechanical properties of kaolinite soils. II. Effects of structure on mechanical properties, *Canadian Geotechnical Journal*, <https://doi.org/10.1139/t06-027>

წყავის ბუნებრივ ნაერთთა კვლევა HPLC, UPLC მეთოდებით და მათი გამოყენების პერსპექტივებ.

ე. მარგალიტაძე, მ. ვანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი. საქართველო

ბოლო წლებში ბუნებრივ ნაერთთა გამოყენების აქტუალობა განსაკუთრებით იკვეთება. ისინი ფართოდ გამოიყენებიან ფარმაცევტულ და კვებით მრეწველობაში. მათ გააჩნიათ ანტიდიაბეტური, ნეიროპროტექციული, ანტივირუსული, ანტისიმბიოტიკური და მრავალი სხვა მოქმედება. განსაკუთრებით საინტერესოა ენდემური მცენარეების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევა. ამ მხრივ ჩვენი ინტერესი გამოიწვია წყავის ნაყოფის გარშემო ჩატარებულმა კვლევებმა. წყავი ფართოდ არის გავრცელებული შავი ზღვის სანაპირო ზოლის ქვეყნებში. ის გამოირჩევა ცილების, შაქრების, პექტინის, ასკორბინის მჟავის, ფენოლური და მინერალური ნივთიერებების შემცველობით. განსაკუთრებით მაღალია მის შემადგენლობაში პროტექციული ანტიოქსიდანტები, ასევე მიკროელემენტები K, Mg, Ca და Na. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წყავში აღმოჩნდა Pb, Ni, Co, Cr- ის ძალიან დაბალი შემცველობა, რაც მიუთითებს მაღალ კვებით ღირებულებაზე. ჩვენ მოვიპოვეთ მონაცემები იმის შესახებ, რომ *Laurocerasus officinalis*- ის კურკის ექსტრაქტის გამოყენება დიაბეტი ტიპი 2 პაციენტებში ახდენს ინსულინის დონის მატებას და შესაბამისად გლუკოზის დონის რეგულირებას.

წყავის ნაყოფი ასევე გამოიყენება, როგორც დიურეზული, წყლულის საწინააღმდეგო, დერმატიტებისა და ჰემოროიდული დაავადების დროს.

Laurocerasus officinalis-ის ნაყოფისა და ფოთლებისგან მიღებული დიქლორმეთანის, ეთილის აცეტატის, აცეტონის, მეთანოლისა და წყლის ექსტრაქტებს. (LO) (Rosaceae) აღმოაჩნდათ ქოლინესტერაზას ინჰიბიტორული აქტივობა აცეტილქოლინესტერაზას (AChE) და ბუტირილქოლინესტერაზას (BChE) მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ალცჰეიმერის დაავადების (AD) პათოგენეზში მთავარ ფერმენტებს.

საქართველოში მოიპოვება, როგორც კულტურული ასევე ველური ჯიშები ამ მცენარისა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს მიერ შესწავლილი რამდენიმე ათეული სამეცნიერო პუბლიკაციიდან, ნაკლებად იმეზნება ისეთი კვლევები (გამონაკლისი უნივერსიტეტის ყოფილი და მოქმედი რამდენიმე თანამშრომლის-გოგოლიშვილი, ფიშმანი, ჯაფარიძე და სხვა (შალაშვილი) ნაშრომებია), რომლებიც საქართველოში გავრცელებული წყავის ნაყოფის, კურკის ან ფოთლების გადამუშავების შესახებ. სამეცნიერო ტექნიკის სიმწირის გამო სრულად შეუსწავლელია ქვეყანაში, როგორც ველურად მოზარდი წყავის, ასევე მისი კულტურული ჯიშების ქიმიური შემადგენლობა, მისგან ბიოაქტიური ნაერთების შემცველი პრეპარატები მიღების და მათი გამოყენების პერსპექტივები ჩვენს ქვეყანაში. არსებული მონაცემები საკმაოდ ზედაპირულია, ძირითადად იმ პერიოდში შესაძლებელი კვლევების შედეგებს ასახავს).

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენს მიერ შესწავლილი იქნება ადგილობრივი წყავის, როგორც

ველური, ასევე კულტურული ჯიშების ქიმიური შემადგენლობის ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები. მათი ექსტრაქციისათვის გამოყენებული იქნა ინოვაციური მაღალი სიხშირის ულტრაბგერითი და სუპერფლუიდური ტექნოლოგიები. წყავის ნაყოფის შემადგენლობიდან იდენტიფიცირებულია ანტოციანები, ფენოლკარბონმჟავები და სხვა ფენოლური ნაერთები. ნედლი ნაყოფი და მისი ლიოფილური შრობის შედეგად მიღებული პრეპარატები გამოირჩევიან მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით. პრეპარატების წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა და მათი ქიმიური შედგენილობის დაზუსტება, პერსპექტივაში საშუალებას მოგვცემს პრეპარატების წარმოებისა, რომელთა იმპლემენტაცია შესაძლებელი იქნება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

დღეისათვის, უკვე ჩავატარეთ ინდივიდუალური ნაერთების თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა ქრომატოგრაფიული ანალიზის (HPLC-UV-Vis, HPLC-RI, HPLC-Conductivity, UPLC-MS-PDA) მეთოდებით.

Origin of cosmetology and pharmacy

M. Kapanadze, N. Kebabze, T. Loladze

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

The history of hygiene and cosmetics goes back to ancient times when primitive people began to wash, clean and soften the skin, protect it from the sun, wind, rain and snow, and try to make their appearance more attractive. According to the scientists working in the field of chemistry history, pharmacy and cosmetology are considered as one of the main sources for further development of experimental chemistry. The practice of popular medicine confirms that the use of various products of plant and animal origin and minerals was not only related to the desire to maintain beauty, but also had a healing effect, and great attention was paid to the production of aromatic ointments and various cosmetics since ancient times. The first cosmetics appeared in hot countries where skin diseases were common due to the climate.

Ancient East is believed to be the birthplace of modern cosmetics. In ancient Egypt, Persia, Hellas, Judea, India and China, there was a real cult of female beauty; balm, herbal extracts, mascara, face whitener and nail polish were used to maintain and improve it. Women, and not only women, widely use cosmetics for prevention and treatment, especially for emphasizing natural beauty and masking skin defects. Cosmetics and medicine have been closely related since ancient times. In the papyri dedicated to the issues of medicine, there are recipes dedicated to cosmetics. The Egyptian medical Eber's Papyrus, dated 1500 BC, is preserved in the Leipzig Museum, which contains about 700 magical formulas and remedies, and describes how to clean the skin with various oils and create a protective film on it.

The achievement of pharmacy in ancient Georgia is proved by the fact that the only special scientific-technical literature that has reached us is the medical-pharmaceutical literature, which is represented by such excellent treatises as Kaneli's "Ustoro Karabadi" (Incomparable Karabadi) of the XI century, being the earliest example of Georgian medical literature and which convincingly demonstrates the existence of one of the highly developed chemical fields - cosmetic chemistry in ancient Georgia.

Keywords: cosmetology, pharmacy, popular medicine, hygiene, experimental chemistry.

References:

1. Kapanadze M. (2019). History of chemistry and chemical technology. Student's book, "Technical University", Tbilisi.
5. Kekelidze K. (1960). History of Georgian literature. Vol. 1, Tbilisi.

6. Sul Khan-Saba Orbeliani. Georgian dictionary.
7. Batonishvili Vakhushti. (1973). Description of the Kingdom of Georgia. Life of Kartli, Vol. IV. Tbilisi.
8. Ioane Bagrationi. (1986). Explanatory dictionary of natural sciences. Science, Tbilisi.
9. Chagunava R. (2013). Historical research. Tbilisi.

მეთოდური მიდგომები ანტიოქსიდანტების ფიზიოლოგიური როლის შესწავლისათვის

ნ. გელოვანი, ი. გველესიანი, ლ. ლომია, დ. ლულუნიშვილი, ლ. თარგამაძე

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფარმაციის დეპარტამენტი
“ბიოკომპლექსების შემუშავების და კვლევის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“, თბილისი,
საქართველო კოსტავას 69.**

ცოცხალი თვითრეგულირების სისტემებისგან განსხვავებით, არაცოცხალი ორგანული სისტემები, რომლებიც ექვემდებარებიან გარე გარემოს ჟანგვის ეფექტს, უფრო მეტად არიან დამოკიდებული საწყის ანტიოქსიდანტურ სტატუსზე: რაც უფრო დაბალია ანტიოქსიდანტების საწყისი დონე, მით უფრო სწრაფად ხდება სისტემის დაბერება, განსაკუთრებით მაშინ, თუ შეიცავს პროოქსიდანტურ და ადვილად ჟანგვად კომპონენტებს. ასეთ ჰეტეროგენულ სისტემებს მიეკუთვნება საკვები პროდუქტები, მათ შორის ადვილად ჟანგვადი უჯერი ნაერთები (ლიპიდები, ვიტამინები, პიგმენტები და ა.შ.) და ძლიერი დამჟანგველები (ფერმენტები, ცვლადი ვალენტობის ლითონები).

თავისუფალ რადიკალური პროცესების განვითარებას ხელს უწყობს შენახვის არახელსაყრელი პირობები (ჰაერის, სინათლის, სითბოს თავისუფალი წვდომა), აგრეთვე დამაბინძურებლების არსებობა, რომლებიც მოქმედებენ როგორც ქიმიური სენსიბილიზატორები. უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილი იყო 500-ზე მეტი ბუნებრივი და სინთეზური ანტიოქსიდანტი, მათ შორის ფენოლის წარმოებულები.

როგორც ცნობილია, უჯრედში ცხოველქმედებისას წარმოიქმნება თავისუფალი რადიკალები, რომლებიც აზიანებენ უჯრედის ორგანელებს, უჯრედს და იწვევენ გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის დაზიანებას, ალცჰაიმერის, სხვადასხვა ენდოკრინულ დაავადებებს თუ სიმსივნეებს. მათ გასაწინააღმდეგებლად აერობულ ორგანიზმებს ანტიოქსიდანტები მოევილინა. ანტიოქსიდანტებს შეუძლიათ თავისუფალი რადიკალებით გამოწვეული ჟანგვის პროცესის შეკავება. მანამ, სანამ რომელიმე თავისუფალი რადიკალი მემბრანას ელექტრონს წაართმევს, ანტიოქსიდანტები საკუთარ ელექტრონს თმობენ, მაგრამ თვითონ არ გადაიქცევიან თავისუფალ რადიკალად. ისინი მალევე იბრუნებენ ადრინდელ ფორმას და იკავებენ დამცავ ფუნქციას.

ანტიოქსიდანტების საერთო რაოდენობას განვსაზღვრავთ ამპერომეტრიული მეთოდით (TsvetYauza-01-TAA) (NPO Chi-avita-mavtomatika) MEKB.414538.001 TU სტანდარტის, კვერცეტინის საფუძველზე. ამ მეთოდის არსი არის ელექტრული დენის გაზომვა, რომელიც წარმოიქმნება საცდელი ნივთიერების (ან ნივთიერებების ნარევის) დაჟანგვის დროს სამუშაო ელექტროდის ზედაპირზე გარკვეულ პოტენციალზე. საცნობარო ნიმუშის (კვერცეტინი) სიგნალის კალიბრაციის დამოკიდებულება მის კონცენტრაციაზე წინასწარ იყო აგებული და მიღებული კალიბრაციის გამოყენებით, წყალში ხსნადი ანტიოქსიდანტების შემცველობა ტესტის ნიმუშებში გამოითვლება კვერცეტინის კონცენტრაციის ერთეულებში. მეთოდს აქვს მაღალი სელექციურობა ნიმუშში ანტიოქსიდანტების საერთო რიცხვის დასადგენად. ამპერომეტრიული დეტექტორის (AD) მგრძობელობა ძალიან მაღალია (~10–12 ა) დაბალი ხმაურის გამო. ანტიოქსიდანტური აქტივობის გამოვლენის ზღვარი ნანო- ან პიკოგრამების დონეზეა იძლევა შესაძლებლობას შესწავლილი იქნას ნივთიერებების შემცველობა 1 გ მშრალ

წონაზე. კვლევის მსვლელობისას აღებული უნდა იქნას 15 ნიმუში და გაანალიზდეს სამჯერ ბიოლოგიური რეპლიკაცია.

ლიტერატურა:

1. Slesarev V.I. Chemistry: Basic Chemistry of the Living. St. Petersburg: Himizdat, 2005.
2. “Biogenic elements. Complex compounds”: teaching aid./ Edited by Professor T.N. Litvinova. - Krasnodar, KSMU, 2009.

Flavonoids of some plants of Georgian flora

M. Alania, K. Shalashvili, T. Sagareishvili, M. Sutiashvili, N. Kavtaradze

Tbilisi State Medical University, I. Kutateladze Institute of Pharmacochimistry, Tbilisi, Georgia

Astragalus bungeanus Boiss., Salvia garedji Troitzk., Rhododendron luteum Sweet., Ononis arvensis L., common plants in the flora of Georgia, are distinguished by the variety and significant content of biologically active compounds [1].

Cosmosiin, astragalinalin, robinin, trifolin, nicotiflorin were isolated and identified from the extract with leukopoietic activity obtained from the over-ground parts of Astragalus bungeanus. Robinin is described for the first time from this species of Astragalus.

Apigenin-7-O- β -D-glucuronide, luteolin-7-O- β -D-glucuronide, 6-hydroxy-luteolin-7-O- β -D-glucuronide, nepetin (eupatofolin), hispidulin (dinatin), cirzimaritin, and salvigenin were isolated and identified from the above-ground parts of Salvia garedji.

The presence of methylquercetin-dihexoside, quercetin-3-O-xylopyranoside, myricetin, peonidin-3-glucoside, and (+)-catechin was determined in the ethyl acetate extract of Rhododendron luteum leaves by the tandem of high performance liquid chromatography and mass spectrometry.

Onoside (onogenin-7-O- β -D-glucopyranoside), rutin, quercetin-3-O- β -D-glucopyranosyl-7-O- α -L-rhamnoside, kaempferol-3, 7-O- α -L-dyrhamnoside, and calicosin-7-O- β -D-glucopyranoside were isolated and identified from the above-ground parts of Ononis arvensis for the first time.

Structure elucidation of the isolated compounds was carried out based on their physical-chemical properties and spectral data UV, IR, mass and NMR analyses.

References:

1. M. Alania, K. Shalashvili, T. Sagareishvili, N. Kavtaradze, M. Sutiashvili, J. Aneli (2023). Phenolic compounds of some plants spread and cultivated in Georgia, Tbilisi, 334 p.

სექცია 4. გარემოს დაცვა და ეკოლოგია Section 4. Environmental protection and ecology

მდინარე იორის აუზის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება

ნ. შუშტაკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მ. კოსტავას ქუჩა 69, 0192, თბილისი, საქართველო.

საქართველო წყლის რესურსებით მდიდარ ქვეყანად ითვლება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წყლის რესურსები არათანაბრად არის გადანაწილებული და უმეტესად ქვეყნის დასავლეთ ნაწილშია თავმოყრილი. საქართველოში არის 25075 მდინარე, აქედან 1700-ზე მეტი არის დასავლეთ საქართველოში, რომელიც ქმნის შავი ზღვის სისტემას დამოუკიდებლად, ხოლო 7649 აღმოსავლეთ საქართველოშია, რომელიც წარმოადგენს მდინარე მტკვრის ერთიან სისტემას და ერთვის კასპიის ზღვას, რომელსაც მიეკუთვნება მდინარე იორი.

მდინარე იორი მოედინება აღმოსავლეთ საქართველოში, სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან. მდინარე იორი აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სამდინარო არტერიაა, მისი გამოყენება ძირითადად ხდება ირიგაციის და მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის. აღსანიშნავია, რომ მდინარე იორი წარმოადგენს ტრანზიტული მდინარის ტიპურ მაგალითს, რომელიც სათავეს საქართველოში იღებს და აზერბაიჯანში მინგაჩაურის წყალსაცავში ჩაედინება. დატოვებს რა მდინარე ერთი სახელმწიფოს ტერიტორიას მისი წყალი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად იმ ნორმებს, რათა მან უზრუნველყოს მოცემული მეზობელი ქვეყნის მთლიანი წყალსამეურნეო სისტემა წყლის რესურსებით.

იორი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებითაა. იორი მიედინება სიონის ხეობაში, სადაც იორზე აგებულია მარეგულირებელი სიონის წყალსაცავი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, თიანეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

იორის წყლით შეიქმნა თბილისის წყალსაცავი ანუ „თბილისის ზღვა“. რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, იორის ზეგანზე, ქალაქ თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. თბილისის ზღვის წყალს იყენებენ სარწყავად, თბილისის წყალმომარაგებისათვის, თევზის სარეწად, წყლის სპორტისათვის.

მდინარე იორის ქვემო დინებაში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაშენებულია დალის მთის წყალსაცავი, რომლის წყლის მოცულობა უდრის 140,0კმ³, მდინარე იორიდან მიყვანილია ჭაჭუნის არხი, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1992 წელს. დალის მთის წყალსაცავი დღეს უფუნქციოდაა.

იორის წყლით ირწყვება 90 ათ. ჰა-ზე მეტი ფართობი იორის ზეგანზე. მდინარეზე აგებულია რამდენიმე სარწყავი სისტემა, რომელთაგან მთავარია სამგორის ზემო და ქვემო მაგისტრალური არხები.

იორის ეროვნული პარკი მდებარეობს კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, რომელიც დაარსდა 1965 წელს. მისი ფართობი შეადგენს 1336 ჰექტარს. იგი ყორულის ეროვნული პარკის სამხრეთ საზღვართან გამავალ სარწყავ არხთან და დალის მთის წყალსაცავთან ჭაჭუნას ჩრდილოეთ საზღვართან მთავრდება.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ფდუნქციონირებდა სამი ჰიდროლოგიური საგუმაგო: ლელოვანი, ორხევი და კაზანიანის მთა.

სასმელი წყლით, თბილისისა და რუსთავის უზრუნველყოფისათვის შემოდგომასა და ზამთრის თვეებში გაშვებული წყლის რაოდენობა ბევრად აღემატება წყალსაცავში შესული

წყლის რაოდენობას. აღსანიშნავია რომ ბოლო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქ თბილისის და რუსთავის წყალმომარება და სავარაუდოა, რომ სიონის წყალსაცავს ქვემოთ ჰიდროლოგიური რეჟიმი გარკვეულწილად შეიცვალა, რომელზეც გავლენა მოახდინა კლიმატის ცვლილებამ. სამწუხაროდ ამჟამინდელი მდგომარეობით ჰიდროლოგიური მონიტორინგი და დაკვირვება არცერთ ძველ ჰიდროლოგიური საგუშაგოს კვეთში აღარ ხდება. ამიტომ შეუძლებელია დღეს არსებული სიტუაციის შედარება და ანალიზი. ამიტომ აქტუალურია მდინარე იორის აუზის წყლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემად გამოყენების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება.

2000 – 2003 წლებისა და, 2017 – 2020 წლების ლიტერატურული კვლევის შედეგების მიხედვით მდინარე იორის წყლის ქიმიური ანალიზი ჩატარებული იყო მხოლოდ სამ საანალიზოდ შერჩეულ ობიექტზე: იორი-თიანეთი, იორი სიონი და იორი სართიჭალა. განსაზღვრული იყო მხოლოდ წყლის ძირითადი იონებისა და ბიოგენური კომპონენტების კონცენტრაციათა მნიშვნელობები.

2021 წლის ეკოქიმიური კვლევის შედეგებთან შედარებით ძირითად იონების მნიშვნელობები არის მომატებული, განსაკუთრებით გამოირჩევა იორი-სართიჭალას საანალიზო სინჯები. შესაბამისად გაზრდილია მინერალიზაციაც. ბიოგენური კომპონენტებიდან ნიტრა-იონების კონცენტრაცია შემცირებულია, ამონიუმის იონის კონცენტრაციის მნიშვნელობა კი მნიშვნელოვნად მომატებულია.

მდინარე იორის წყალი შეწონილი ნაწილაკების შემცველობის მიხედვით მიეკუთვნება ძალიან ბინძურს.

ლიტერატურული წყაროებით არ არის წყლის მიკრობიოლოგიური და ფსკერული დანალექების ქიმიური კვლევა ჩატარებული.

ამგვარად, მდინარე იორის აუზის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემად გამოყენების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისთვის აუცილებელია საკვლევი ობიექტების რაოდენობის გაზრდა მდინარის წყლის ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ფსკერული დანალექების ეკოქიმიური კვლევის ჩასატარებლად, დამაბინძურებელ კომპონენტთა კონცენტრაციათა მნიშვნელობების გავრცელების არეალის დადგენა მათემატიკური რიცხვითი მოდელირებით და დამცავი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.

ლიტერატურა:

1. St,Tbilisi (August 16, 2001) "On the approval of norms of the qualitative state of the environment" 297/N, Minister of Labor, Health and Social Protection of Georgia

2. St,Tbilisi, (January15, 2014) "On approval of drinking water technical regulations" Resolution No. 58, Government of Georgia,

3. DIRECTIVES DIRECTIVE (EU) 2020/2184 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 16 December 2020 on the quality of water intended for human consumption (recast) (Text with EEA relevance. THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL OF THE EUROPEAN UNION, 23.12.2020

4. Phomin Г.С. Water. Control of chemical, bacterial and radiation safety according to international standards. Moscow: 2000, 839 c.

5. .Supatashvili GD. Hydrochemistry of Georgia (fresh waters). Tbilisi: Tbilisi University Press, 2003, 399 p.

6. Guser P.V., Makarov S.B., Khachaturov A.E., Khomuleva M.B., Tsevelev V.N., Hydrochemical indicators of the state of the environment. Ecolain, 2000, p. 154. Handbook of materials.

1. <https://ka.wikipedia.org › wiki › iori>

2. <https://www.facebook.com › set . the river Iori and its Tributaries>

როდის დავსახლდებით წითელ პლანეტაზე

ა. ფორჩხიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქიმიის დეპარტამენტი ქ. ქუთაისი, საქართველო.

2016 წელს მარსზე, 10 მ სიღრმეში, ყინულის ზღვა აღმოჩნდა, რამაც მეცნიერებს ავარაუდებინა, რომ წითელ პლანეტაზე ოდესღაც სასიცოცხლო პირობები იყო, დაახლოებით 4 მილიარდი წლის წინ მარსის ატმოსფერომ სასიცოცხლო აირების დაკარგვა დაიწყო და სიცოცხლის კვალი გაქრა.

მილიარდერ ილონ მასკის განცხადებით, თუ დედამიწელები მულტიპლანეტარულ ცხოვრებას არ დავიწყებთ, ერთ დღესაც არმაგედონის, ანუ პლანეტარული კატასტროფების წინაშე დავდგებით. მასკი აპირებს, მარსის კოლონიზაცია 1000 ხომალდით მოახდინოს და 2060 წლსათვის წითელ პლანეტას მილიონიანი მოსახლეობა ეყოლება.

მანამდე კი კოსმოსური კვლევები გრძელდება. საერთაშორისო კოსმოსური სადგური უდიდესი და უძვირესი პროექტია, რაც კი აქამდე შექმნილა. დღეს კოსმოსური სადგური ერთადერთი ადგილია კოსმოსში, სადაც მუდმივად იმყოფება ადამიანი.

კოსმოსური სააგენტოები, სპეციალურად მოწყობილ სათბურში სწავლობენ მთვარემარსის ზედაპირზე რამდენად გაიხარებს სხვადასხვა მცენარე. ამბიციურ ნაბიჯს დგამს საქართველო – იწყება მოსამზადებელი სამუშაოები, რათა კოსმოსში ქართული ვაზის მოშენების პერსპექტივები შეისწავლონ. ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. კომპანია HP Inc-ის დახმარებით, NASA-ს პროექტისთვის შეიქმნა ტექნიკური ბაზა და ბიოლაბორატორია. როგორც ცნობილია ქართული ღვინო ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია და ამიტომ ლაბორატორიაში იმუშავენ ვაზის ჯიშების გამოყვანაზე კოსმოსურ პირობებთან ადაპტირებულ გარემოში. ჩვენი პლანეტა უნიკალური და კომფორტული ადგილია, რასაც განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ. კაცობრიობას მუდმივად ემუქრება განადგურების საფრთხე. დიდი ასტეროიდის ჩამოვარდნას, სუპერვულკანის ამოფრქვევას, კლიმატის გლობალურ ცვლილებებს შეუძლია ბოლო მოუღოს ცივილიზაციას. არის სხვა საშიშროებებიც, მათ შორის – ჭარბი მოსახლეობა, რომელიც ყოველწლიურად ათეულობით მილიონით იზრდება. დღეს კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ახალი ტერიტორიების ათვისება და ამიტომ გეზი კოსმოსისკენ უნდა ავიღოთ. ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი სტივენ ჰოკინგიც არაერთგზის აცხადებდა, რომ ადამიანმა უახლოეს 30 წელიწადში უნდა დაიწყოს დედამიწის განტვირთვა, რაც სხვა კოსმოსური ობიექტების, მათ შორის – მარსის ათვისებას გულისხმობს. ილონ მასკი 2023 წელს მარსზე ადამიანების გამგზავრებას გეგმავს.

დაველოდოთ 21-ე საუკუნის პირველ ადამიანებს, რომლებიც ფეხს დადგამენ სხვა ციურ სხეულებზე.

ლიტერატურა:

1. R. Gurgenidze. "Obama heralds the era of Mars exploration". "The Kviris Palitra magazine". 2016. October 17–23.
2. N. It's a thorn. "When will we settle in space". "The Kviris Palitra magazine". 2018. November 26-December 2.
3. N. Fikshelauri. "Georgian scientists are also participating in the "arrangement" of a new Earth on Mars." "Palette of the week", 2021. February 15-20.

4. <http://wikipedia.org/wiki/>

თერმოდინამიკური საწყისი პარამეტრების გაანგარიშება ადიტიურობის მოდიფიცირებული მეთოდით

ე. მაცაბერიძე, მ. მამულაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი გარემოსდაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი თბილისი საქართველო

საქართველოში არსებული ტექნოგენური ნედლეულის გამოყენებით შესწავლილია ახალი მყარი მასალების მიღების თერმოდინამიკური საწყისი პარამეტრების გაანგარიშება, ადიტიურობის მოდიფიცირებული მეთოდით. განისაზღვრა საწყისი თერმოდინამიკური პარამეტრები –ნივთიერების წარმოქმნის სტანდარტული მოლური ენთალპიის ($H_0 f_{298}$), ნივთიერების სტანდარტული მოლური ჯიბსის თავისუფალი ენერჯიის ($G_0 f_{298}$) და ენტროპიის სტანდარტულ მოლური S_{0298} სიდიდეები 97-99% სიზუსტით.

შემოთავაზებული მეთოდით, „სილიკატ-ეტალონების“ წარმოქმნის სტანდარტული მოლური ენთალპიების და ჯიბსის თავისუფალი ენერჯიების, სტანდარტული მოლური ენტროპიებისა და სითბოტევადობების განსაზღვრით და საინფორმაციო წყაროებში არსებულ სიდიდეებთან შედარებით დადგინდა, რომ ნივთიერებათა წარმოქმნის სტანდარტული მოლური ენთალპიების და ჯიბსის თავისუფალი ენერჯიების ცდომილება არ აღემატება 1%-ს, ხოლო სტანდარტული მოლური ენტროპიებისა და სითბოტევადობების 5%-ს.

მეთოდი გამოყენებული იქნება მრავალი რთული მინერალის ერთმანეთთან, მათ კომპონენტებთან და ტექნოგენური ნედლეულის გარემოს ინგრედიენტებთან ურთიერთქმედების შესაფასებლად. ეს ასევე მოგვცემს მათი გამოყენების შესაძლებლობას მაღალტემპერატურულ ტექნოლოგიებში.

მდინარე მტკვრის მიკროშენაკადების ზედაპირული წყლების დაბინძურების ჰიდროქიმიური ინდექსების გაანგარიშება

ჯ. ქერქაძე, გ. ჯოხაძე, ი. როსტომაშვილი, რ. კოკილაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

მცირე მდინარეთა ჰიდროქიმიურ მაჩვენებელთა შესწავლა საშუალებას იძლევა შეფასდეს მათი ეკოლოგიური მდგომარეობა. ქ. თბილისის ფარგლებში მდინარე მტკვრის აუზის საკვლევ მიკროშენაკადების – ლოჭინისა და ორხევის ზედაპირული წყლების დაბინძურების ხარისხის შეფასებისა და მათთვის შესაბამისი კლასიფიკაციის მისანიჭებლად, ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის (2000/60/EC) გათვალისწინებით [1-2], ჩატარდა წყლის დაბინძურების ინდექსების ანგარიში. რადგან ორივე საკვლევ მიდინარის დაბინძურების კერას წარმოადგენს მათი კალაპოტების სიახლოვეს განლაგებული სტიქიური ნაგავსაყრელები, ასევე საყოფაცხოვრებო-კომუნალური და სამრეწველო დანიშნულების ჩამდინარე წყლების ჩანადენები, ამიტომ ამ მდინარეთა როგორც ეკოლოგიური შეფასებისათვის, ასევე მათი ზედაპირული წყლებისათვის ხარისხობრივი კლასიფიკაციის მისანიჭებლად, შეირჩა 10 ჰიდროქიმიური ინდიკატორი: pH, წყალში გახსნილი ჟანგბადი (D_o), ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარება (q_{BDM}), მინერალიზაცია, ამონიუმი, ნიტრიტები, ნიტრატები, ფოსფატები, სულფატები, ქლორიდები.

საკვლევ მდინარეებზე საანალიზო სინჯების აღების სეზონურობიდან გამომდინარე (იგულისხმება მონიტორინგული დაკვირვების 4 სეზონი: 2021 წლის ზაფხული-შემოდგომა და 2022 წლის ზამთარი-გაზაფხული), თავდაპირველად გამოთვლილ იქნა ჰიდროქიმიურ ინდიკატორთა სეზონური საშუალო ჯამური მაჩვენებლები, რომელთა შეტა-ნით წყლის დაბინძურების ინდექსის საანგარიშო განტოლებაში მიღებული იქნა საკვლევ მდინარეთა დაბინძურების სეზონური ინდექსები, აგრეთვე გამოითვალა თითოეული მდინარი-სათ-ვის დაბინძურების ინდექსის საშუალო წლიური მნიშვნელობა.

წყლის დაბინძურების მიღებული ინდექსები მოცემულია ცხრილში 1, სადაც ჰიდროქი-მიური ინდიკატორები-ს შესაბამისი ზღვ-ის მნიშვნელობები აღებულია ზედაპირული წყლის ტექნიკური რეგლამენტიდან [3]:

საკვლევ მდინარეთა დაბინძურების ინდექსის საშუალო წლიური მაჩვენებ-ლის მიხედვით განხორციელდა წყლის ხარისხის კლასიფი-კაცია შესაბამისი შეფასებითი ცხრილის გამოყენებით. მდ. ლოჭინის ზედაპირულ წყალს პირობითად მიენიჭა „სუფთას“ კლასიფიკაცია წყლის ხარისხის 1-ლი კლასის შესაბამისად, ხოლო მდ. ორხე-ვის ზედაპირულ წყალს – „მცირედ დაბინძურებულის“ – მე-2 კლასის მიხედვით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მდ. ლოჭინის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებელი საკმაოდ მიახლოებულია „მცირედ დაბინძურებულის“ ნიშნულთან, ამიტომ ორივე მდინარეზე საჭიროა განხორციელდეს ანთროპოგენური დატვირთვების მკაცრი კონტროლი, რათა არ გაუარესდეს მათი ამჟამად არსებული მდგომარეობა.

ცხრილი 1. საკვლევ მდინარეთა ზედაპირული წყლების დაბინძურების ინდექსები ჰიდროქიმიური ინდიკატორების მიხედვით

№	ინდიკატორები	ზღვ (მგ/ლ)	მდ. ლოჭინი				მდ. ორხევი			
			2021 ზაფხ.	2021 შემოდ.	2022 ზამთ.	2022 გაზაფხ.	2021 ზაფხ.	2021 შემოდგ.	2022 ზამთ.	2022 გაზაფხ.
1	pH	6,5-8,5	1,23	1,33	1,15	1,26	1,18	1,30	1,16	1,23
2	D _o	7	1,04	1,53	1,49	1,29	1,12	1,45	1,56	1,26
3	ჟბმ 5	6	0,77	0,63	0,53	0,34	1,06	0,44	0,60	0,23
4	მინერ-ზაცია	1000	1,10	0,93	1,10	0,79	2,43	2,53	2,31	2,02
5	ამონიუმი	0,39	0,87	1,20	8,82	0,42	1,35	1,56	4,96	6,21
6	ნიტრიტები	3,3	0,16	0,02	0,01	0,05	0,02	0,02	0,02	0,11
7	ნიტრატები	45	0,07	0,06	0,12	0,07	0,002	0,19	0,22	0,23
8	ფოსფატები	3,5	0,05	0,03	0,04	0,03	0,10	0,03	0,04	0,05
9	სულფატები	500	1,13	0,86	0,98	0,63	4,48	3,09	2,57	3,18
10	ქლორიდები	350	N/A	0,03	0,07	0,05	0,16	0,10	0,17	0,13
საშუალო ჯამური			6,42	6,62	14,31	4,93	11,90	10,71	13,61	14,65
სეზონური ინდექსი			0,71	0,66	1,43	0,49	1,19	1,07	1,36	1,47
წლიური ინდექსი			0,83				1,27			

ლიტერატურა:

1. European Union Water Framework Directive (2000/60/EC);
2. Common Implementation Strategy for the Water Framework Directive (2000/60/EC), Guidance Document No 2, Identification Of Water Bodies;
3. Resolution No. 425 of the Government of Georgia of December 31, 2013 "On the Approval of Technical Regulations for Protection of Surface Waters of Georgia from Pollution", Tbilisi, 2014,
4. <https://www.matsne.gov.ge/>.

CALCULATION OF INITIAL THERMODYNAMIC PARAMETERS USING TECHNOGENIC RAW MATERIALS BY MODIFIED ADDITIVITY METHOD

E. MATSABERIDZE, M. MAMULASHVILI

Georgian Technical University, Faculty of Chemical Technology and Metallurgy Department of Environmental Engineering and Ecology Tbilisi Georgia

The paper discusses calculation of initial thermodynamical parameters for receiving novel solid materials by using technogenic raw material in Georgia, through modified additivity method. The initial thermodynamical parameters – standard molar enthalpy of formation of substances (H_0 298), standard molar free Gibbs energy (G_0 298) and standard entropical molar volumes (S_0 298) with 97-99% accuracy. The values of standard molar enthalpy and entropy, Gibbs free energy and thermal capacity of “reference silicates” formation have been determined through the offered method. The obtained results have been compared with the data available from information sources. It has been established that the error of standard molar enthalpies and Gibbs free energies of substances formation does not exceed 1%, while in case of standard molar entropies and thermal capacities – 5%. The method will be used in order to assess the interaction of many complex minerals with each other, with their components and with environmental ingredients of technogenic raw materials. It will also help to estimate their application in high-temperature technology.

REFERENCES:

1. F. LIEBAU: (2012) Structural Chemistry of Silicates. Berlin, Springer Verlag. Berlin and Heidelberg GmbH&Co, KG;
7. A. GOGISHVILI (2007) et al.: Program for Computation of High-temperature Values of Heat Capacity of Silicate and Refractory Substances by the Method after N. Landia. Proc Nat Ac Sci Georg Chem Ser, 33, (1), 55.
8. V. I. BABUSHKIN, G. M. MATVEEV, O. P. MCHEDLOV-PETROSYAN: (1986) Thermodynamics of Silicates. Stroyizdat, Moscow. 408 p.
9. G. G. GVELESIANI, D. I. BAGDAVADZE: (2006) Calculation Methods for Determining the Thermodynamic Functions of Metallurgical Processes. Universi, Tbilisi, 5–74.
10. L. VIDAL, E. JUSSAIN, M. COLAS, J. CORNETT, J. SANZ (2016) et al.: Controlling the Reactivity of Silicate Solutions: an FTIR, Raman and NMR Study. Colloids Surf A: Physicochem Eng Asp, 503, 101

ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება

ნ. მეგრელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გარემოსდაცვითი გამოწვევაა. საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა ქვეყნის უმსხვილეს ქალაქებში, ასევე მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა თუ სამრეწველო ზონებთან ფიქსირდება. პრაქტიკულად ყველგან, გარდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისა, პრობლემურ დამბინძურებლებს უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკები (PM) და აზოტის დიოქსიდი (NO_2) წარმოადგენს. ატმოსფერული ჰაერის ძირითადი მავნე

ნივთიერებებით დაბინძურების ანთროპოგენური წყაროები შემდეგ ძირითად სექტორებად შეიძლება დაიყოს: მრეწველობა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და ნარჩენების სექტორი.

2021 წლის მონაცემებით მყარი ნაწილაკების ქვეყნის ჯამური გაფრქვევების 41% მრეწველობის სექტორზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ქ. რუსთავში მდებარეობს ქვეყნის მასშტაბით უმსხვილესი სამრეწველო ზონა, სადაც განთავსებულია უმსხვილესი მეტალურგიული, ქიმიური, სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქარხნები. ქვემო ქართლის რეგიონის წილმა ქვეყნის მასშტაბით საწარმოებიდან ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევაში 2020 წელს 40,28% შეადგინა, რაც ქვეყნის რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მნიშვნელოვანია, რომ ქ. რუსთავის წილი ქვეყნის დაბინძურებაში 11,6%-ს შეადგენს. 2021 წლის მონაცემებით სამრეწველო ობიექტებიდან ქ. რუსთავში წლიურად ჯამში 12,970 ტონა მყარი ნაწილაკი გაიფრქვა, რაც ქვეყნის ყველა სხვა ქალაქის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება. შესაბამისად, სრულიად ლოგიკურია ის ფაქტი, რომ სწორედ ე.წ. ძველ რუსთავში (სამრეწველო ზონასთან ახლოს) ფიქსირდება მყარი ნაწილაკებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებლები.

მყარი ნაწილაკების კონცენტრაციები ქ. რუსთავში დადგენილ ნორმებს დაახლოებით 50%-ით აჭარბებს. PM 10-ის დღიური ნორმის გადაჭარბების რაოდენობა კი ქ. რუსთავში დადგენილ ზღვარს 340%-ით აღემატება. მყარი ნაწილაკების - PM2.5 საშუალო წლიური კონცენტრაცია (32 მკგ/მ3) 2021 წელს 1.6-ჯერ აჭარბებდა ზღვრულად დასაშვებ ნორმას. ამ პარამეტრის გადაჭარბება დაფიქსირდა 2019, 2020 და 2022 წლებშიც.

ქ. რუსთავში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის გადაჭარბება ქალაქის უმსხვილეს გზების გასწვრივ ფიქსირდება, რაც ცალსახად მიგვანიშნებს, რომ ამ დამბინძურებლის უმთავრესი წყარო ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვია. 2022 წლის განმავლობაში ჩატარებული ინდიკატორული გაზომვები გვიჩვენებს, რომ ახალ რუსთავში ცენტრალური ქუჩის გასწვრივ დაფიქსირდა აზოტის დიოქსიდის შემდეგი კონცენტრაცია: 56.37 მკგ/მ3 (1.4 ზღვრული ნორმა). ამავე დამბინძურებლის ნორმის გადაჭარბება დაფიქსირდა ძველ რუსთავშიც, სადაც კონცენტრაციამ ზღვრულ ნორმას 1,2-ჯერ გადააჭარბა (47.84 მკგ/მ3). სხვა ძირითად დამბინძურებლების (გოგირდის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, მიწისპირა ოზონი, ბენზოლი, ტყვია, დარიშხანი, ნიკელი, კადმიუმი და ბენზაპირენი) კონცენტრაციები ზღვრულ ნორმას არ აჭარბებს და უმეტესწილად ნორმაზე გაცილებით ნაკლებია.

ქ. რუსთავში ძირითადი დამბინძურებელი წყაროებისა და ნივთიერებების იდენტიფიცირება და მათი შემცირების პრევენციული ღონისძიებების დადგენა მნიშვნელოვანია და წარმოადგენს აქტუალურ საკითხს.

ლიტერატურა:

1. EC staff working document, Executive Summary of Impact Assessment for Clean Air program <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52013SC0532>
2. Resolution No. 383 of the Government of Georgia of July 27, 2018 "Technical Regulation - on approval of ambient air quality standards"
3. Order No. 2-1293 of the Minister of Environment Protection and Agriculture of Georgia dated August 30, 2021 "On approval of air quality monitoring and management zones and agglomerations"
4. "On Ambient Air Protection" Law
5. City Rustavi Ambient Air Quality Improvement Action Plan 2020-2022
6. Yearbook of atmospheric air pollution in the territory of Georgia 2021
7. Yearbook of atmospheric air pollution in the territory of Georgia 2020
8. Yearbook of atmospheric air pollution in the territory of Georgia 2019.

სორბენტების კვლევა დროის ფუნქციასთან დამოკიდებულებით

ნ. გიორგაძე*, ე. ცხაკაია, ს. ცქიტიშვილი, ა. ჩიხლაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ

რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, მინდელის ქ.11, 0186, თბილისი, საქართველო

წყლის დაბინძურება მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პრობლემაა. წყლის რესურსების ყველაზე გავრცელებულ დამაბინძურებლებს მძიმე მეტალები წარმოადგენენ, რომლებიც დიდ პრობლემას უქმნიან მოსახლეობის ჯანმრთელობას. წყლის გაწმენდა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი ადსორბენტების შექმნა, რომლებიც ეკონომიურობითა და ეფექტურობით გამოირჩევიან.

თსუ რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში უკვე წლებია მიმდინარეობს შემუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით [1], მეორადი ნედლეულიდან (თხილის და კაკლის ნაჭუჭი, ვაშლ-ატამას კურკა) ნახშირბადოვანი მასალების მიღება, მათი სორბციული თვისებების, კვლევა და გამოყენების შესაძლებლობის დადგენა [2-6], სასმელი და ჩამდინარე წყლების მძიმე მეტალებისაგან (Co^{2+} , Cu^{2+} , Cd^{2+} , Pb^{2+} , Fe^{2+}) გასაწმენდად. შესწავლილ იქნა აღნიშნული მეტალების ხსნადი მარილების შემცველი მოდელური ხსნარებიდან ადსორბციაზე სხვადასხვა პარამეტრების გავლენა სტატიკურ პირობებში. შესაძარად აღებული იქნა ქარხნული წარმოების გააქტივებული ნახშირი (BAU A). შესწავლალის იქნა ადსორბციისა და იონების ამოღების ხარისხი, სხვადასხვა ადსორბენტის (თხილისა და კაკლის ნაჭუჭის ნახშირბადოვანი მასალა და გააქტივებული ნახშირი) ხსნარში დაყოვნების დროის მიხედვით, ხოლო ყველა სხვა პარამეტრი იყო მუდმივი: $\text{C}_0 - 0.01\text{M}$; $\text{mად.} - 1$ გ; $\text{Vხს.} - 100$ მლ; ტემპერატურა – 25°C .

ადსორბცია არის დროზე დაფუძნებული პროცესი და დროის გავლენა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, პროცესის დინამიკის მიხედვით. ინფორმაცია წონასწორობის მისაღწევად საჭირო მინიმალური დროის შესახებ, მნიშვნელოვანია ადსორბციის პროცესების კვლევისას.

წარმოდგენილ ნაშრომში მოყვანილია შედარებითი დახასიათება აღნიშნული სორბენტების სორბციული თვისებებისა დროის ფუნქციისგან დამოკიდებულებით. კერძოდ, შესწავლილია Co^{2+} , Cu^{2+} , Pb^{2+} , Fe^{2+} , Cd^{2+} იონების ადსორბციის სიდიდისა და ამოღების ხარისხის დამოკიდებულება სხვადასხვა ადსორბენტის ხსნართან კონტაქტის ხანგრძლივობაზე.

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი იონისათვის ადსორბციის წონასწორობა მიიღწევა 5-10 წუთის განმავლობაში, რაც შეადგენს მისი ტევადობის 70-80% -ს ($A_{\text{Pb(II)}} = 80-90$ მგ/გ $A_{\text{Fe(II)}} = 24-34$ მგ/გ), ზოგიერთ შემთხვევაში წონასწორობა მყარდება 30-40 წუთში ($A_{\text{Co(II)}} = 8-11$ მგ/გ), ზოგიერთ შემთხვევაში ადსორბციის წონასწორობა მიიღწევა 60-90 წუთში ($A_{\text{Cu(II)}} = 32-34$ მგ/გ, $A_{\text{Cd(II)}} = 24-30$ მგ/გ). მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ პრაქტიკაში ამა თუ იმ ადსორბენტის გამოყენებისას მოხდეს ადსორბციის წონასწორობის მიღწევის დროის გათვალისწინება და შესაბამისად, დროის რაციონალურად გამოყენება.

ლიტერატურა:

1. Method of obtaining sorbents from plastics and cellulose-containing waste. Patent P 2021 7309 B
2. T. Marsagishvili, G. Tatishvili, N. Ananiashvili, N. Giorgadze, E. Tskhakaia, J. .Metreveli, M. Gachechiladze, M. Machavariani (2019), Adsorption of lead ions on carbonaceous

- sorbents of nutshell obtained from secondary raw material. 4th International Conference on Nanotechnologies and Biomedical Engineering, IFMBE Proceedings, Publisher: Springer International Publishing, 77, pp. 97-100
3. Giorgadze N., Ananiashvili N., Marsagishvili T., Tskhakaia E., Tatishvili G., Matchavariani M. Adsorption of Cu⁺⁺ ions on carbonaceous sorbents, obtained from secondary raw material. International Scientific Conference (2020), Food and Environmental problems. Publishing House "MERIDIANI" Tbilisi, pp. 257-264
 4. Giorgadze N.V., Marsagishvili T.A., Tatishvili G.D., Ananiashvili N.Sh., Tskhakaia E.T., Gachechiladze M.P., Metreveli J.A., Matchavariani M.N. (2021), Adsorption of cobalt ions on carbonaceous sorbents obtained from secondary raw materials., International Journal of Green and Herbal Chemistry., IJGHC, Sec.A; Vol.10, No.1, pp. 101-108, DOI: 10.24214/IJGHC/GC/10/1 /07077., E-ISSN: 2278-3229
 5. T. Marsagishvili, G. Tatishvili, N. Ananiashvili, N. Giorgadze, Z. Samkharadze, E.Tskhakaia, M.Gachechiladze, J.Metreveli and M. Machavariani (2021), Adsorption of lead ions on carbonaceous sorbents of nutshell obtained from secondary raw material. SCIREA Journal of Electrical Engineering, Volume 6, Issue 1, (N47198), pp.23-41
 6. T. Marsagishvili, G. Tatishvili, N. Ananiashvili, E. Tskhakaia, N. Giorgadze, M. Gachechiladze, M. Matchavariani, and L. Kvinikadze (2022), Sorbents Obtained from Cellulose-Containing Waste for Water Purification. Springer International Publishing, IFMBE Proceedings 87, 470–474

ქ. რუსთავის ატმოსფეროს PM-ნაწილაკებით დაბინძურების გამოკვლევა

ნ. გიგაური, ა. სურმავა, ლ. ინჭკირველი, მ. ფიფია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150 გ, თბილისი, საქართველო

შესწავლილია ქ. რუსთავის ატმოსფეროს PM_{2.5} და PM₁₀-ით დაბინძურება, როგორც ექსპერიმენტული დაკვირვებების მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე მათემატიკური მოდელირების გამოყენებით. ექსპერიმენტული გაზომვების მონაცემების ანალიზის საშუალებით დადგენილია მეტეოროლოგიური პირობებისა და ქალაქში მოქმედი საწარმოების წვლილი კონცენტრაციათა ველის ფორმირებაზე. ატმოსფერული პროცესების განვითარებისა და მინარევების გავრცელების 3D მოდელის საშუალებით გამოკვლეულია ქ. რუსთავის ატმოსფეროში არსებული PM ნაწილაკების გავრცელება ქალაქში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ფონური აღმოსავლეთის ქარის დროს.

საკვანძო სიტყვები: ატმოსფერო, PM-ნაწილაკები, დაბინძურება, მოდელირება.

ექსპერიმენტული გაზომვების მონაცემების ანალიზის საშუალებით განსაზღვრულია ქ. რუსთავის ატმოსფეროში PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციების მნიშვნელობა და მისი ცვლილების თავისებურებანი. დადგენილია მეტეოროლოგიური პირობებისა და ცალკეული საწარმოების წვლილი კონცენტრაციათა ველის ფორმირებაზე. ატმოსფერული პროცესების განვითარებისა და მინარევების გავრცელების 3D მოდელის საშუალებით გამოკვლეულია ქ. რუსთავის ატმოსფეროში არსებული PM_{2.5}-ის გავრცელება ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ფონური აღმოსავლეთის სუსტი, საშუალო და ძლიერი ქარების შემთხვევაში. მოდელირების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქ.რუსთავში აღმოსავლეთის სუსტი ქარის დროს რელიეფისა და ტემპერატურის დღეღამური რეჟიმის ცვლილება 12 სთ-ისთვის იწვევს მიწისპირა ქარის სიჩქარის მნიშვნელობის ცვლილებას. ის წარმოშობს ქვემო ქართლის ვაკის ტერიტორიაზე ფონური ქარის საწინააღმდეგო დინებას, რომელიც შეესაბამება ქარის ჰორიზონტალურ გრიგალურ ცირკულაციას. ცირკულაციის სიდიდე თანდათანობით მცირდება სიმაღლის ზრდასთან ერთად და ატმოსფეროს სასაზღვრო

ფენაში (მიწის ზედაპირიდან 600 მ სიმაღლეზე) მას გააჩნია ტალღური შემფოთების სახე. ფონური აღმოსავლეთის საშუალო ქარის დროს მიღებული სურათი თვისობრივად ანალოგიურია ფონური სუსტი ქარის დროს მიღებული ველის, ხოლო აღმოსავლეთის ძლიერი ფონური ქარის დროს, სუსტი და საშუალო ქარების შემთხვევისაგან განსხვავებით, დაბინძურების ზონა მოიცავს მოდელირების არის დიდ ნაწილს. მადლიერება. სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის YS-21-132 დაფინანსებით.

ლიტერატურა:

1. World Health Organization. (2009). Global health risks : mortality and burden of disease attributable to selected major risks. World Health Organization. <https://apps.who.int/iris/handle/10665/44203>
2. https://air.gov.ge/reports_page

ტექნოგენურად დაბინძურებული წყლებიდან მძიმე ლითონების ფიტომიგრაცია („მწვანე” ტექნოლოგია)

კ. ხაჭაპურიძე, გ. მჭედლიშვილი, გ. ავქოფაშვილი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, გარემოს დაცვითი ინჟინერისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ.69, 0192, თბილისი, საქართველო.

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თამარაშვილის N6, თბილისი, საქართველო.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება სამთამადნო დარგში, როგორც კარიერის დამუშავება და ფუჭიქანების სანაყაროების ფორმირება მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ასპექტს წარმოადგენს, ვინაიდან აღნიშნულ პროცესში მძიმე მეტალებით დაბინძურებული მყავე კარიერული წყლების წარმოქმნება, რომელიც გარემოზე მნიშვნელოვან მავნე ზეგავლენის ახდენს.

სპილენძისა და პოლიმეტალების საბადოების მადნების ღია დამუშავება დაკავშირებულია მყავე კარიერული წყლების სპილენძის, თუთიის, ტყვიის, კადმიუმის, მანგანუმის და ა.შ. იონებით დაბინძურებასთან. საბადოს ტიპი და ხასიათი, ასევე კლიმატური პირობები განაპირობებს დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობას და შემადგენლობას.

კვლევის ამოცანაა შეირჩეს ისეთი თანამედროვე მეთოდი, რომელიც მოახდენს ქიმიური გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილ წყალში, ნარჩენი მძიმე მეტალების ამოღებას ფიტომიგრაციას. ამისათვის შერჩეული იქნა ფიტორემედიაციის („მწვანე” ტექნოლოგია) მეთოდი.

ფიტომიგრაციისათვის საჭირო აკვაკულტურის სახეობის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა საცდელი ადგილის კლიმატური პირობები. ა) შერჩეული იქნას ისეთი წყლის მცენარე, რომელიც შეეგუება არსებულმგარემოს. 2) უნდა განხორციელდეს შერჩეული წყალმცენარის გამრავლება შემდგომი ექსპერიმენტისათვის.

მძიმე მეტალების საცდელ ამოღების დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღებისას, კვლევა საწინდარი იქნება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებში წყლის

ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ამასთან მწვანე ტექნოლოგიური შედეგების კუთხით ძალზედს სარგებლიანი იქნება, სხვა მსგავსი გამოწვევების მქონე საწარმოებში მისი გამოყენების შემდგომ მათ არიალში არსებულ ეკოსისტემისათვის.

ლიტერატურა:

1. Marika Avkopashvili, Guranda Avkopashvili, Irakli Avkopashvili, Lasha Asanidze,
2. Lia Matchavariani, Alexander Gongadze, Ramaz Gakhokidze. Mining Related Metal Pollution and Ecological Risk Factor in the South-Eastern Georgia. Sustainability. Web of Science. 2022. <https://www.mdpi.com/2071-1050/14/9/5621>
3. Marika Avkopashvili, Alexander Gongadze, Guranda Avkopashvili, Lia atchavariani, Lasha Asanidze, Lamzira Lagidze. Metals distribution in soil contaminated by gold and copper mining in Georgia. Journal of Environmental Biology. Web of Science. 2020
4. http://www.jeb.co.in/journal_issues/202003_mar20_spl/paper_06.pdf
5. Phytoremediation of heavy metals in soil and water: An eco-friendly, sustainable and multidisciplinary approach.2022
6. <https://reader.elsevier.com/reader/sd/pii/S0045653522012814?token=119C1FAD2285F9F7B299E2A52C7873137B63EC30BDCFEA5167D994B0F24CBA342520224205E572C59B89BAD4F41A30ED&originRegion=eu-west-1&originCreation=20230415070404>

მძიმე მეტალების განსაზღვრა დმანისის მინერალურ წყალში

ხ. ოშიაძე, ნ. ბოკუჩავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი. ქ.თბილისი, საქართველო.

საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო თავისი სამკურნალო რესურსებით, განსაკუთრებით მინერალური წყლებით, მცენარეული საფარით, ტალახებით, ჰავისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს აქვს პერსპექტივა, გახდეს ჯანდაცვის სერვისების „ჰაბი“ რეგიონში.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის ობიექტს წარმოადგენდა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლებთან არსებული სამკურნალო წყალი „დმანისი“, იგივე „შარდის წყარო“, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით შესულია სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტების ნუსხაში კომბინირებული და შინაგანი გამოყენების მინერალური წყლის სახით. მისი სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება ხდება შემდეგი დაავადებების დროს: ნეფრიტი, პიელონეფრიტი, პროსტატიტი და სხვა შარდ-კენჭოვანი დაავადებები.

მიუხედავად დმანისის სამკურნალო წყლის მიმართ მომხმარებელთა გაზრდილი ინტერესისა, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წყლის სასმელი მიზნებისათვის გამოყენებისა, ათეული წლების განმავლობაში არ მომხდარა წყლის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა. არ არსებობს მონაცემები წყალში მძიმე მეტალების შემცველობის შესახებ. ამასთან, საგულისხმოა რეგიონში მოქმედი ლითონების მომპოვებელ-გადამამუშავებელი კომპანია „RMG GROUP“-ის აქტიური ფუნქციონირების

გავლენის შესწავლა სამკურნალო წყლის საბადოზე.- დმანისის სამკურნალო წყალში მძიმე მეტალების განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა პლაზმურ-ემისიური სპექტრომეტრი და პლაზმურ-ემისიური მას-სპექტრომეტრი. კონცენტრაციის განსაზღვრისთვის გამოყენებულია Agilent-ის ფირმის სტანდარტული ხსნარები. გამოყენებული მეთოდი ISO 11885:2007.

ჩატარებული კვლევის შედეგები (იხ. ცხრ.1) გვიჩვენებს, რომ სტიბიუმის კონცენტრაცია აჭარბებს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹ გათვალისწინებულ ნორმას. ასევე საგულისხმოა წყალში სტრონციუმის შემცველობა, თუმცა არ ნორმირდება.

ცხრილი 1: სათავე ნაგებობიდან აღებულ წყალში მძიმე მეტალების განსაზღვრის შედეგები

N	პარამეტრები	ერთეული	მიღებული შედეგი	(ზღვ)*
1	რკინა (ჯამური)	მგ/ლ	0,156	0,3
2	სპილენძი (Cu, ჯამური)	მგ/ლ	1,8	2,0
3	თუთია	მგ/ლ	0,23	3,0
4	მანგანუმი	მგ/ლ	არ აღმოჩნდა	0,4
5	კადმიუმი	მგ/ლ	0,0004	0,003
6	ტყვია (Pb ჯამური)	მგ/ლ	არ აღმოჩნდა	0,01
7	სელენი (Se ჯამური)	მგ/ლ	არ აღმოჩნდა	0,01
8	სტრონციუმი	მგ/ლ	0, 65	-
9	ნიკელი	მგ/ლ	0,001	0,07
10	მოლიბდენი	მგ/ლ	არ აღმოჩნდა	0,07
11	სტიბიუმი	მგ/ლ	0,035	0,02
12	ციანიდები	მგ/ლ	არ აღმოჩნდა	0,07

„სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხისა და მინერალური წყლის ხარისხისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის №310/ნ ბრძანების შესაბამისად, დანორმირებულია მხოლოდ სტრონციუმი –90 (Sr-90) რადიაქტიური იზოტოპი.

იმის დასამტკიცებლად, რომ ამ წყალს არ ახასიათებს რადიაქტიურობა, ჩავატარეთ ტესტი გამოსხივების დეტექტორის mini rae საშუალებით. ხელსაწყოს აქვს უნარი 40 კმ მანძილზე დააიდენტიფიციროს ალფა, ბეტა და გამა გამოსხივება. ტესტირების შედეგი სტრონციუმ –90 (Sr-90) -ზე უარყოფითია.

ლიტერატურა:

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2196792?fbclid=IwAR3DFM_lb_iVGLC6r7n-7UaCTDCFN8GFHenFgbUCy36lVO9Ngwx-TcbqZA&publication=0

თუთიის იონებისაგან დაბინძურებული წყლების გაწმენდა ადგილობრივი თიხებისგან და მინერალ ბრუსიტის გამოყენებით.

**ლ. სამხარაძე, გ. ბალარჯიშვილი, დ. იოსელიანი, ნ. ნონიკაშვილი,
ნ. ყალაბეგაშვილი**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, თბილისი,
საქართველო.**

საწარმოო სიმძლავრეების მუდმივი ზრდისა და სასარგებლო წიაღების ამოღებისა და დამუშავების შედეგად წარმოქმნილი მძიმე მეტალებით დაბინძურებული წყლები დამლუპველ გავლენას ახდენს ბუნებაზე, მათი არსებობა საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას.

მძიმე მეტალების იონებს შორის თუთია შედარებით ნაკლებ ტოქსიკურად ითვლება, მაგრამ მისი არსებობა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე მაღლა (3მგ/ლ) იწვევს მწვავე ტოქსიკურ დაავადებებს როგორცაა: კუჭის ტკივილი, დიარეა, ლებინება, მადის დაკარგვა, დეპრესია, ნევროლოგიური დაავადებები და სხვა [1].

ჩვენს ინდუსტრიულ საუკუნეში საწარმოო ნარჩენების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის და მათი წყალში მოხვედრის გამო, აუცილებელი გახდა დაბინძურებული წყლების გასუფთავება და გაუვნებელყოფა.

მძიმე მეტალებით დაბინძურებული წყლების გასუფთავების მრავალი მეთოდი ცნობილი. მათ შორის ერთ-ერთ პერსპექტიულ მეთოდად ითვლება ადსორბციული მეთოდი.

აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილ იქნა ადგილობრივი თიხების (გუმბრინი, ასკანთიხა), ბუნებრივი ცეოლითების (კლინოპტილოლიტი, მორდენიტი) და მინერალ-ბრუსიტის ბაზაზე დამზადებული ადსორბენტების ადსორბციის უნარი დაბინძურებული წყლისაგან Zn^{2+} იონებისგან გაწმენდის პროცესში. ცდები ჩატარებულია როგორც გუმბრინის, ასკანთიხის კლინოპტილოლიტის, მორდენიტის და ბრუსიტის საწყის ფორმებზე, ასევე ჩამოთვლილი ბუნებრივი სორბენტების და ბრუსიტის სხვადასხვა თანაფარდობის მქონე ნარევებზე. ასკანთიხა და გუმბრინი ტუტე მიწათა ჯგუფის ბენტონიტური თიხებია. მათში ქანწარმომქმნელი მინერალი მონტმორილონიტია, რომელიც განსაზღვრავს მათ სპეციფიკურ თვისებებს: გაჯირჯვებას, ადსორბციას, კათიონების მიმოცვლას და ა.შ. კლინოპტილოლიტი და მორდენიტი მაღალი დისპერსიის ცეოლითებია, საკმაოდ მაღალი მექანიკური სიმტკიცით, ფორიანობით და ადსორბციული თვისებებით. ბრუსიტი კი ჰიდროთერმალურ-მეტასომატური ადგილმდებარეობის მქონე $Mg(OH)_2$ -ის შემცველი მინერალია [2, 3].

შესწავლილი იქნა ადსორბციის ხარისხისა და ადსორბციული ტევადობის დამოკიდებულება ადსორბენტებზე, კომპონენტების ურთიერთთანაფარდობაზე, ადსორბციის დროზე და წყალბადურ მაჩვენებელზე (pH). ცდები ტარდებოდა ოთახის ტემპერატურაზე მუდმივი მორევის პირობებში 1სთ-ის განმავლობაში.

Zn^{2+} -ის შემცველობა ისაზღვრებოდა ატომურ ადსორბციული და ქიმიური მეთოდებით.

აღნიშნულ პროცესში გამოყენებული იქნა მორდენიტის, კლინოპტილოლიტის, ასკანთიხის, გუმბრინის ნარევები ბრუსიტთან სხვადასხვა თანაფარდობით.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრუსიტის ნარევემა ასკანთიხასთან და მორდენიტთან აჩვენა უკეთესი შედეგები (ვიდრე ბრუსიტი : გუმბრინი და ბრუსიტი : კლინოპტილოლიტი) ცდები გაგრძელებული იქნა სხვადასხვა თანაფარდობის მქონე (1:1, 1:1,26, 1:1,5) ნარევებზე: ბრუსიტი : ასკანთიხა და ბრუსიტი : მორდენიტი.

ზემოთ აღნიშნულმა ადსორბენტებმა თუთიის იონებისგან გაწმენდის პროცესში ყველაზე მაღალი ადსორბციის ხარისხი გამოამჟღავნეს 1 : 1 თანაფარდობისას.

ლიტერატურა:

1. Nourhan Nasser, Mohamed I. El-Sayed, Sarah I. Othman, Ahmed A. Allam, Ibrahim G. Al-Labadi, Mostafa R. Abukhadra, ORCID andStefano Bellucci. Systematic Evaluation for the Impact of the Geological Conditions on the Adsorption Affinities of Calcite as an Adsorbent of Zn²⁺ Ions from Aqueous Solutions: Experimental and Theoretical Studies. Minerals 2022, 12(12), 1635;
2. Korolev V.A., Samarin E.N., Panfilov V.A., Romanov I.V. Sorption properties of brucite and clay mixtures based on it. Ecology and Industry of Russia, 2016, v.20, #1, pp.18-24.
3. Gumarova Yu.A. Effect of firing temperature on the properties of brucite. 9th International Conference of Students and Young Scientists "Prospects for the Development of Fundamental Sciences", Tomsk, 2012, pp.345-347.

სექცია 5. სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია Section 5. Food Science and Technology

ველური ვარდის გავლენა მარმელადის კვებით ღირებულებაზე

რ. ხუციშვილი, ე. სადალაშვილი

ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 69;

საკონდიტრო წარმოებისთვის სამამულო ნედლეულის შერჩევა და სრულფასოვანი კვების პროდუქტების ფორმირება სასურსათო ტექნოლოგიისა და სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

სამუშაოს მიზანია ბუნებრივი სამკურნალო მცენარეული ნედლეულით, ველური ვარდით (ასკილი) გამდიდრებული ჟელირებული საკონდიტრო ნაწარმის რეცეპტურისა და შესაბამისად ტექნოლოგიური რეჟიმის დადგენა.

ჩატარებული კვლევებით მიღებულია ექსპერიმენტული მონაცემები - მშრალი ნივთიერებების რაოდენობის, საერთო მჟავიანობის და ტუტეანობის, მეზოფილური და ფაკულტატური აერობული მიკროორგანიზმების რიცხვის, საფუვრის და ობის სოკოების არსებობის შესახებ.

მიღებულმა ექსპერიმენტულმა მონაცემებმა შესაძლებელი გახადა რეკომენდაციების ჩამოყალიბება ბუნებრივი ნედლეულის - ასკილის კონცენტრირებული ექსტრაქტის ხარისხის მაჩვენებლების, კვებითი ღირებულების, ანტიოქსიდანტური აქტივობის გაზრდის, ასკილის ჟელირებული მარმელადის ენერგეტიკული ღირებულების ცვლილების შესახებ .

დადგენილია პროდუქტის ანტიოქსიდანტური აქტივობის გაზრდის, ენერგეტიკული ღირებულების, შაქრის შემცველობის დაქვეითებისა და გაზრდილი კვებითი ღირებულების მიზანშეწონილობა, ჟელირებული საკონდიტრო ნაწარმის სამომხმარებლო თვისებების ფორმირება, ხარისხის მაჩვენებლები და შენახვის ვადის დადგენა;

წყლის ანომალური თვისებები

რ. კლდიაშვილი, დ. ბიბილეიშვილი, *ქ. მახაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიის დეპარტამენტი, *სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

წყალი უმნიშვნელოვანესი ქიმიური ნაერთია, იგი სასიცოცხლოდ ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მეცნიერებისათვის ცნობილია წყლის 66 თვისება, რომელიც დღემდე აუხსნელია. წყლის ანომალური თვისებები განსაზღვრავენ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას მას გააჩნია ცვალებადი სიმკვრივე, მაღალი სითბოტევადობა, მაღალი ზედაპირული დაჭიმულობა აიხსნება წყლის სხვადასხვა სტრუქტურით, რომელშიც ხდება სითხის მოლეკულების თვითორგანიზება. წყალმა აღჭურვა ადამიანი სითბური თვითრეგულირების საუკეთესო რეჟიმით. ნებისმიერი ნივთიერება გაცივებისას იკუმშება, წყალი კი ფართოვდება. ცხელი წყალი იყინება ცივზე უფრო ჩქარა, ის ერთადერთი ნივთიერებაა რომელიც დედამიწაზე სამივე აგრეგატულ მდგომარეობაში გვხვდება. წყალს გააჩნია მეხსიერება, ინფორმაციის გადაცემის უნარი. წყალი ადამიანის ორგანიზმში აზროვ-ნების და მეხსიერების მექანიზმის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, გადმწყვეტ როლს ასრულებს ცენტრა-ლური ნერვული სისტემის საქმიანობაში. თუ ადამიანი კარგავს წყლის 10%-ს, იწყება თვითმოწამვლა, ხოლო 21% - ის დაკარგვა სიკვდილს იწვევს. ლოცვის რხევის სიხშირე ემთხვევა დედამიწის რხევის სიხშირეს და 8 ჰერცს შეადგენს. წყალი ნებისმიერ აგრეგატულ მდგომარეობაში იძენს ნიადაგის ვიბრაციას ამიტომაც ლოცვა წყლის შემცველი ყველა პროდუქტის ჰარმონიულობას იწვევს. არ არსებობს რელიგია, რომელიც არ იყენებს წყლით რიტუალის ელემენტებს. მრავალი პირველყოფილი რელიგიისათვის დამახასიათებელი იყო რიტუ-ალური განზანა.

ამრიგად, წყლის როლი მისი ანომალური თვისებების გამო განუზომლად დიდია ცოცხალი ორგანიზმის გაჩენა-განვითარებაში, ატმოსფეროს კლიმატის და ამინდის ფორმირებაში, კოსმოსის კვლევის საქმეში, მედიცინაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, სოფლის მეურნეობაში, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ლიტერატურა

1. R. Kldiashvili, D. Bibileishvili. Water and its character Tbilisi: "Technical University", 2011.
2. G. Mistral. Poems told in prose. Tbilisi: Herald of Georgia 2008
3. Httth://www.Knlife.ru/energetika/eshh-nemnogo-o-vode.html

ბალასტური და იზოლირებული წყლების ნარჩენების შემცირება და უტილიზაცია მიწისქვეშა ფენებში განთავსებით.

ნ. კამკამიძე, ლ. გობეჯიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აქტუალობა. გასული საუკუნის დასაწყისში ნავთობის და სხვა მრეწველობის დარგების სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ნარჩენების, მათ შორის სახიფათო თხევადი ნარჩენების მოცულობაც, ჩამდინარე წყლებით გაიზარდა ღია წყალსატევების, მდინარეების, ტბების, ზღვების, მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების და სხვა წყალშემცველი ადგილების დაბინძურების ტემპები, რომელიც ნამდვილ სტიქიურ უბედურებად იქცა, საფრთხე შეექმნა ატმოსფეროს, ფლორას და ფაუნასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა სახიფათო თხევადი ნარჩენების მართვის სფეროში. დაგროვილი ნარჩენების მოცულობის ზრდის ტემპები გაცილებით მაღალია, ვიდრე განთავსებული ნარჩენების მოცულობა. სხვაობა განთავსებულ და განუთავსებელ ნარჩენებს შორის იმდენად დიდია, რომ ბინძურდება თითქმის ყველა დიდი მდინარეები თავის შენაკადებთან ერთად, შავი ზღვა, მისი სანაპირო ზოლი და ა.შ. ამ პრობლემის გადაჭრის საშუალების მექანიზმები, მეთოდები, მცდელობები მრავალია.

სწორედ ჩვენი კვლევები ეფუძნებოდა შავი ზღვის გემებით ბალასტური წყლების დაბინძურების გაუვნებლობას გამწმენდ სადგურში, მემბრანული გაწმენდის მეთოდით, აღნიშნული მოითხოვდა დიდ კაპიტალურ დანახარჯებს, რამაც გვიბიძგა ახლი მეთოდების ძიებისაკენ.

კვლევის მიზანია სახიფათო თხევადი ბალასტური და იზოლირებული წყლების ნარჩენების შემცირების ანუ უტილიზაციის მეთოდების კვლევა .

შედეგები: კვლევამ აჩვენა ,რომ ბალასტური და იზოლირებული ბალასტური წყლების საქართველოში ყველაზე მეტად რეალური შესაძლებლობაა გამოყენებული იქნა „ჭაბურღილში შთანმთქმნელ ჰორიზონტებში ჩაჭირხვნის მეთოდი“, მისი ეკონომიკური ეფექტიანობით რადგან ერთდროულად ხორციელდება წიაღის გამოყენება და წიაღის, მიწისქვეშა წყლების, ღია წყალსატევების ბუნების დაცვითი ღონისძიებები.. ეს ღონისძიება ნარჩენების წარმომქმნელ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს, რომელთა რიცხვი საკმაოდ ბევრია, მისცემს შესაძლებლობას ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განათავსონ ნარჩენები.

ჩამდინარე წყლებში ქიმიური რეაგენტების კონცენტრაციის განსაზღვრის მოწყობილობა

ქ. მახაშვილი, თ. რიგიშვილი, დ. ბიბილეიშვილი, ვ. ფიდიურაშვილი, ნ. იაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტი თბილისი, საქართველო.

სამეცნიერო-საწარმოო კომპანია „სოვბი“ თბილისი, საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი, ქიმიის დეპარტამენტი. თბილისი საქართველო
საქართველოს საინჟინრო აკადემია თბილისი, საქართველო.

ცნობილია, რომ ჩამდინარე წყლების სხვადასხვა მეთოდებით გაწმენდის დროს ადვილად ხდება წყლიდან მინარევების განცალკევება და ამოღება თუ მათი ზომა ათ მიკრონზე მეტია, ამიტომ ჩამდინარე წყლების მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდის შემდეგ წყალში რჩება მინარევების მდგრადი წარმონაქმნები, რომელთა მოშორებისას ფართოდ გამოიყენება კოაგულაციისა და ფლოკულაციის მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენებისას წყალში შეჰყავთ სპეციალური ქიმიური ნივთიერებები (კოაგულიანტი), რომლის წყალში შერევისას წარმოიქმნება შედარებით მსხვილი ფანტელისმაგვარი შენაერთები, რომლებიც სიმძიმის გამო დაილექებიან ფსკერზე და ამიტომ შედარებით ადვილად ხდება მათი განცალკევება (მოშორება). ჩვეულებრივ, კოაგულაციის პროცესს შემდეგ მოსდევს ფლოკულაცია, რომლის დროსაც ხდება წარმოქმნილი შენაერთების კიდევ უფრო შეწებება და მისი ზომების გაზრდა. კოაგულაციასთან შედარებით ფლოკულაციის პროცესი უფრო ნელია. ჩამდინარე წყლების ორივე მეთოდით გაწმენდის დროს აუცილებელია წყალში კოაგულიანტის და ფლოკულიანტის კონცენტრაციის განსაზღვრა.

ჩვენს მიერ დამუშავებული იქნა ჩამდინარე წყლებში ქიმიური რეაგენტების, კოაგულიანტების და ფლოკულიანტების გამზომი მოწყობილობა. მოწყობილობა აგებუ-

ლია ბოგირული სქემის პრინციპის გამოყენებით. ახალი, შემოთავაზებული მოწყობილობის ბოგირულ სქემაში ჩართულია საზომი და შედარების გადამწოდები, ხოლო გადამწოდებთან დამატებით ჩართულია ცვლადი წინაღობა. გაზომვის შედეგი ე.ი. კოაგულიანტის (ან ფლოკულიანტის) კონცენტრაციის დონე გადის ციფრულ მაჩვენებელზე (ეკრანზე), რომელიც თავის მხრივ ეკრანირებულია. ამ მოწყობილობაზე მიღებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ერთი პატენტი გამოგონებაზე, ხოლო მეორე განაცხადზე „საქპატენტში“ მიმდინარეობს საქმისწარმოება. უნდა აღინიშნოს, რომ დამზადებულია კოაგულიანტის კონცენტრაციის განსაზღვრის მოწყობილობის ორი საცდელი ნიმუში, რომლებმაც გაიარეს ლაბორატორიული გამოცდები. შემოთავაზებული მოწყობილობა საშუალებას იძლევა მისაღები მგრძობიარობით და სიზუსტით განვსაზღვროთ ჩამდინარე წყლებში ქიმიური რეაგენტების შედარებით მცირე დოზები.

ლიტერატურა

1. Bibileishvili D., st. Makhashvili, A. Grigolishvili. (2017) Wastewater monitoring. Tbilisi, "Technical University".
2. Bibileishvili D.V., Ormotsadze N.S., Makhashvili K.A. (2019, November 11-12). Application of electrical conductivity of solution during coagulant treatment of wastewater. V. International Scientific-Technical Conference "Environmental Protection and Sustainable Development" dedicated to the 80th anniversary of Eristavi, p. 148-149.

მდინარე ყვირილას აუზის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება

მ. ოჩიგავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო

2014 წელს საქართველო-ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება (AA) მოიცავს თითქმის ყველა გარემოსდაცვით მიმართულებას, მათ შორის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ვალდებულებების შესრულებას, როგორცაა სააუზო მართვის მოდელის დანერგვა, ზედაპირული წყლის ობიექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგის ქსელის შექმნა და მონიტორინგის წარმოება. ზედაპირული წყლის რესურსების დაბინძურება უდიდეს საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას, ეკოსისტემების სრულფასოვან ფუნციონირებასა და ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. [1]

სამთო-მოპოვებითი წარმოება ზედაპირული წყლების მძიმე მეტალებით დაბინძურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ამ თვალსაზრისით მდ. ყვირილას აუზის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება მეტად აქტუალურია. მდ. ყვირილას მძიმე მეტალებით დაბინძურების მთავარ წყაროს წარმოადგენს ჭიათურის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის საქმიანობა. მდინარის დაბინძურება ხდება საწარმოო ჩამდინარე წყლებით, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს შეწონილ ნაწილაკებს, მანგანუმის ნაერთებსა და მცირე რაოდენობით სხვა მიკროელემენტებს. ჩამდინარე წყლების გაუწმენდავად ჩაშვების მიზეზია: ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების/დანადგარების არ არსებობა, მწყობრიდან გამოსული სალექარები და დორები, უმოქმედოდ დარჩენილი „ღურღუმელა“-ს წყალსაცავი, წარეცხვისგან დაუცველი აგლომერატის სანაყარო და ღიად დატოვებული კარიერები. [2]

მდ. ყვირილას ეკოქიმიური დაბინძურების შეფასების მიზნით 2022 წელის აგვისტოს, ოქტომბრისა და ნომებრის თვეებში ჩატარებული ექსპედიციების ფარგლებში საანალიზო წყლის სინჯების აღება მოხდა მდინარის 4 წერტილში, რომლის შესაბამისად დადგინდა, რომ მდ. ყვირილა მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან ტიპის წყალს, წყლის

ძირითადი პარამეტრები ნორმაშია, მძიმე მეტალების კონცენტრაციები არ აჭარბებს ზღვრებს, გარდა მანგანუმის კონცენტრაციისა და შეწონილი ნაწილაკების შემცველობის მიხედვით მიეკუთვნება ძალიან დაბინძურებულს (>100 მგ/ლ). [4,5,6]

ლიტერატურა:

1. European Union Water Framework Directive (2000/60/EC);
2. Gugushvili T. Tsiklauri N. For populations affected by manganese mining, 2016
3. Resolution No. 425 of the Government of Georgia dated December 31, 2013 "On Approval of Technical Regulations for Protection of Surface Waters of Georgia from Pollution", Tbilisi, 2014, <https://www.matsne.gov.ge/>.
4. Technical regulation of sanitary rules for water sampling. Resolution of the Government of Georgia No. 26; January 3, 2014 Tbilisi. <https://www.matsne.gov.ge/>.
5. Order of the Minister of Labor, Health and Social Protection of Georgia No. 297/N "On Approval of Environmental Quality Standards" August 16, 2001; Consolidated version. <https://www.matsne.gov.ge/>.

პამიდორის კულტურის ქვეშ ივერიის ბარზე გავრცელებული ყავისფერი ნიადაგების აკუმულაციურ ფენაში შესათვისებელი მოძრავი საკვები ელემენტების ქიმიზმი

გ. ანდრიაძე, გ. დანელია, თ. ფალავანდიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას გამზირი №69.

შესწავლილია მძიმე მექანიკური შედგენილობის მქონე ყავისფერი ნიადაგების ქიმიზმი (გორის რაიონი სოფ. სვენეთი, სოფ. ატენის, მარნეული) იმ ლოკალიზაციის ტერიტორიაზე, სადაც მოჰყავთ პამიდორის კულტურა ნიადაგის თხევად ფაზაში 0,2-0,4 სმ სიღრმეზე. დამტკიცდა, რომ აღნიშნული ტიპის ნიადაგებში არეს რეაქცია ნეიტრალურია, ხასიათდება ჰუმუსის დაბალი პროცენტობით შესაბამის ინდექსთან შედარებით. რაც შეეხება კარბონატობას პროცენტობით, აღნიშნული ნიადაგები საშუალოდ უზრუნველყოფილია. რაც მთავარია, პირველი მინიმუმის ელემენტი აზოტი მგ/100გ-ზე მცირეა. ასევე შეგვიძლია აღვნიშნოთ მოძრავი ფოსფორის მიმართ. რაც შეეხება გაცვლით კალიუმს, იგი საშუალოდ არის უზრუნველყოფილი. აღნიშნული ტიპის ნიადაგებისათვის, პამიდორის ნედეულის მოყვანა და შემდგომ მისი ტექნოლოგიური პროცესი სრულიად რეალურია. საკვები ელემენტების სიმცირე გამოწვეულია მცენარის ბიოლოგიური გამოტანით და მოითხოვს მინერალური ხსნადი ოქსიდების გამოყენებას.

ლიტერატურა:

1. G. Danelia, T. Falavandishvili. Laboratory practice in ecochemistry. "Technical University" publishing house. Tbilisi 2013 pp. 31-144.
2. T. Urushadze. The main soils of Georgia, publishing house "Tbilisi", Tb., 1997.
3. G. Talakhadze, I. Anjafaridze, V. Lottery, R. Kirvalidze. Soils of Georgia, publishing house "Education", volume, 1983. p. 191-201.

ზოგიერთი ფენოლოური ნაერთის განსაზღვრა ღვინოში მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით

ლ. ახალბედაშვილი¹, ა. მსხილაძე², გ. მაისურაძე¹, მ. ქრაჩხაძე¹

**1 ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქავჭავაძის გამზირი
#3, 0179**

2 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ანა პოლიტკოვსკაიას #61, 0186, თბილისი

ღვინო ერთ–ერთი ყველაზე გამოყენებადი პროდუქტია მსოფლიოში, რომელიც შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან ბიოლოგიურად აქტიურ, ანტიოქსიდანტური თვისების მქონე ფენოლურ ნაერთებს, რაც განაპირობებს ღვინის სამკურნალო ღირებულებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასალათა კვლევის ინსტიტუტში, ასევე ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულების ლაბორატორიებში ჩატარებულ იქნა წითელ ღვინოებში ზოგიერთი ფენოლური ნაერთის თვისობრივი, რაოდენობრივი განსაზღვრა ქრომატოგრაფიული მეთოდით.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო კახური ტექნოლოგიით მომზადებული ღვინის შედგენილობის შესწავლა. ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით. ქრომატოგრაფიულ დაყოფას ვახდენდით Agilent 1200 Technologies ქრომატოგრაფზე CI8 HPLC 5 მკმ ქრომატოგრაფიულ სვეტზე, ელუენტად გამოყენებული იყო აცეტონიტრილი-HPLC (Sigma-Aldrich), მმარმჟავა, ბიდისტილატი. ექსტრაქციისთვის ვიყენებთ 60%-იან ეთანოლს. კვლევებისათვის გამოვიყენეთ ღვინის მწარმოებელი კომპანია "მელვინეობა ხარება"-ს მიერ კახეთის რეგიონის მუკუზანისა და საბუეს ვენახებიდან საფერავის ჯიშის ყურძნისაგან დაყენებულ ღვინოები- „ქინძმარაული“, „საფერავი“ 2010, 2012, 2014 წლების ბოთლებში ჩამოსხმული და 2015 წლის ქვევრის ღვინო „ქინძმარაული“ და „საფერავი“. გამოყენებული ღვინოები იყო როგორც ერთი წლის, ასევე 5 – 6 წლის დაძველებით. წარმოდგენილ კვლევაში იდენტიფიცირებული და რაოდენობრივად განსაზღვრული იქნა ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე რამდენიმე სახის პოლიფენოლური ნაერთის შემცველობა. ფენოლურ ნაერთებს შორის ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია რესვერატროლმა (3,4',5-ტრიჰიდროქსისტილბენი). ბოლო წლებში ღვინის მწარმოებლები განიხილავენ რესვერატროლის შემცველობას, როგორც წითელი ღვინის ხარისხის მაჩვენებელს: ჩვეულებრივ ღვინოში მათი შემცველობა მინიმუმ 3–4 მგ/ლ, ღვინო 5–7 მგ/ლ ფასდება როგორც კარგი, 7–10 მგ/ლ ძალიან კარგი, ხოლო თუ 10 მგ/ლ მეტია მისი შემცველობა ეს არის გამორჩეული ღვინო. ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებით ყველა საანალიზო ნიმუშში რესვერატროლის შემცველობა აღმოჩნდა 7 მგ/ლ მეტი. „მელვინეობა ხარება“-ს მიერ დაყენებული ღვინო „საფერავი“ როგორც ქვევრის ასევე ბოთლებში ჩამოსხმული ფასდება როგორც ძალიან კარგი, ხოლო 2012 წლის – როგორც გამორჩეული ღვინო.

მნიშვნელოვანია ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მეცნიერული საფუძვლების ძიება, ღვინოების ხარისხის ამაღლება და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მზა პროდუქციის მიღება.

აგროპროდუქტების პრეზერვაცია პოლიმერული ბიომიმეტიკით: პროცესის მათემატიკური დაგეგმვა

თ. ჯიბლაძე, რ. ქაცარავა, თ. ფალავანდიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას გამზირი №69.

ანოტაცია. დღეისათვის აგროპროდუქტების შენახვის ისეთი მეთოდები, როგორიცაა დაკონსერვება, შრობა, ვაკუუმირება, გაყინვა, ცვილით ან ქაფით დაფარვა ჩაანაცვლა ინოვაციურმა მეთოდმა - საკვები პროდუქტების თხელი პოლიმერული აფსკით დაფარვამ. ასეთი აფსკები აკონტროლებს წყლის და აირების დიფუზიას, აფერხებს ბაქტერიებით და

სხვა მიკრობებით პროდუქტების ზედაპირის კოლონიზაციას, C ვიტამინის და სხვა მნიშვნელოვანი სასარგებლო კომპონენტების შემცველობის დაქვეითებას. საკვები ბიოდეგრადირებადი აფსკების მიმართ ინტერესი ყოველდღიურად იზრდება, რადგან არადეგრადირებადი მასალები დიდ ზიანს აყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. ამ ექსპერიმენტში გამოყენებულია მონოკომპონენტური ფსევდოპროტეინული ბიოდეგრადირებადი საკვები საფარი აფსკი. დამზადდა სხვადასხვა კონცენტრაციის პოლიმერის სპირტხსნარები, რომლებითაც ჩაყურსვის მეთოდით დაიფარა ვაშლისა და სტაფილოს ნიმუშები. ექსპერიმენტის მათემატიკური დაგეგმვის გზით შესწავლილია ფსევდოპროტეინული საკვები საფარით აგროპროდუქტების ქიმიზმი და შენახვისუნარიანობა. საოპტიმიზაციო პარამეტრად შერჩეულია წყალში ხსნადი მშრალი ნივთიერება და მასზე მოქმედ ფაქტორებად განისაზღვრა - ტემპერატურა, აგროსაფარის კონცენტრაცია და შენახვის დრო. პროდუქტების სამთვიანი შენახვის შედეგად ჩატარებული ექსპერიმენტებისა და ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აგროსაფარი უნარჩუნებს სიმწიფეს, კარგ ბუნებრივ ფერსა და გარეგნულ სახეს დაუფარავ ნიმუშებთან შედარებით.

ანტიოქსიდანტობის განსაზღვრა თეთრ და წითელ ღვინოში

ე. სორდია, ს. ძნელაძე, გ. ქვარცხავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

მსოფლიოში ღვინო ყოველდღიურად უფრო პოპულარული ხდება და შესაბამისად იზრდება მასზე მოთხოვნაც, რამაც წარმოშვა მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოების პრობლემა. ფენოლურ ნაერთებს აქვთ ბიოლოგიური აქტივობის ფართო სპექტრი, როგორცაა ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებები. დადასტურებულია, რომ ღვინოს და ყურძნიდან მიღებულ სხვა პროდუქტებს აქვთ მაღალი ანტიოქსიდანტური უნარი და ავლენენ დადებით გავლენას ჯანმრთელობაზე.

ღვინო წარმოადგენს ანტიოქსიდანტური ნაერთების წყაროს, რომელიც დღესდღეობით მზარდი ინდუსტრიული ინტერესის საგანია. ეს სტატია აღწერს ფენოლური ნივთიერებებისა და ანტიოქსიდანტური აქტივობის შესწავლას, როგორც თეთრ, ასევე წითელ ღვინოში. შედეგებიდან ჩვენ შევძელით დადებითი კორელაციის დადგენა ანტიოქსიდანტურ აქტივობასა და ნიმუშების მთლიან პოლიფენოლურ შემცველობას შორის.

შესავალი. ფენოლური ნივთიერებები გავლენას ახდენს ღვინის ისეთ პარამეტრებზე როგორცაა: გემო, არომატი, ფერი და გამჭვირვალობა და მონაწილეობას ღებულობს მათ ფორმირებაში. რთული ბიოქიმიური გარდაქმნები, ღვინის დამზადება-შენახვის ყველა ეტაპზე, ფენოლური ნივთიერებების მონაწილეობით. როგორც ცნობილია, ფენოლური ნივთიერებები გამოირჩევიან ანტიოქსიდანტური თვისებებით. ბოლო პერიოდის სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ საკვებ-პროდუქტები, რომელიც მდიდარია ანტიოქსიდანტური ნაერთებით, ამცირებს ქრონიკული დაავადებების რისკის ფაქტორებს. ღვინის, განსაკუთრებით წითელი ღვინის ზომიერი მოხმარება დაკავშირებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებასთან. ღვინის დამცავი ეფექტის ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი შეიძლება გამოვლინდეს პოლიფენოლების (ძირითადად ფლავონოიდების) მაღალი შემცველობით, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ანტიოქსიდანტური მოქმედება.

მიზნები. კვლევის ფარგლებში შეირჩა სხვადასხვა ჯიშის ყურძენი: რქაწითელი, ჩინური, კახური მწვანე და საფერავი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შერჩეული ჯიშის ყურძნებით დაგვემზადებინა კლასიკური ღვინოები და შეგვედარებინა ქიმიური პარამეტრებით თითოეული ღვინო ერთმანეთთან. დაგვეფიქსირებინა ამ ჯიშის

ყურძნების უპირატესობა ღვინის წარმოებაში.

ექსპერიმენტული ნაწილი. ექსპერიმენტის ფარგლებში შერჩეული ყურძნის ჯიშებიდან დამზადდა კლასიკური ღვინოები, რომელშიც განისაზღვრა ძირითადი ქიმიური პარამეტრები: ღვინის მჟავიანობა pH, ეთილის სპირტის შემცველობა, მქროლავი მჟავიანობა, ტიტრული მჟავიანობა, თავისუფალი SO₂, შეკავშირებული SO₂, შაქრების შემცველობა. ღვინოებში განისაზღვრა ასევე საერთო ფენოლური ნივთიერებების შემცველობა და დადგინდა ანტიოქსიდანტური აქტივობა.

№	ღვინის დასახელება	PH	ეთილის სპირტი (%)	მქროლავი მჟავები (გ/ლ)	ტიტრული მჟავიანობა (გ/ლ)	თავისუფალი SO ₂ (მგ/ლ)	შეკავშირებული SO ₂ (მგ/ლ)	შაქრები (გ/100მლ)	ანტიოქსი - დანტობა (მგ/ლ)	საერთო ფენოლები (მგ/ლ)
1	რქაწითელი	3.7	13	0.42	4.12	17.92	247.41	0.34	1274	4257
2	ჩინური	3.6	14	0.44	5.50	2.56	31.05	0.45	1235	4810
3	კახური მწვანე	3.4	14	0.41	4.75	2.56	32.98	0.46	1135	4701
4	საფერავი I	3.8	13	0.63	4.35	19.2	180.15	0.34	2254	7469
5	საფერავი II	3.7	13	0.28	4.88	10.24	137.98	0.33	2355	7982
6	საფერავი III	3.9	13	0.54	4.50	2.56	25.03	0.83	2772	9040

შედეგების განსჯა. როგორც კვლევიდან ჩანს, ღვინოებში განსაზღვრული ქიმიური პარამეტრები ნორმის ფარგლებშია. საერთო ფენოლების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება თეთრ და წითელ ღვინოებში. ასევე ფიქსირდება ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მაღალი შემცველობა წითელ ღვინოში.

დასკვნა. კვლევით დადგინდა რომ, ქიმიური პარამეტრებით ღვინოები შეესაბამება დადგენილ სტანდარტულ მოთხოვნებს და გამოირჩევიან ჯიშისთვის დამახასიათებელი ორგანოლექტიკური თვისებებით. საერთო ფენოლური ნივთიერებებითა და ანტიოქსიდანტური აქტივობით გამოირჩევა საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ღვინოები. შედეგებიდან დადგენა დადებითი კორელაცია ანტიოქსიდანტურ აქტივობასა და ნიმუშების მთლიან პოლიფენოლურ შემცველობას შორის.

ლიტერატურა:

1. Angeles, M, A., Dominico, A, G., Carmelo, G, B., Belén, P., Alberto, G. (2002, October 9). Determination of antioxidant activity of wine byproducts and its correlation with polyphenolic content. *Journal of Agricultural and Food Chemistry*. 5832–5836.
2. Ndiaye M., Philippe C., Mukhtar H., Ahmad N. (2011, April 15) The grape antioxidant resveratrol for skin disorders: promise, prospects, and challenges. *Archives of Biochemistry and Biophysics*, 508, 2, 164–170.
3. Figueiras T.S., Neves-Petersen M.T., (2011, September 21) Petersen S.B. Activation energy of light induced isomerization of resveratrol. *Journal of Fluorescence*, 1897–1906.

**სექცია 6. მეტალურგია და
მასალათმცოდნეობა
Section 6. Metallurgy and material science**

**მანგანუმის სასარგებლო გამოყენების გაზრდა სილიკომანგანუმის
ოპტიმალური შედგენილობის შერჩევის გზით**

ზ. სიმონგულაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

შემოთავაზებულია სილიკომანგანუმის გამოდნობის ტექნოლოგია, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მანგანუმის და განსაკუთრებით სილიციუმის აღდგენა ნახშირბადით ხდება მანგანუმმცველი ლითონური ფაზის თანაარსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს გადავამუშაოთ ყველა სახის ლითონური ნარჩენები მანგანუმის და სილიციუმის ჯამური სასარგებლო გამოყენების გაზრდით და უფრო დაბალი მატერიალურ-ენერგეტიკული დანახარჯებით.

საკვანძო სიტყვები: გამოდნობა, კაზმი, ლითონი, ლითონური ნარჩენები სილიკომანგანუმი, წიდა.

ლიტერატურა:

1. Z. Simongulashvili, G. Kurdadze, R. Abesadze, B. Maisuradze. Selection of the optimal composition of silicomanganous, which ensures increasing the beneficial use of manganese. Proceedings of Stu, 2016, N1 (499), p. 42-47
2. Z. Simongulashvili, G. Kurdadze, R. Abesadze. An investigation of the silicomanganese process using tuffs in Kazm. "Ceramics" Tbilisi, 2016, N1 (35), p. 44-45
3. Z. Simongulashvili, G. Kurdadze, R. Abesadze. Silicomanganese smelting in a crucible using waste from own production. "Energy" Tbilisi, 2016, N1 (77), p. 94-101.

**სილიკომანგანუმის ოპტიმალური შედგენილობის შერჩევა, რომელიც
უზრუნველყოფს მანგანუმის სასარგებლო გამოყენების გაზრდას**

ზ. სიმონგულაშვილი

მეტალურგის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69.

ნაშრომში სილიკომანგანუმის მიღების ტექნოლოგიის ანალიზია განხილული, რა გავლენას ახდენს მიღებული ლითონის შედგენილობა მანგანუმის სასარგებლო გამოყენებაზე. ექსპერიმენტული, სამრეწველო დნობის შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდებულია, მანგანუმის ამოკრფვის გაზრდის მიზნით, გამოდნობილ იქნეს მანგანუმის დაბალი და სილიციუმის მაღალი შემცველობის ლითონი.

საკვანძო სიტყვები: ამოკრფვა; ლითონი; მანგანუმი; სილიკომანგანუმი; სილიციუმი; წიდა.

ლიტერატურა:

1. Z. Simongulashvili. "Electrothermy of ferroalloys." Technical University, Tbilisi, 2009,

- textbook. 173 p.
2. Z. Simongulashvili. Intensification of technological processes of production of ferroalloys. "Technical University", Tbilisi, 2018, "Selection Course" 110 p.
 3. Z. Simongulashvili, N. Tsereteli. ferroalloys. "Technical University" 2019, handbook. Protocol N1. 04.04.2019. 210 p.

მაღალი ხარისხის კონცენტრატების მიღება ჭიათურის კარბონატული მადნებიდან

ნ. წერეთელი, ქ. წერეთელი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, მეტალურგიის მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160. თბილისი, მ. კოსტავას 69.

მეტალურგია ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს. მის ბაზაზე ვითარდება მშენებლობა, ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, თავდაცვითუნარიანობა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობის სხვა დარგები.

საქართველო მეტალურგიის წარმოშობის ერთ-ერთ ძირძველ ქვეყნადაა მიჩნეული. საქართველოში მეტალურგიული წარმოება დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს და მისი შემოსავლები ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. ფოლადის მსოფლიო ასოციაციის მონაცემებით 2020 წელს ფოლადის წარმოების მოცულობამ მსოფლიოში 1814 მლნ ტონას მიაღწია, ხოლო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გასულ წელს 152 ათასი ტონა ფოლადი გამოდნა.

როგორც წესი ფოლადის გამოდნობა შეუძლებელია ფეროშენადნობების გარეშე, რადგანაც მათი დამატება აუმჯობესებს ფოლადის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს. ამჟამინდელი მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად 70 მლნ. ტონა სხვადასხვა მარკის ფეროშენადნობები დნება, რომლის უმეტეს ნაწილს მანგანუმიანი შენადნობები წარმოადგენს.

საქართველო ყოველწლიურად 300 ათას ტონა სილიკომანგანუმს აწარმოებს. მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოება თავის მხრივ მანგანუმის მადნების გამოყენებასთანაა დაკავშირებული. საქართველოში მანგანუმის 14 საბადოა გამოვლენილი, რომელთა შორის სამრეწველო მწიშვნელობის მხოლოდ ჭიათურის საბადოა, რომლის აუზშიც მანგანუმის მადნების მსოფლიო მარაგის 1.8% არის თავმოყრილი.

ჭიათურის საბადოში მდიდარ ოქსიდურ მადნებს მხოლოდ 25% უჭირავს, ხოლო დანარჩენი უმეტეს წილად ლარიბი კარბონატული მადნებითაა წარმოდგენილი.

აღნიშნულის გამო საბადო ძნელად გასამდიდრებელ მანგანუმის მადანთა ჯგუფს მიეკუთვნება და მეტალურგიული კონცენტრატების გამოსავალი 25 %-ს არ აღემატება. ძირითადი მიზეზი, რომელიც აფერხებს მანგანუმის კარბონატშემცველი მასალების გრავიტაციულ გამდიდრებას, არის ის რომ კარბონატული მდგენელი კომპონენტების ხვედრითი წონები საგრძნობლად ჩამორჩება ოქსიდური მინერალების ანალოგიურ მაჩვენებლებს და უახლოვდება ფუჭე ქანის ხვედრით წონებს.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენს გრავიტაციული გამდიდრების გზით, კარბონატული მადნებიდან მაღალხარისხიანი კონცენტრატების მიღება კარბონატული მდგენელი მინერალების ოქსიდურ მინერალებად წინასწარი გარდაქმნის შემდეგ. კარბონატული მადნების ფართო გამოყენება ხელს შეუწყობს ჭიათურის საბადოს ექსპლუატაციის გახანგრძლივებას, მის რაციონალურ გამოყენებას, გარემოს ეკოლოგიურ გაჯანსაღებას და რაც მთავარია მაღალხარისხიანი კონცენტრატებით ფეროშენადნობთა წარმოების უზრუნველყოფას.

დარიშხანშემცველი სულფიდური ნედლეულის გამოტუტვის პროცესის და მასზე მოქმედი პარამეტრების ინტენსიფიკაციის კვლევა

თ. წილოსანი, ზ. საბაშაშვილი, თ. ცერცვაძე, თ. ბურჯუკური, ნ. რაჭველიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი. მეტალურგიის, მასალთმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი. საქართველო, 0175, თბილისი, მ.კოსტავას 69.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად გაიზარდა ოქროს შემცველი მინერალური ნედლეულის მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსი. არსებული მადნების სისტემატიურმა ათვისებამ წლების და მეტიც საუკუნეების მანძილზე, მათი გამოლეევა გამოიწვია. ეს კი პროდუქტის მწარმოებლებში სერიოზულ პრობლემას ქმნის როგორც დასამუშავებელი ნედლეულის მოძიების, ისე მისი შემდგომი დამუშავების თვალსაზრისით. დღეს-დღეობით, მოპოვების მხრივ პრაქტიკულად ქვედა ზღვარზეა დასული ოქროს შემცველი მადნების არსებობა. მადნების, რომელთა შედგენილობა არსებული ტექნოლოგიური ციკლით დამუშავებას ძნელად ექვემდებარება. ჩვენი კვლევის ობიექტს კი სწორედ ძნელად გადასამუშავებელი მადანი წარმოადგენს.

საქართველოში, სვანეთში, ლენტეხის რაიონში, ცანაში, 1933 წელს არსენოპირიტული საბადო გაიხსნა. მადნის წამყვანი მინერალი არსენოპირიტია $FeAsS$. იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი და ფიქალის ქანებს შორის ნაწილდება. არსებული არსენოპირიტული მადანი დარიშხანს 30-40%, ოქროს 3,5-4,5 გ/ტ და 40-50 გ/ტ ვერცხლს შეიცავს. ყოველივე ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს არსებული მადნის გადამუშავების ისეთი ჰიდრომეტალურგიული ტექნოლოგია, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტების მიღება, როგორც არის დარიშხანი და მისი თანმდევი ოქრო. ასევე ამ ტექნოლოგიით შესაძლებელი გახდება იმ ეკოლოგიური რისკების შემცირება, რომელიც თან ახლავს მადნის პირომეტალურგიული გადამუშავების პროცესს.

დარიშხანშემცველი, არსენოპირიტული ოქრო უმეტესად სულფიდურ ნაერთებშია გაბნეული სუბმიკრობული, იზომორფული სახით. მადნის უნიკალურობა, დარიშხანის მაღალ შემცველობასა და მისი თანმდევი პროდუქტის ოქროს არსებობაშია. ამავდროულად აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ, მადანში ოქროს განლაგება არ იძლევა ამ უკანასკნელის პირდაპირი ციანიდების პროცესით ამოღების საშუალებას. მადნის სასურველ ზომამდე დაწვრილმანებაც კი (0,074მმ) ვერ უზრუნველყოფს ციანიდების პროცესის სრულყოფილ და ეფექტურ შედეგს.

ჰიდრომეტალურგიული ტექნოლოგიის მალიმიტირებელ სტადიას გამოტუტვა წარმოადგენს. ჩვენს მიერ გამოკვლეული და დადგენილი იქნა გამოტუტვის პროცესის ის ოპტიმალური პარამეტრები, რომლებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ არსებული არსენოპირიტული მადნიდან ამოსაღები პროდუქტის ხსნად ფორმაში გადაყვანას. ეს პარამეტრებია: ტემპერატურა, ხსნარის არევის სიჩქარე, გამომტუტავი რეაგენტის კონცენტრაცია, მყარისა და თხევადის თანაფარდობა და დამუშავებულების როლი გამოტუტვის პროცესზე.

ლიტერატურა

1. Aleksandrova T.N. 2011. Problems of gold extraction from stubborn ores of the Eastern Region of Russia and some ways to solve them. //Physical and technical problems of mineral development. №5. Pp.124-135. (In Russian);
